

# საბჭოთა სელოვნება

1978 მ



3/1978

# სსსრ საბჭოთა ენციკლოპედია

## შინაარსი

ელენე თულაშვილი — რუსულად გადმოთარგმნილი	2
ალისა ფეხინაშვილი თბილისში	9
ანაბა ბენტაშვილი — სიკეთის ბავშვთა	10
მანანა აბრეგელი — საპარტოვო სახელმწიფო სიმბიანი კვარტები საზ- ღვარდით	16
ნინო მუხარბიანი — მსახიობის გზა	19
ირაკლი ყიფიანი — სწავლავალი კულტურის ისტორიისათვის	26
ლია სოხაძე — პარტული თეატრი და კინომატინა	32
გულბაო ტორაძე — პარტული მუსიკისმოცოდებობა სერიოზული ამოცანების წინაშე	38
ლევან მენაბდე — კვილი პარტული კულტურის კვირები საზღვარგარეთ	45
შადალი	52
ლოლა გოგუა — ნიკოლოზ გუბარიაშვილი და მისი ინსტრუმენტული შემ- ოქმეობა	54
ინგა ბახტაძე — დავით მაჩაბლის მუსიკალური მსახიობი	60
ბედია შავიშვილი — წიგნი რამ კვილი პარტული საზღვარგარეთის შესახებ	66
მანანა ბრეგვაძე — გლეჯი პასაჟი	72
სოლომონ ხუციშვილი — სახელოვანი მსახიობის ცხოვრება	84
ლევია თაბუკაშვილი — პარტული მსახიობის ალბომი	87
ქეთევან ხუციშვილი — „კომედი მარჯანოვილის დრამატურგია“	89
ლენინა ავაქიძე — სინამდისო მონუმენტალი	91
გრიგორი გორიანი — ბარბო მონუმენტალის ცხოვრება და გარდაცვალება	93
ზაზა შავიანიძე — კომედი მისი კანდაკა იაკობ ნიკოლაის სახელოსნოში	110
ბაბი წიგნაძე	112
ბრონიკა	114

საპარტოვო სსრ კულტურის სამინისტროს  
კომპლექსური მურნალი

თეატრი  
მუსიკა  
მსახიობობა  
კინო  
არქიტექტურა  
მონუმენტალი

მთავარი რედაქტორი  
თამარ ვილამი  
სარედაქციო კომიტეტი:  
პაპი პაპრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ჯუმაბე თითაბიანი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნოდარ გაბუნია,  
ვასილ კიკნაძე,  
ნოდარ მგალობლიშვილი,  
ჯუმაბ ნიშანაძე,  
გივი ორჯონიძე,  
ნათელა ურუშაძე,  
კობა ჩხიძე,  
ანტონ ვულპოვი,  
ნიკო შავიანიძე,  
ნოდარ ჯანაბიძე.


# 8 პარტი ქალთა სერთაუორისო ღდაა!



მომართავთ თქვენ, კვირვასო საგჯოთა ქალეპო, — თქვენაა ურო-  
გამ წარმოებაში, თქვენაა დელობრევა გრუნეამ ოჯანისთვის, შვილების  
აღზრდისთვის საყოველთაო გადღიარება და გაბივისხევა დამსახურა!  
ქიდეე უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საგობალოებრივ ხსოვრებასა  
და აღმუენებლობითს უროგაში!

საკვ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მიწისტრთა საბავსო, საკავშირო  
პროფსაბავსო და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის წირი-  
ლიდან პარტიულ, საბავთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ  
ორგანიზაციებს, საბავთა კავშირის მფრომელახს.

მეტროს მუენებლობაზე



## რუსულან

## ქავრიშვილი

ელენე თულაშვილი

ნათელი, მზით გასხვიონებული ფერები, ხმიე-  
რი აკორდები დაიღვარა საქართველოს სსრ ფი-  
ნანსთა სამინისტროს დიდ დარბაზში, როცა იქ  
რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრებმა დაიდეს  
ბინა. ერთმანეთში გადაწნულიყო ფერთა კანვე-  
ბი — ხან მზიარული, ხანაც სვედიანი. მიღია-

ნობაში კი ეს იყო მხატვრის მშვენიერი სიმღერა სამშობლოზე, სიცოცხლის სილამაზეზე.

თქმის ხეობაში მდებარე სოფელ ერთაწმინდაში გაიარა რუსულად ჯაჯრიშვილის ბავშვობამ და არც არის გასაკვირი, რომ თვით ამ კუთხის ბუნებამ გააღვიძა მასში პირველად მშვენიერების ტრფიალი. შემდგომში, უკვე დასრულებული მხატვარი, რომელმაც ბევრი სხვა, მისთვის უცხო და უჩვეულო სილამაზე განიცადა, მშობლიურ ბუნებაში კვლავ და კვლავ პოულობს უმრეტი შემოქმედებითი შთაგონების წყაროს.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში შესანიშნავი პედაგოგების ხელმძღვანელობით მეცადინეობამ (ვ. სიღამონ-ერისთავი, მ. თოძე, უ. ჯაფარიძე), მოგვიანებით კი ელენე ასველიანის შემოქმედებით ჯგუფში მუშაობამ, მოგზაურობამ ჩამოქნა და ჩამოაყალიბა რუსულად ჯაჯრიშვილის პროფესიული მსოფლმხედველობა, მრწამსი, მხატვრული ოსტატობა. მხატვარმა მრავალჯერ მინახულა საქართველოს სხვადასხვა კუთხე და კუნძული, ტილოზე და ვაჟა-ფშაველას კოლეჯში, რამაც ააღვლევ. მშობლიური შეცნობამ, ამასთან ერთად, გაამდიდრა იგი როგორც მხატვარი, შემოქმედი, მოქალაქე, პატრიოტი; გაამდიდრა მისი პალიტრა, სულ უფრო გაძლიერა ბუნების მშვენიერებათა უსაზღვროებაში საკუთარი თვალით დანახული სილამაზის ფერებში აღბეჭდვის სურვილი.

მრავალი ასეთი სილამაზე გადაუტანია ტილოზე მხატვრის შთაგონებულ ფუნჯას: ლურჯ ხეობებში ნისლის ფოთლები მოძრაობენ, ხავერდოვან ფერდობებზე სოფლის სახლები ბუდეებით შეფენილია, ღრუბლებიდან აქა-იქ მზის სხივები გამოვლიან და მიღამოს ასხივოსნებს... ერთმანეთს ეხმიანებიან მძლავრი, კრისტალურად სუფთა ფერები...


ფერადონებმა, რომანტიკულობა ახასიათებს „ხუციათი უბნის“ პეიზაჟებს. ძველი ეკლესიის გუმბათი ამოზრდილა სახალბეს შორის და თავისი დიდებულებით აკეთილშობილებს ირგვლივ ყოველივეს. დაისის მცხუნვარე სხივებით შეფერილი მცენარეულის ბუჩქნაგვი ფერები და ლილისფერი ცა ერთ მთლიან, მკვდრ აკორდად ერთიანდება. ასეთივე დეკორატიული პრინციპზეა აგებული სურათი „დილა ერთაწმინდაში“, მაგრამ აქ კიდევ უფრო აქცენტირებულია ფერთა ლამაზი კონტრასტები. მხატვარი არ ერთდება გაზვიადებას მხატვრული სიმართლის ფარგლებ-

ში, მისეული განზოგადება, სახეები ხელოვნებაში მშვენიერების კანონებს ექვემდებარება.

რუსულად ჯაჯრიშვილის შემოქმედება გამოირჩევა ბუნების აღქმით, მისი შეცნობის რამაჯალფეროვნებით. მშობლიური სოფლის პეიზაჟის მისთვის საყვარელ მოტივს იგი აღბეჭდავს ხან მკაფიოდ დეკორატიულად, ხანც თავგებუებული მშვიდი კოლორიტით. უფაქიქვს ფერწერულ მიზნებებს რომ შეიცავს. „უხო ერთაწმინდაში“ — არცთუ დიდი ზომის ეს სურათი აღიქმება როგორც მონუმენტური ტილო და ისეც მხატვრის ხელოვნებისათვის ნიმუშდობლივად უნდა მივიჩნიოთ. მინიატურულია „ჯაჯარი“ (20 სმ X 30 სმ), მაგრამ „ჯაჯრის“ მოტივებზე უფრო მონუმენტურ-ეპიკური სურათი, ჩვენი აზრით, ჯერ არავის შეუქმნია.

რუსულად ჯაჯრიშვილის ბევრი ნამუშევარი გამოირჩევა, ასე ვთქვათ, „ერთეისურის“ სიხუტით, სიმწყობით, როგორც საერთო კომპოზიციის, ისე ფერთა განლაგების მხრივ. რაციონალური საწყობი მის ნამუშევრებში არასოდეს ახშობს პოეტურობისა და უშუალობის შერგნობას. ასეთია სურათიც „უხო ერთაწმინდაში“. ღრუბლიანი დღის ფერცხლისფერი შუქი არბილებს ცალკეული ტონების სიკაშკაშეს და სიწყინარს, სიმშვიდის ელემენტს განწყობილებას აკვივრდებს. ჰაოცრად ლამაზი სურათია! და ეს ფრაზა შეიძლება გაიმიჯნოროთ მხატვრის თითქმის ყველა ქმნილების მიმართ.

სოფლის მოტივებში მხატვარი მუდამ არიდებს თავს ხედვის შემთხვევით წერტილებს, უმრავლეს შემთხვევაში პირნიონტის შუა მასს არჩევს. კომპოზიციის მშვიდი გაწონასწორებით, სტატიკურობით იგი სოფლის სიმშავედრეობის, მისი ცხოვრების დინჯი რიტმის მოსაძებრებლას ქმნის. მაგრამ იქ, სადაც ბუნების პირველყოფილი სილამაზე, მისი რომანტიკული სახე უნდა აღიბეჭდოს, უკვე იხადება დინამიკა, ყოველივე მოცულია მოძრაობით: შორეთს მიემართებიან ბილიკები, სულ უფრო და უფრო ციკაობდ მიიწევენ ზევით შთები, საფეხურებდა აწყვეტილან მათ შეფერილებზე სეანური ელემენტები („მალაღმთიანი სანეთი“), ქედებს ელამუნება თფირი ნისლი, მიცოცავენ მიძიქ, ფლეთილი ღრუბლები და ხეობებში თოვლის კვლავს ტოვებენ; ცას ებჯინება, ელვარებს ყინულოვანი მწვერვლები... აქ ყველაფერი მოძრაობს და ამავე დროს ყველაფერი ასე დიდებული და ზეიმურია! ერთი შეხედვით, გიკვირს, როგორ შეარჩია მხატვარმა წერ-



მალაშთიანი სენათი

ტილი, რომელმაც მესტია ზეაიტაცა... მაგრამ ხედები: კრებითი სახის შექმნის სურვილით თავისებურად გამოიყენა მასშტაბი და შექმნა ამ მხარისათვის დამახასიათებელი ტემპარატი დიდებულების შთაბეჭდილება.

რათა უფრო სრულყოფილად ასახოს ქართული პეიზაჟის დიდებული ბილაშაზე, მხატვარი ირჩევს პანორამულ ხედებს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს ტილოზე აღბეჭდოს შორის გამილილი სივრცეები. დიდი ზომის სურათი „დილა მცხეთაში“ პასტელით გულდასმითაა დაწერილი და რამდენადმე მშრალია, რაც ასე არ ახასიათებს რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრებს. ტილო გამორჩეულად სურათოვნულია. როცა კარგად დააკვირდები, თითქმის გაუმართლებლად გეწვევება სიგრძეზე კომპოზიციის მეტად ფართო გაშლა და სურათში ორი ცენტრის წარმოქმნა — სექტივხოვლისა და მარცხნივ კუთხეში წინა პლანზე გამოსატული რტოს სახით. მაგრამ ზეიმურობის, სიდიადის განწყობილების შექმნას მხატვარმა უთუოდ მიაღწია.

ჩვენი აზრით, კომპოზიციურად უფრო დახვეწილია პანორამა „მცხეთა“. ძირითადი კომპაქტური ფორმების განაწილებისას რაციონალური საწყისის უპირატესობა ემოციურზე აქ კიდევ უფრო შეიგრძნობა.

არქიტექტონიკური დომინანტი სურათში რეა-

ლური სიღრმის ილუზიას ქმნის. გომარტის და დასრული აქცენტები სამი დიდებული მესტის (სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვარი,) რომლებიც როგორც ფოკუსი, თავს უყრის ამ გრანდიოზული პანორამის ძირითად ხაზებს. მისი ცენტრია სვეტიცხოველი. კომპოზიციის დიდებულ წონასწორობაში მოძრაობა შეაქვს მტკვრისა და არაგვის ზოგზაიან კალაპოტს. პირველქმნილი ბუნების სურნელება იფრქვევა ამ სურათიდან, რომელშიც მხატვარი ერთგვარად ზღუდავს თავის მრავალფერადოვან პალიტრას. თავშეკავებული კოლორითი კიდევ უფრო აძლიერებს პეიზაჟის მონუმენტურ და ეპიკურ სუნთქვას.

განწყობილების მხრივ უფრო სხვაგვარია დაღრმა ლირიკული შეფერილობით გამოირჩევა კიდევ ერთი პანორამული პეიზაჟი „ალანის ველის სიმფონია“. ამ სახელწოდებაში როდია პრეტენციოზულობა, ეს მართლაც ფერებისა და ხაზების სიმდიერაა. სურათი ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა მხატვრის მრავალ მშვენიერ ქმნილებათა შორის — ფერთა ტემპარატი სიმფონია, პოეტური და ამაღლებული.

პირველ პლანზე მაღლობზე შეფენილი კახეთის უძველესი ქალაქი სიღნაღი, რომელიც ორ ნა-

დაუსრულებელი მოლოდინი





წილად ყოფს და გადასცემის დიდ სივრცეს. პატარა ეკლესიის გუმბათი ამბობდებოდა ირგვლივ შემოჯარულ სახლებს შორის, ღრუბლებისაკენ მიიწევს და თავისი სილუეტით კვეთს პორიზონტის ფართო სივრცეს. ნოაცილეთ ეს პატარა ეკლესია სურათა და გაქრება მთელი მისი ეს დიდებული პათეტიკა (გონების და გრძნობის მთლიანობის განსახიერება, ზოგადისა და ცალკეულის პარმონია). უსაზღვრო სივრცეების ციცივალ შვერძნებას ბადებს მთის ჩრდილიანი ნაწილის მკაფიო კონტრასტი შორს გადაშლილი ველის ნაწიცივრ და ვარდისფერ ტონებთან. ჯავრიშვილის ნამუშევრებში, საერთოდ, ჩრდილს ჯაბნის სინათლე და სწორედ ამიტომ მისი ტილოები მუდამ აღსაქვება ნათელი განწყობილებით. გრადაციის მხრივ ძალზე ფაქიზია ველის ფერთა გამა, ღლივს შეიმჩნევა პორიზონტს შერწყმული პერსპექტივა. როგორც დედამიწის სფერო, მრგვალებს ველი, შუქის მირაჟი იწვევს პორიზონტს ზემოთ, აღარ ჩანს ზღვარი ველსა და შორეთში ძლივს გამოსახულ მთებს შორის, მთებსა და ცას შორის...

კლდეები, როგორც ციხისმაგრებები და ციხისმაგრებები როგორც კლდეები მხატვრის სურათებზე. მათზე აღბეჭდილი არქიტექტურული ძეგლი უბრალოდ გადმობატული სანახაობა როდია, არამედ ბალადა წარსულ საუკუნეებზე, წარსულის საიდიაღზე. შოთა რუსთაველის ეპოქის ხუროთმოძღვრების მრავალი ძეგლი ასუღმდებულა მხატვრის ტილოებზე. „თქვენი ფუნჯის წყალობით მე ერთხელ კიდევ გავიგონე ჩვენი წარსულის ქება დაღადისი“. — ჩაუწერია გიორგი ლეონიძეს, როცა შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე რუსუდან ჯავრიშვილის ტილოები უნახავს.

...მეწამული მზე იძირება ღლიისფერ ღრუბლებში, ბრწყინავს მცხუნვარე სხივებით აალებული ტაძრის მძლავრი კედლები. მკაფიოდ ისახება ველზე ამაყად აღმართული ნაგებობის მოხაზულობა. მიუხედავად ლურჯ-ღლიისფერი და ნარინჯ-ოქრისფერი ტონების კონტრასტისა, საერთო გამა მოკლებულია სიმკვეთრესა და მკვირვალა მკაფიობას. ცოცხლად შეიგრძნობა ატმოსფერო, საკაფრო სტიქია. ზუსტად მოძებნილი ტონალური შეფარდებებით ხაზგასმულია ბუნების მდგომარეობა, როცა იგი ღამის სიმყუდროვეში გადასახვლელად ემზადება („საღამოს მზე, ალავერდი“).

ღრთის სიღრმეში ჩაძირვის საოცარ გრძნობას იწვევს „შოთაშვილი“. ციციბო საფეხურებად ეშვება მონასტრისაკენ ფენებად აწყობილი კლდეები, რომელთა შორის ჩამდგარა ნაგებობა. მთის მოხაზულობა ზუსტად იმეორებს, ხაზს უსვამს მის მონუმენტურობას. მკვიდრად, მყარად დგას შოთაშვილი. საუკუნეებამოვლილი მონასტერი კვლავც მრავალ საუკუნეს გაუძლებს. ზუსტადაა მოძებნილი კომპოზიცია, ზუსტადაა მიგნებული ამ ნაგებობის მასშტაბურობაც მთებთან კავშირში

მთათა ტეხილი ხაზებით და სხვადასხვა მიმართულებით გაქცეული ბილიკებით კომპოზიციის მოძრაობა იჭრება და ამით კიდევ უფრო გამოიკვეთება მკაცრი დიდებულება შოთაშვილის კონსტრუქციული წყობისა.

მხატვრის უყვარს რამდენიმე ძირითადი ფერის გათამაშება და მათგან ელფერთა ნაირგვარობის შექმნა — ძალიან ღია ტონალობიდან დაძაბულად მუქ ტონებამდე. თითქოს თანდათან ძალს იკრებო ერთი რომელიმე ფერი. „შოთაშვილი“ სამ ძირითად ფერს გამოარჩევს: წითლს, თქრის-მავკარასა და მოშვეწარ-ლურჯს. (მოვარდისფერო-მოყვითალო მთის ღია ტონი, ცისფერი ჩრდილებით, მონასტრის წითელი საბურავები, მცენარეულის მუქი ლაქები და ბილიკების თეთრი ხაზები). მხატვრის ის უნარი, რომ განახაზვდეს სურათის ფერადღვანი წყობა, დაუმორჩილოს იგი რამდენიმე წამყვან ტონს, სურათებს მონოლითურობას ანიჭებს. თავისი მხატვრული სახით „შოთაშვილი“ ეპიკური ზემოქმედებით მიაწინებს ადამიანის სულიერ ძალთა გამარჯვებას დროზე, მის უნარზე — შექმნას მარადიული მშვენიერება.

რუსუდან ჯავრიშვილის ღრმა სიყვარული მშობლიურსადმი ნათლად ვლინდება მის ვრცელ თბილისურ ციკლშიც. მხატვრის მთელ შემოქმედებას ლეიტმოტივად გასდევს ძველი თბილისის თემა. შემოქმედი ქალაქის სილამაზეს ხედავს

ძველი თბილისის მოტივი





ტოლდო

იმამი, რაც მარადიულია: მყდრო და ადამიანთა სიყოცხლით მფთუქავი ძველი უნები, ვიწრო, მოკირწყლული ქუჩები, ერთმანეთს მიკრული სახლები... ჰიდველის სურნელზეა იფრქვევა ირგვლივ მხატვარი ისწრაფვის გადმოსცქა ქალაქის არქიტექტონიკის სახაით, ერთმანეთს დაუახლოვოს მისთვის ნიშანდობლივი ადგილები სახასიათო ბუნებითა და ნაგებობებით. ამ ნამუშევრებით ერთხელ კიდევ რწმუნდებით ჯავრიშვილის ღრმა კომპოზიციურ ალღოში, მის უნარში — ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალს მისცეს დიდი მხატვრულ-აზრობრივი დატვირთვა. მის ნაწარმოებებში არაფერი არ არის ზედმეტი, გაუაზრებელი, შემთხვევითი. კომპოზიციაში დეტალების ჩართვა ნატურიდან გადმოწერას კი არ ნიშნავს, არამედ ზუსტ ვარაუდს: ყველა დეტალი „ამეტყველებულია“.

თბილისურ ციკლში ჯავრიშვილი ხშირად მიმართავს ფერადოვანი სიბრტყეების კონტრასტულ შესამებას. როცა შუქისა და საპირო ეფექტების გადმოცემა აინტერესებს, იგი არწევს პასტელის ტექნიკას. ეს სურათები კი, რომლებიც სახვასშით დეკორატიულად, ლაკონიურად, ლაბილარული ენითაა გადაწყვეტილი, შესრულებულია ზეთისა და ტემპერის საღებავებით, რაც მოწმობს მხატვრის მიერ მასალის გრძნობას. შემოქმედი თავისებურად „გადააკეთებს“ ნატურას, აახლოვებს წინა და უკანა პლანებს. როგორც ყოველთვის, აძლიერებს ფერთა ჟღერადობას, ზოგჯერ კიდევ არღვევს „ფერთა-საპიროს“ პერსპექტივას. საპირისპირო საპირო პერსპექტივის პირინობითაა შექმნილი კომპოზიციები „სახლები გოგირდის აბანოებთან“. ცის პირობით, დიამწვანე ფონზე ნარყალას „ფრაგმენტი“, რომლის განზოგადებულ მოცულობაში ჩაწერილია კლდეზე მჭიდროდ მი-

კრული სახლები. ეს სახლებიც მონოლითური და განზოგადებულია

რივ სურათებში დეკორატიულობა განსაკუთრებით მკაფიოა, ერთმანეთთანაა შესამებული ინტენსიური ლოკალური ფერები, სილუეტი მკვეთრია, ზოგჯერ კონტურითაც კი არის შემოხაზული. მხატვარს იზიდავს ძველი სახლების კედლები, დაზარალი და ბათქაშამოცვენილი, მაგრამ დროს მიერ გაკეთილმოხილებული. და რაოდენ ლამაზია ეს კედლები, ფერთა ნამდვილი ორკესტრი სმინანებს მათში! მხატვარი თვით ფლობს რაღაც შინაგან კამერტონს, რომელიც ესმარება სილამაზის მიკვლევაში. და რასაც არ უნდა აღებუდავდეს მისი ფუნჯი ტილოზე, — ვიწრო ქუჩაბანდებს, მოჩუქურთმებულ აივნაინ სახლების ჯგუფებს, თუ ქალაქის პანორამას — ყველაფერში შეიგრძნობა ამ გასაოცარი მშობლიური ქალაქისადმი უსასღვრო სიყვარული. ჩვენ ისიც შევამჩნიეთ, რომ საზღვარგარეთული სერიებიდან ყველაზე გამომწახველი ის ნამუშევრებია, რომლებშიც თუმცა შორეულად, მაგრამ მაინც მხატვარს თბილისი მოაგონა რომელიმე ადგილმა.

თბილისის განუმეორებელ იერს ქმნის ძველი და ახალი ქალაქის შერწყმა. ბუნებრივია, რომ ამას მასწავლად ამწვენს მხატვარი. რუსუდან ჯავრიშვილმა შექმნა თეილი ციკლი ნაწარმოებებისა, რომელიც აღმშენებლობის დინამიკითაა აღსავსე: „საბურთალო შენდება“, „გვირაბი მეტეხის კლდეში“, „ინდუსტრიული რუსთავი“, „ახალი ხიდი“, „მეტროს მშენებლობა“ და სხვა სურათები მონუმენტური ჟღერადობის ქმნილებებია, რომელთა პლასტიკური ფორმა უკიდურესად ლაკონიურია. მხატვარი გაიტყვა კონსტრუქციებში „კონსტრუქციულმა“ საწყისმა, მათი აგების ლოგიკამ. შესატყვისად, სურათებში ლოკალური



ფერები ჭარბობს. სამხრეთის ლურჯი ცა დაჰყურებს ნარინჯ-ოქრისა და ყავისფერ-წითელ მზურგულ ფერებით შემოიპოვ მიდამოებს. ჩვეულებრივ ინდუსტრიულ მოტივს მხატვარი ანიჭებს ზეიმურობას, ვაჟაკურ ინტონაციასთან ერთად. აღმშენებლობის პროექტი მხატვრის მიერ გააზრებულია, როგორც ადამიანებისათვის სისხარულის მომნიჭებელი შემოქმედებითი შრომა.

სად არ უმოგზაურია რუსუდან ჯაფარიშვილს, ნსოფლოოს თითქმის ყველა ქვეყანაში! „საზღვარგარეთული შთაბეჭდილებების“ პერსონალური გამოფენაც კი გამართა, რომელზეც ნაუცბათევი ჩანახატები კი არა, დასრულებული სურათები იყო წარმოდგენილი. მხატვრისათვის უცხია „ნედლი“, შემოხვევითი მასალების გამოყენა, თუმცა ეს მცირე ზომის ჩანახატები, ან, როგორც თითონ უწოდებს, „კროკები“, კომპოზიციურად დასრულებული და ტექნიკურად საინტერესოა. ფლომასტრით შესრულებულ ამ ჩანახატებში იგი ავლენს ხაზისა და გრაფიკული ლაქის გრძობას. ერთ-ერთი ასეთი ჩანახატის საფუძველზე გაკეთებული შესანიშნავი აკვარელი „ქალაქი ბრიუე — ბელგიური ვიუპერი“. როგორც მძლავრი ჭირალი, ზეცისკენ მიიწევს გოთური გელეისი წვეტი, კამკამა წყალში ირელება მეტად სადა მშვენიერი პროპორციების ნაგებობა. მკაცრი დიდებულება სუფევს ირგვლივ. აკვარელითაა შესრულებული ფლომასტრით პატარა ფერადოვანი ჩანახატის მიხედვით ერთ-ერთი ვიუპელი „ქალაქი ბრიუელი“. მასში გვიხილავს ნატურაზე დაკვირვების უშუალობა, გულდასმით და ამავე დროს ლაღადა დაშუშავებული რატქუმს შენობა. მზის სხივები თამაშობს კოლონებზე, თაღებზე, კოშკებზე. ყველაფერი გამთლიანებულია მშვენივრად მოძებნილი პროპორციებით და ძარბონიანობა მოყვანილი ნაგებობებზე დაცემული მსუბუქი ჩრდილებით. გოთური შენობებით შემორკალულ ძველ ისინი პატარა ავტომანქანები დახვავებულა. მხატვარმა ისე „ჩაწერა“ ტრადიციული საერთო სურათში, რომ არ დაარღვია ლითონისფერ-ლულისფერებში ჩაძირული ძველი ქალაქის მიღწეული სიმაკაცრე.

საზღვარგარეთული ციკლის ბრწყინვალე ფერცულია „ტოლდო“. — გოთური და ბაროკული არქიტექტურის ქალაქ-მუშუებს უსვად ეფერება მზის მცხუნვარე სხივები. სულ ზევი და ზევი მიიწევს ბორცვებზე შეფენილი ქალაქი. სიმაღლეს ავირგინებებს ცის ფონზე ადამრთული სასახლეებისა და ცკლესიების სილუეტები. განსაკუთრებით დიდებულნი არიან ისინი პატარა სახლების გარემოცვაში, ფერდობებით მდინარისკენ რომ ეშვევიან. სინამდვილედ ქვეულ ზმანებას გავს ეს სანახაობა. „ტოლდოში“, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ძალით გამოჩნდა მხატვრის სწრაფვლა მასში დეკორატიულობისადმი. რთულ შემადგენელ ტონებს თითქმის მოკლებული ფერი ორგა-

ნულია ამ ნაწარმოების კონსტრუქციულად დაფიქსილსათვის. მკვეთრი კონტრუები, ფერით სიმრტყეებს რომ შემოსასეს, მოზაიკური წყობის შთაბეჭდილებას ქმნის.

ადამიანის შრომის თემა იხსნება რუსუდან ჯაფარიშვილის ნატურმორტებში, სრულიად ჩვეულებრივ ყოფით საგნებში, რომლებსაც მხატვარი პოეზიით აღავსებს. ნატურმორტი მისთვის „მკედარი ნატურა“ როდია. მხატვრის მიერ გამოხატული საშინო, სახშირი ნივთები ადამიანის ხულის სითბოს გვაგრძობინებენ. ხალხური გლეხური ყოფის ნივთები იგი ქმნის ვარიაციებს თემაზე „ქართული ტურქული“. გარდა იმისა, რომ ნატურმორტებზე ასახული ტურქული თვისობადაც მაღალი ხელოვნების ნიმუშებია, ისინი გავასხენებენ მათ შემქმნელ ადამიანებს — ხალხურ ტალანტებს. ამ ნაწარმოებებში „რეკისორულად“ ორგანიზებულია მხატვრულ ელემენტთა ფერადოვანი და კომპოზიციური წყობა. საგნები საოცრად „საგნობრივი“ არიან. — ზუსტადაა გადმოცემული თიბის ქოთინისა თუ სპილენძის სურის ფიალის უწყობრასწოროდ შედაპირის სხვადასხვაობა. ეს საგნები, რომლებსაც მაყურებელი თავის საკუთარ „ცხოვრებაში“ შეჰყავს, ისე მსუფედ არტისტულადაა დაწერილი და ისე ლამაზია, რომ სურვილი გინდნებათ შეეხოთ და განიცადოთ მათი სიმძიმე თუ გაბრიალებული შედაპირის სიგრილე.

აკვარელით შესრულებული ნატურმორტები ფერწერის სიღამათი გვაოცებენ. მდინდრული ფერადოვანი გამა თბილი და ცივი ტონების უფაქიშეს კონტრასტებზეა აგებული და მთლიანობაში მძლავრად ეღერს. შერეულების სილაღება და უშუალობაზე, ნერვული იმპულსურობაზე მიანიშნებს პასტელის სწრაფი, მოქნილი შეხებები აკვარელის ზემოდან. ატმოსფეროს მირთოლვარებას შეგრძნებას რომ ბაღებს. ხან მღერადი, ხანაც წყვეტილი ხაზი შემოსამებს და განსაზღვრავს ფორმას. მხატვრის აღტაცებული შერეით დანახული ეს ნატურმორტები ერთად თავმოყრილ მშვენიერ საგანთა სიღამაზეს აღებტდავს.

ასეთივე გამაბეჭდილებული შერამიებით გადმოსცემს რუსუდან ჯაფარიშვილი ადამიანის უსილიერ განწყობილებას. იგი უარს ამბობს სიუჟეტურობაზე და მაყურებლის ყურადღება გადაიქცევა თავისი პერსონაჟების შინაგან ემოციურ მდგომარეობაზე. იდებს მხრივ ღრმავ „დაუსრულებელი ლოდინი“. სურათი დიდი სამაშულო ომის მრისხანე წლებს მოგვაგონებს და ადამიანთა ბედზე დაგვაფიქრებს. შვილის სიკვდილი არ სურს იწამოს დედმა. სურა, რომ დაბრუნდება და მისი ლოდინი უსასრულოა. ჩამომდარა მარტოხელა მოხუცი და შვილისათვის წინდას ქსოვს. ქსოვს, რადგან სურს მასზე იფიქროს, როგორც ცოცხალზე, ქსოვს, რამა იმედი ხელოდან არ გამოცვალოს. დედის ეს მზრუნველი ხელები მხატვარს განსაკუთრებულ



გამახვილებით აქვს გადმოცემული, რითაც მძაფრად შევფარდობიანებს სურათის დედაბუნს. დედასა და შვილს შორის სულიერ კავშირს მიანიშნებს ქალის ფიგურის ჭან, კედელზე ჩამოკიდებული ახალგაზრდა გაყის პორტრეტი. სურათის ბერძნულად ხატბატურ კომპოზიციურ სტრუქტურაში ღრმა შინაგანი დინამიკაა, რაც ყოველი დეტალის, ფერადოვანი და რიტმული გონიერული გააზრების შედეგია. ამიტომაც, მონუმენტურ-დეკორაციული კომპოზიციის მასშტაბებში გადმოცემული ეს კანონული სცენა მოკლებულია ყოფითობას და მოხუცი ქართველი გლეხის ქალის — გვილის სახე სიმბოლურ ხასიათს იძენს.

სულადგმულია რუსუდან ჯავრიშვილის სხვა პორტრეტული ქმნილებებიც. ვირტოზულადაა შესრულებული პასტელით „ქაღალდის პორტრეტი“, „მზექალა“ — ხესურათის პეიზაჟის ფონზე. მომხიბლავი გოგონა შინაგანად შერწყმია ამ ლამაზ ბუნებას. სურათის ემოციური სისახვე მიღწეულია არა მხოლოდ სახის სიმართლით, არამედ კოლორისტული გადაწყვეტითაც. ნამუშევარი გამოირჩევა ნათელი, სხივოსანი ფერებით. რასაც არ უნდა ხატავდეს რუსუდან ჯავრიშვილი — პეიზაჟს, პორტრეტს თუ ნატურმორტს, იგი ყველგან აღწევს ამაღლებულ განწყობილებას, სილამაზეს, მომხიბველობას. მხატვარი სცილდება პროზაულს, თუმცა კი ჩვეულებრივ მოვლენებზე, ადამიანის ყოფსა და გარემოზე გვესაუბრება. მისი ქმნილებებისათვის ნიშანდობლივია უბრალო მოტივთა ახლებური შეგრძნება და ყოველდღიურობის პოეტურობა. ეს არის ფერადოვანი შეხამებათა და რიტმის სუფთა, ფრთაშესხული ახმანებელი პოეზია.

რუსუდან ჯავრიშვილს არასოდეს დალატობს ალღო იმისა, რომ არ გადააჭარბოს. სულ მცირე ონდავი გადახრა და შეიძლება სილამაზე გაღამაზებულობაში გადაიხარდოს. ტონების ძალზე სახიფათო შეხამებასაც კი მიმართავს: მწვანე — ნარინჯიანი, ყვითელი — იასამინფეროანი, ლილისფერი — ვარდისფეროანი და ყველა ეს ფერი ასევეა. მხატვარი არ გაურბის არც აშკარად „შხამიან“ ფერებს. გასაოცარი ის, თუ „ციფ“ ელფერებზე აგებულ გამაში როგორ ქრება „მყვირალა“ ფერები და ამასთან შენარჩუნებულია მათი სისუფთავე და ელვარდობა („მალდამთიანი სენანთი“, „ახალი გზა რაჭაში“ და სხვ.).

შეიმჩნევა სხვა სტილისტიკაც, ცივი და თბილი ფერების კონტრასტებზე სურათების აგების მაგალითებიც („ხუციანი უბანი“, „ახახულის საღამო ერთაწმინდაში“, „მზექალა“). ამ ენერგიულ, მკაფიო შეხამებებში ქლერს ვაქკაცური, სიცოცხლისდაამკვიდრებელი აკორდი. საინტერესოა, რომ მისი პალიტრის ერთგვარი მოჩვენებითი ნაირფერადოვნება მხოლოდ რამდენიმე ფერთაა მიღწეული. მხატვარს აქვს უნარი ფერი გამიდიდროს მისი მესობელი ფერებით, გა-

აძლიეროს იგი, სხივი შემატოს, აიყვანოს უმაღლეს ჟღერადობამდე. მაგრამ ჯავრიშვილის ხმა ყოველთვის მჭკპრე როდია. მის ქმნილებებში სვედის ნოტებსაც გაიონებთ, იდუმალ ლირიკას შეიგრძნობთ. კოლორტი ამ შემთხვევაში აიგება ვერცხლისფერ რბილ გამაზე („ერთ ნაგომარში“, „წინარების შემოგარნი“, „ახალი ერთაწმინდაში“), ამ პოეტურ პეიზაჟებში ფაქიზადაა შენიშნული ბუნების ელეგიური განწყობილება.

როცა რუსუდან ჯავრიშვილი მზუნდა ისახავს ფერწერული ეფექტებით საპაერო სივრცის გადმოცემის ამოცანებს, იგი პასტელის ტექნიკას მიმართავს. მასალის შეგრძნების უტყუარი ალღო მას ეხმარება რბილი პასტელი აამტყვევლოს მთელი მისი შესაძლებლობებით („მცეთა“, „ალანის სიმფონია“). მაგრამ დეკორატიული კომპოზიციის მხატვარი ასრულებს განზოგადებისათვის საუცხოო მასალით — ზეთითა და ტემპერით. აკვარელი, რომელიც ბისწრაფსა და არტისტულობას მოითხოვს, მის ფერწერას გამყარების შესაძლებლობას არ აძლევს. მხატვრის ხელს კი აჩვენებს მოქნილობას, თვალს — აღქმის სიცხველეს. ყველა ამ ტექნიკით მხატვარი სრულყოფილებას აღწევს.

მაგრამ ფერწერულ ამოცანებს რუსუდან ჯავრიშვილი არასოდეს აქცევს თვითმზუნდა. იგი არ გაუტანია სტილიზაცია, თავიდანვე სინამდვილის რეალისტურად ასახვის პრინციპების ერთგულია. შეიძლება ითქვას, მისი შემოქმედება — ეს არის რეალისტური მიმართულების პეიზაჟური ფერწერის ზემო. თუმცა მხატვარი ქმნის ნატურმორტებს, პორტრეტებს, მაგრამ მისი სტიქია მაინც პეიზაჟია. გამოჩენილმა სომეხმა მხატვარმა მარტიროს სარიანმა კარგად თქვა: „ყოველი მხატვრული ნაწარმოები აღფრთოვანებისა და გაოცების შედეგად უნდა იბადებოდეს“. სიახლოვე მშობლიურ მიწასთან, ხალხთან, ბუნებასთან რუსუდან ჯავრიშვილს დაეხმარა შექმნა მართალი ნაწარმოებები. მხატვრის შემოქმედება ღრმად ეროვნული, ხალხური, იგი ადამიანებს ანიჭებს სიხარულს, მათ წინ გადაშლის მშვენიერების ფართო სამყაროს, ამაღლებს... ტექნიკითი ხელოვნება ხომ ყველასთვის გასაგებია, ყველასთვის მახლობელი. მახლობელია იმიტომ, რომ იგი იბადება გულიდან და აღწევს ადამიანთა გულუბამდე.



# ალისა ფრეინდლიხი

## თბილისში

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებასთან არსებულმა „მეგობრობის“ თეატრმა თბილისში საგასტროლოდ წივიწია ლენინგრადის საბჭოს სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი, რსფსრ სახალხო არტისტი, რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალისა ფრეინდლიხი. ნიჭიერმა მსახიობმა თბილისელებს უჩვენა სცენები სპექტაკლებიდან „ვარშაველი მელოდები“, „დანაშაული და სასჯელი“, „ბიჭუნა და კარლსონი, რომელიც სხვენზე ცხოვრობს“, „ინტერვიუ ბუენოს-აირესში“, გოტეს, ჰაინეს, ფოიბტანგერის ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი წარმოდგენა-კონცერტი „ადამიანური ვნებები“, სადაც მსახიობი დიდი ვნებათაღვლით წარმოგიდგენს ეშაფოთისაკენ მიმავალ მარია ანტუნეტას, რომლის მონოლოგები უაღრესად მძაფრი და გულში ჩამწვდომია. ა. ფრეინდლიხი აღიარებულია გასული წლის ერთ-ერთ საუკეთესო კინომსახიობად და მან, რა თქმა უნდა, თბილისელ მაყურებელს უჩვენა ფრაგმენტები მის მიერ კინოფილმებში ნათამაშები როლებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მან ქართულ ფილმში „ვერის უბნის მელოდებიმაც“ მიიღო მონაწილეობა. ა. ფრეინდლიხს პარტიზრობას უწყევდნენ რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. რაიოვიჩი, მსახიობები გ. ნიკულინა, ი. სოლოვი და მ. ბოიარსკი.


ალისა ფრეინდლიხის წარმოდგენა-კონცერტმა თბილისში დიდი წარმატებით ჩაიარა და ქართველმა მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა ნიჭიერი მსახიობი.



მარია ანტუნეტა. „ადამიანური ვნებები“  
 ჰელო. „ვარშაველი მელოდები“  
 „ინტერვიუ ბუენოს-აირესში“  
 ბიჭუნა. „ბიჭუნა და კარლსონი, რომელიც სხვენზე ცხოვრობს“  
 კატერინა ივანოვნა — ა. ფრეინდლიხი, სონია — გ. ნიკულინა. „დანაშაული და სასჯელი“



# სიკეთის გაკვეთილი



ანაიდა ბესტაგაშვილი

ამ ფილმზე კიდევ ბევრჯერ იტყვიან თავიანთ სიტყვას ხელოვნებათმცოდნეები, კრიტიკოსები, სპეციალისტები. სათქმელი კი დიასაც კმენტობა. აჭ ხომ ახალი და უჩვეულოა თვით თანრი: ესაა შენივთება გამონაგონისა და ფაქტისა, ღოკუმენტებისა და პოეტური განზოგადებებისა.

„თუმი მეცხვარე“ დოკუმენტური ფილმი, მწყნაების ცხოვრების ქრონიკაა თუ მხატვრული (თანაც მაღალმხატვრული) სურათი? ყოველი კადრი ბუნებრივი, ნაღდი, გამოუგონებელია. ეს ამჟღავნებს ვერ ვიტყვი აქ. ფაქტობრივ მასალა ავტორის ჩანაფიქრს დამორჩილებული თუ პირიქით, რეალურმა ცხოვრებამ უკარნახა ავტორს სიუჟეტის, კომპოზიციის ხვეულები, ამას კი მოგახსენებთ — იღისა და მისი ხორცმცხამის შესატყვისობა განსაცვიფრებელია. ფილმში მხატვრული სიმართლე ზოგჯერ ვერც გამოვიჩინებია ცხოვრებისეული სიმართლისაგან.

ფილმის ავტორებმა — რეჟისორმა ს. ჩხაიძემ, სცენარისტებმა ვ. სულაკაურმა, ა. ჭიჭინაძემ, დიანოზ-ჩიქოვანმა, ოპერატორმა ი. ონოფრიშვილმა, მხატვარმა ვ. რურუამ და კომპოზიტორმა გ. ბუჯანელიამ — „ნაცად“ ხერხებზე უარის თქმით მოულოდნელ ეფექტს მიაღწიეს: ხელოვნების საზღვრები თითქმის გაფართოვდა, თითქმის ხელოვნებამ „დაუმუშავებელი“ ცხოვრების, სინამდვილის სივრცეები მიითვისაო.

გმირები, რომლებიც თავიანთ თავს თამაშობენ, უფრო სწორად, კი არ თამაშობენ, არამედ

ფილმში თავიანთი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელიდაც ძველი საგის პერსონაჟებით წარმოსდგებიან ჩვენს წინაშე, საგისა, რომლის მონუმენტური დიდებულებათვის უცხოა ყოველგვარი რიტორიკა და პოზა. და ეს აღაშინებენ, რომლებიც მძიმე ცხოვრებით ცხოვრობენ, მოკლებულნი არიან ცვილილიზაციის მრავალ სიკეთეს, ელემენტარულ კომფორტს, გეთავაზობენ სიბრძნისა და მამაცობის, კეთილშობილების, მოვალეობისადაც ერთგულების, თავდაუზოგავი შრომის და ამ შრომისგან სიხარულით აღვსების მაგალითებს.

ფილმის სტილისტიკა ენათესავება საგის, ხალხური ეპოსის სტილისტიკას. აუჩქარებელი და ეპიკური კინომონტაჟის დინამიკა, იმპედროული, ამ ფილმში, ისევე როგორც ლირიკულ ლექსსა ან ბალადაში, დაძაბულია აზრის პულსი, მაღალია ემოციური ძაბვა. მთელი ეს აუჩქარებელი მდინარეა თბრობისა, რომელიც ჯადოსნური ზღაპრის ნაცნობ, მაგრამ მინც წარმტაც მდინარებას, პოეტურ ლექსდას გვაგონებს, რეჟისორის ჩანაფიქრს მკაცრ კონსტრუქციას ექვემდებარება. ფილმის ავტორებმა უადრესად თანამედროვე სულიანკვეთებით გააგონეს ხმა ბუნებისა, სამშობლოსი და შეუხმანენ მას, ჩაგვჭიდეს ხელი და გვიბრძანეს: „ყური მიუგდეო! დანახეთ!“.

მე ფილმი დიდ ვერანზე, კინოდარბაზში ვნახე ფერადი გამოსახულებით. მაგრამ მგონია, რომ იგი ტელეეკრანზე რაიმეს არ წააგებს, მოიგებს



კადრი ფილმიდან „თუში მეცხვარე“.  
ზურაბი — რ. სულაველი

კიდევ, რადგან სწორედ ტელეფილმადაა გამიზნული: გამიზნულია პირისპირ, ურთიერთმიმდობი, ინტიმური საუბრისთვის. სამსერიიანი ფილმი შეგნებულადაა მოკლებული ეფექტებს, რომლებიც დაძაბვდა, „დაინტერესებდა“ დიდ კინოაუდიტორიას, მაგრამ მდიდარია ნიუანსებითა და დეტალებით, რომელთა შემჩნევა მხოლოდ ტელევიზორთან მჭიდრო კონტაქტის მოხსებითაა შესაძლებელი.

ფილმს უდიდესი დაძაბულობით ვუცქერით. უღელტეხილზე ფარის გადასვლას და ამ დროს მწყემსების საოცრად გამოკვეთილ, წლების მანძილზე ძვალსა და რბილში გამჯდარ მოძრაობებს ისეთივე აღტაცებითა და განცვიფრებით ვუყურებთ, როგორც, ვთქვათ, კოსმონავტიკის დაჯდომას სხვა პლანეტაზე.

რადაცნაირი სიცინცხალითა და სიახლით წარმოგვსაბა ეს უძველესი, ბიბლიური ხელობა — მწყემსობა, მეცხვარეობა.

ქალაქელი მაცურებელი უმაღლეს პოეზიას ხედავს მწყემსების ცხოვრების ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ მოვლენებშიც კი. გავიხსენოთ, თუნდაც ცხვრების წველის სცენა. ფილმში ეს ჩვეულებრივი და ძნელი საქმე წარმოჩენილია (და აღიქმება) შემოქმედებით აქტად, გმირობად, სისაბურავად.

ამ ეპიზოდში გმირთა სახიათები იხსნება მართლაც რომ ყველაზე კინემატოგრაფიული საშუალებებით. ლაკონიურად, სახიერად, დინამიკურად,

სწრაფი, მარჯვე ხელეები, ერთ წერტილს მილურსმნული მსუნა და, ამავე დროს, სახეებზე აღბეჭდილი სისაბურავი. თითოეული მათგანი ინდივიდუალობაა, პიროვნებაა, ერთი მეორეს არ ჰგავს და, მაინც, ყველანი ერთი საქმით, ერთი განწყობილებით არიან შედუღებულნი. ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან, მაგრამ ერთმანეთს ჰგვანან არსით, მთავარი ნიშნით: ესაა მშრომელი, თავისი საქმის ოსტატი, შემოქმედი ხალხი. მათმა მეგობრობამ უმაკაცეს გამოცდას გაუძლო. ერთმანეთის ფასი იცინა, ერთმანეთთან ყოფნით შეგებას გრძნობენ, რადგან ერთმანეთი უყვართ, ერთმანეთს პატივს სცემენ, ენდობიან.

ვეიქრობ, ძესორციელი არ არსებობს, ვისაც გული არ შეუტოვდეს, როცა ბაკიდან ბატკნებს გამოყრიან და დედაცხვრებიან მიუშვებენ. რაოდენი სიბრძნე, რა დიდი აზრია ამ კადრებში, რა ღრმა სიმბოლიკაა ამ შეუთხზავ, გამოუფინებელ სურათში!

მთელი ფილმის მანძილზე ფაქტზე, რეალურ ცხოვრებაზე ვართ მიჯაჭვულნი, მაგრამ პარალელურად ვიჭმით „ანტიკამეაროსს“, რომელშიც ყოველი სახე, ყოველი მოვლენა და შემთხვევა თითქოს მეორე უფრო ღრმა აზრს იძენს.

მთის უღელტეხილზე მიმავალი რძისფერი, თეთრი ფარა ცხოვრების მდინარედ, არსებობის წყაროდ, გაუკაცრიელებული სოფლის გამაცოცხლებელ ძალად გვესახება.

ფილმის ეპიგრაფად შეგვიძლო გამოგვეტანა:

სცენა (ოღონდ ეს რეპეტიციები გავლილი და წინასწარი მიზნადგებული სცენა კი არაა, არამედ მანერლით თვალთ შეშინებული საოტრებაა), რომელშიც ზურგზეცხვარშემოსსული მწყემსი წყლის დასალევად იხრება. მწყემსიც ენაფება წყალს, ცხვარაც იმავე მაცოცხლებელ წყაროს ეწაფება. ყველას ეყოფა წყალი, თავზე გადაუვა! ბუნება უხვია და ბრძენი, მაგრამ იგი უშუალო და უმფარველო! ფილმის შემქმნელმა ღრმად შეიგრძნო ვაჟა-ფშაველას მიერ დასმული ამ პრობლემის აქტულობა და იგი მთელი სიგრძე-სიგანით დასვეს თანამედროვე ადამიანის წინაშე. რა გუქნით ჩვენს მშობლიურ მიწას? რა უუკავით ჩვენსავე თავს? რაოდენ გადახვრთული აღმოჩნდება ჩვენი ბინა ნივთებით (ხოლო სული ჩვენი — „სავნობრობით“). თუკი მას მწყენსების ღარიბულ საცხოვრისსა, მათს მცირე მოთხოვნილებებს შევადარებთ. თურმე, რა ცოტა რამ ყოფის ადამიანს! ჩვენ კი რამდენ რამეს მოვითხოვთ. რატომ? რისთვის? რად გვიანდა? ამით ვითომ უფრო ბედნიერი ვბედობთ? შეუძლია კი ნივთებს — ყველაზე განვითარებული და მაღალი ცივილიზაციის პროდუქტებს — ადამიანის სულის სიციარიელის შექცება? შეუძლია ტელევიზორს ვარსკვლავიანი ცის, ხოლო ყველაზე კომფორტაბელურ თვითმფრინავს (რაც არ უნდა საჭირო და აუცილებელი იყოს იგი) ტენის შეცვლა? შეიძლება, რომ ჩვენი კავშირი სამყაროსთან ყოველდღიური გაზეთების გადაფურცვლითა და იფარგლებითღეს? როგორღა შევიძლოთ, რომ არ დაკვაროთ კავშირი მიწასთან, ბუნებასთან?

რატომაა, რომ ბატების მწყემსი ბიჭუნა პოეზიაა, ხოლო ყველაზე თანამედროვე ინკუბატორი პროზაა?

ყველა ეს და ამისთანა მრავალი სხვა კითხვა გვბადება, როცა მივსდევთ მეცხვარეთა ცხოვრების სურათების მდინარეებს, იმ ცხოვრებისა, რომელიც არამცადაარამც არაა შეფერადებულ-იერ-ცვლილი, მაგრამ მაინც გულისმომწყველი ნალექით გემსჭვალავს.

ფიქრობთ, ფილმის ყურების დროს მაყურებელი თავის თავს უსვამს კითხვას: „მე თუ შექმნედი ამას?“ საერთოდ, რას შევძლებთ ჩვენ, თუკი მიწის, ბუნებას სტიქიის პირისპირ თანამედროვე ცივილიზაციის სიკეთეებს მოკლებულნი დაერჩებით.

რატომაა, მაგალითად, რომ ფილმში გეოლოგები, ეს განათლებული, მეცნიერი ხალხი, — რომლებიც საბურღი მანქანის გაფუჭების გამო გულ-ხელდაკრეფილი სდგან და მოწყენისაგან ამოქნარებენ, მონუმენტური მწყემსების გვერდით ასე დაჩაივებული ჩანან? რატომ ვგვიჩვენება, რომ გეოლოგებზე ნაკლებგანათლებული მწყემსები აქ, ამ სიტუაციაში, გაცილებით უფრო გონიერი, ბრძენი ადამიანები არიან.

რაზე ვოცნებობთ — როგორი იქნებოდა

ჩვენი შვილები? (მე, რაღა თქმა უნდა, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ მშობლებმა შვილები ინგლისური და მუსიკალური სკოლებიდან გამოიყვანონ და მწყემსებად განაწესონ!) როგორი გაიხრდებიან ისინი ქალაქის ცილოფანურ, შემოტინხრულ ბინებში, თუკი მოკლებული იქნებიან მშობელ მიწასთან ცოცხალ, უშუალო, პიროვნულ კავშირს? შეიგრძნობენ კი ისინი წყაროს წყლის, თავისი ხელით მოწყვეტილი ვაშლის გემოს, შეიგრძნობენ ფილოების შრიალის საამო მელოდიას? (შემთხვევითი არაა, რომ სამოცდაათიანი წლების ლიტერატურა — ქართულიც და რუსულიც — ყურადღებას ამახვილებს ამაზე).

აი, რატომაა, რომ გულიანად ამოსული ხალხური სიმღერა თვით ბუნების, სინდისის, მიწის ყივილად აღიქმება. უნდა ვღაიროთ, რომ სატელევიზიო ინფორმაციით აღტურვული წონის „ურუდლიტი“ ბევრს აგებს პატარა ზურვიკის წინაშე, რომელიც ჩვენს თვალწინ ვაჟკაცდება, მამაკაცად ყალიბდება. მას განსაკუთრებულს არაფერს ასწავლიან, მას მინიმუმალა აძლევენ, მაგრამ რა ბევრს ნიშნავს ეს მინიმუმი! გავიხსენოთ როგორ მოძღვრებენ მას „დედ ცხოვრებაში“ შესვლის წინ: სამი რამ უნდა აკეთოსო ადამიანმა, — ეუბნებიან, — სიკეთე, სიკეთე და სიკეთე.

ჩვენთვის აქსიომაა განბდა, რომ ტრიადა სამი ელემენტისაგან მაინც შედგება და ხშირად არ ვიმეორებთ დაჟინებით: სიკეთე, სიკეთე და სიკეთე!

ზურვიკ ბავშვობაში მძიმე სკოლას გადის. შთამბეჭდავია ამ სკოლის „პედაგოგების“ პირადი მავალით — თავანწირული, კეთილსინდისიერი შრომა ვითარცა ცხოვრების აზრი და სიხარული. და ეს მავალით გადამწყვეტი აღმოჩნდება ზურვიკისთვის.

მე ფიქრობ, რომ თუმი მეცხვარეების მძიმე და გრძელი გზა უმოკლესი გზაა სიმწიფისკენ, დაეაგვაციებისკენ. ფილმის აღმზრდელობით მნიშვნელობა განუზომელია. მიქნარებას არ დაიწყებ, გულზე ხელს არ დაიკრეფ, როცა შენი თანამედროვენი (თანაც არცთუ ახალგაზრდა ხალხი) ასეთი შთაბეჭებით, ასე დიდებულად შრომობენ.

კიდევ ერთხელ მინდა გავიხსენო წყლის სცენა, რომელშიც შრომა წარმოსასულია ხელოვნებად, „შემოქმედებად და ჯადოთმქმნელობად“.

ან გავიხსენოთ ცხვრის პარსის სცენა, რომელიც გვანცვიფრებს მოხუცი თანდღვალს არტისტიზმით, სილამაზითა და სიკეთით.

მწყემსების ცხოვრება და შრომა წარმოვიკინებდა მრავალი წახანაგით, რომლებიც ჩვენთვის ახალი როდია, მაგრამ მაინც განცვიფრებულნი, გაოცებულნი ვუყურებთ ყოველივე ამას, როგორც კარგად ცნობილ, მაგრამ მაინც მოულოდნელ რასმე.

ფიქრობ, ფილმი „თუმი მეცხვარი“ თვითონ

თუ მეცხვარეებს მიეწონებოდათ. შესაძლოა, ამ ფილმით მათ თავიანთ თავში და სამყაროში ზოგი რამ ახალი დაინახეს. სწორედ ესაა მარად-ფიშული და იდუმალი ამოცანა ხელოვნებისა: სხვა სული ჩაბეროს საგნებსა და მოვლენებს, გააპოეტუროს ერთი შესხედვით ჩვეულებრივ ჩვეულებრივი საგნები, საქმეები, მოვლენები.

ფილმში მთელი სიგრძე-სიგანით დგება მოწოდებისა და მოვლენების პრობლემა, ყველანი ქალაქში უნდა წავიდეთ თუ არა? ყველანი უნდა მოვუყვდეთ ბუნებას, მიწას? ტკივილითა და ნაღვლით გვაგვებს დაცლილი, გაუკაცრიელებული, შიკოვებული სოფლების ყურები.

მაკარ გაფრთხილებად აღიქმება ბრაკონიერების — მავრატას ბიჭისა და მისი ამფონების სახეები. მიწა სჯის პურის იოლად შოვნისთვის ლობე-ყორეს მოდებულ შემეცითმილებს, ისინი არარაობანი, არაკაცინი არიან. დაე, სოცოლოვებმა განსაზღვრონ რამდენად დიდაა „უძებ შვილთა“ პროცენტი, რომლებიც სოფლიდან აყრილან და ვერც ქალაქში უპოვნიათ თავიანთი თავი. ხელოვნება ერთი ასეთი ადამიანის ხვედრის ჩვენებით შემოიფარგლება და ამითაც აგვაფორიანებს. ამიტომაც, რომ აღვირახსნილი ბრაკონიერების ყურება სულს გვიმღვრევს. სულ სხვა ტონალობით — პაროდოქსულად წარმოიქმნება სახე ახალგაზრდა ჟურნალისტისა, რომელიც „ცენტრიდა“ ჩამოვიდა მოწინავე მწყემსების გადასაღებად. იგი მწყემსებს თხოვს, ნაღვლები წამოისხიოთ, რათა მწყემსური კოლორიტი წარმოაჩინოს. მწყემსები უხერხულად იშმუშნებიან, ილიშებიან, ნაბდებს მოისხამენ, წოწოლა ქუდებს იხურავენ და ჩვენ ვგრძნობთ, მათ პირველად არ უხდებთ პოზაში დადგომა პრესის წარმომადგენლის წინაშე. მთავარი ნაბაღი არაა. მთავარი ისაა, რომ ქვეყანა ამ მხრებს აწევს. ამ ადამიანების უნაპრო, შეუმჩნეველ შრომას რომ იხსენებ, დიდი, ხმაურიანი ქალაქის ქუჩაში მიმავალი საკუთარ თავს ვკითხვით: რა გაგაყვე მე იმ დღისთვის, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები?

ქალაქელი მაყურებლისა და ფილმის გმირი მწყემსების ბედ-იღბალზე ფიქრების გადამკვეთ წრტილში ჩნდება ნაპერწკალი, რომელიც ჩვენი სულის განმწმენდელ ხანძარს ანთებს. სწორედ ესაა ის კათარზისი, ურომლისოდაც ტემშარიტი ხელოვნება არც არსებობს.

ფილმი „თუმი მეცხვარე“ აღბეჭდილია ტემშარიტი ხელოვნებისთვის აუცილებელი ამ თვისებით და მისი შემოქმედება ჩვენს გრძნობებსა და გონებაზე განუზომლად დიდაა.

ფილმის დამთავრების შემდეგ ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს მთელი ცხოვრება თუ მეცხვარეებთან ერთად გაგვეტარებინოს.

თითოეულ ჩვენთაგანს, ვინც არაა ნაზირები მწყემსების ასეთ მარტივ და, ამავე დროს, ასეთ



კალრები ფილიმთან



რთულ ცხოვრებასთან, ფილმში გვასახიერებს ლექსით.

ლექსის როლის შემსრულებელს, ირაკლი ხიზანიშვილს, ურთულესი ამოცანა დაეკისრა. ჯერ ერთი, იგი მსახიობთა არამსახიობთა შორის, მეორეც, ამ როლით ხომ იგი, სინამდვილეშიც და ფილმშიც, მისთვის უცნობ ვითარებაში ხვდება. მესამეც, იგი თითქოს ერთმანეთთან აკავშირებს ორ სამყაროს — „ამ“ და „იმ“ სამყაროს, პირობითად რომ ვთქვათ, ბუნებასა და ცივილიზაციას. „ამ“ სამყაროში იგი მძიღლია, „იმ“ სამყაროში — მეცხვარე.

ამთავითვე ვიტყვი, რომ ფილმის დასასრულს ლექსის ნებას რთავენ დროზე ადრე დაუბრუნდნენ თავის საქმეს. აქ ფილმის ავტორებმა გაუძლეს ცდუნებას, გმირი არ ჩააყენეს ეფემტურ პოზაში და არ წარმოათქმევინეს რიხიანი შონოლოგი (რაც, კაცმა რომ თქვას, ყოველთავე ნანახის შემდეგ არათუ მაინცდამაინც არაბუნებრივი ექნებოდა!) — აქ ვრჩები, არსად შეჩქარებათ. ლექსი მიდის, არც ყოყმანობს, მე ვიტყვოდი, გახარებულიც კი მიდის, რადგან იგი, აქ მაინც, „სხვის ქურქშია“ გახვეული და შეჩვეული სამყაროსკენ, თავისი საქმისკენ ისწრაფვის.

და მაინც, სულის სიდრემში მაყურებელს (მწყემსებთან ერთად, რომლებიც გულსტიკივით, ნაღვლიანად ემშვიდობებიან ლექსის) სჯერა, რომ ლექსი დაბრუნდება იმიტომ, რომ ამ მთებსა და ადამიანებს შეუძლებელია არ დაუბრუნდე. ლექსი, ჩვენსავით, რაკი ამ ფილმში ნაჩვენებია ამ რეალობით აღივსო, მთელი ცხოვრება ვერ გამოთავისუფლებდა მისგან, მთელი ცხოვრება საესე იქნება მისით. იქნებ ეს მხოლოდ ფიქრში, წარმოსახვაში, ოცენაში მოხდეს, მაგრამ ამ სამყაროს უკვე ვერ შეაქცევს შურგს, რამეთუ ეპოქაში, როდესაც ადამიანსა და ბუნების კავშირს გაყვეტა ემუქრება, თუშეთი მისთვის იქცა სიღამაზის, სიწმინდის, სიმშვიდისა და სიკეთის ნაკრძალად, ყველას თავისი თუშეთი, წვრილმანაკობისკან, გულდაკრძლიანობისკან, ანგარებინაობისკან თავისი განსაწმენდელი უნდა ქონდეს.

მიტოვებულ წინაპართა კერებთან მიბრუნება (ამას სიტყვასიტყვით ნუ გაიგებთ, თუმცა დღეს პირდაპირი გაგებითაც — წინაპართა კერებთან მიბრუნების პრობლემა ძალზე მწვავე და აქტუალური პრობლემაა) ეს თავისთავად, პიროვნების სულის საუკეთესო ზაწყისებია. ეროვნულ, ხალხურ, ისტორიულ ფესვებთან მიბრუნებაა, ნახევრად მივიწყებული ჯანსაღი ტრადიციების, წესჩვეულებების გააცოცხლება.

ფიქრობ, ამ მაღალმატერული ფილმის ავტორებმა (მადლობა მათ!) თავიანთი ნაწარმოები იმისთვის კი არ შექმნეს, რომ ჩვენ ჩვენი უდავოდ ასევე საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეები დაგვეცდო, ქალაქის კვილიშროშობილი ბი-

ნები დაგვეცალა, და მთაში ავბარგებულეყავით, სადაც იმ პირობებში უმწურო და ბევრი ქალაქელი ვერავის და ვერაფერს წაადგებოდა რითიმე.

კარგად თქვა ს. როსტომოვი, პოპულარული ფილმის „შაყურა თეთრი ბიძის“ დადგმულ რეჟისორმა: „ეს ფილმი იმისთვის წაღეს არ გადამიღია, რომ ყველამ ძაღლებით აავსოს სახლები, სწორედ რომ პირიქით — რათა ძაღლები მხოლოდ მაშინ აიყვანონ, როცა ყველაფერს კარგად აწონ-დაწონად და შეიგრძნობენ ჯრულ პასუხისმგებლობას ცხოველის სიცოცხლისა და ბედის გამო“.

ჰოდა, ალბათ, საჭიროა ამ სამყაროში ჩვენს წინაშე დამსული კარდინალური საკითხების გააზრება, გეგმარების საკუთარი თავის წარმოსახვა არა იმ არსებად, ვისაც ახლავე, ამ წუთს უნდა მივვსო ყოველგვარი ამქვეყნიური საკითხე, არამედ იმ პიროვნებად, ვისაც ბედმა დააკისრა იყოს მაკავშირებელი რეალი მშობლიური მიწის, ხალხის, ერის, წარსულისა და მომავლისა, ვისაც ტვირთის მაქსიმუმი აწვეს შურგზე და, ამდენად, მართებს საიმედო და წელმაგარი იყოს.

უმაღლეს შეფასებას იმსახურებს ფილმის რეჟისურა, სცენარის ავტორთა, ოპერატორის, მხატვრის ნამუშევარი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ რა სიმინელების გადალახვა მოუხდათ მათ. უნდა ითქვას, რომ ავტორებმა ბრწყინვალედ შეასეს ხორცი დასახულ ამოცანას.

ტეკვიანურად, ნიჭიერად, დიდი ტაქტიითა დაწერილი სცენარი. იგი იმდენად დამაჯერებელია, რომ ხშირად ვერც კი ვაძრწევ, კამერა როდის აფიქსირებს თავისით მომხდარ ამბავს და რომელია წინასწარ გათამაშებული, დადგმული სცენა (მაგალითად, ქურდების ეპიზოდი — ნამდვილად მოხდა იგი თუ დადგმულია?).

ავტორებმა შესძლეს პიროვნებად, შეუღამაზებლად წარმოესახათ სინამდვილე.

ყველაზე პათეტური მომენტში, როცა მწყემსები უღელტეხილზე ჩერდებიან, რათა დაღუპული ამხანაგების სული მოისწვიონ, გიორგი ლეონოს (თუ არაყის?) ასხამს... სათბურები. აქ ხომ „მომგებიანი“ იქნებოდა „პროზაული“ სათბური შეცვალათ უფრო ეფემტური ტიპი, კასრით და ა. შ. მაგრამ ცხოვრებისეული სიმართლე ასეთია: სათბური უფრო იოლად სატარებელია და მწყემსებს სწორედ იგი დააქეთ. და ეს „პროზაიზმი“, შეიძლება ითქვას, სწულიადც არ ანელებს სულთა მცენარების სულის პათოსს, სცენისა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ფილმის ფილოსოფიური შინაარსის გასახსნელად.

მაყურებელი ფილმის შემოქმედების ძალა სწორედ იმით იზრდება, რომ აქ ადამიანების შეღამაზებისკენ, გაიღვლებსკენ წაწავის გაჩრეშე მადლდებიან ჩვენს თვალწინ იგივე ადამიანები!

ადამიანი არა მუქიაობრა, ბრავონიერი, ბუ-



ნების მძარცველი, არამედ უშრომელი, შემოქმედის პოეტი — ასეთი არიან მოზუცი მეცხვარეები და პატარა ზურგიო.

შეუძლებელია ასეთ ხალხს პატივი არ სცე. უმამო ზურგიოც თოლი რთიია, რადგან ასეთ მიწაზე და ასეთ ხალხში ადამიანი მარტოსული ვერ იქნება.

რამი ხელავენ ბენიერებას ეს მშენიერი (ლამაზი, ძლიერი, მამაცი, კვილი) ადამიანები, ცისმარე დილიდან გვიან დამებრძანებენ განმომცლივ. ერთფეროვანი შრომი რომ ცხოვრობენ? საიდან იმუხტებიან ისინი ძალითა და რწმინით?

ფიქრობ, ამ კითხვების პასუხი იმ სცენებშია საძიებელი, რომლებიც მწყნების შრომას წარმოასახვენ. ესაა შრომა, რომელიც ყოველ წუთიერ მხნობასა და სულიერ და ფიზიკურ ძალთა დაძაბვას მოახზებს. აქ რესაათიანი სამუშაო დღით ფონს ეტყება. ეს შრომა შემოქმედებასავითაა, იგი ადამიანსგან მოითხოვს უძილო დამებრ, მუხლანუხრელად გარჯას. აქ ისე, სხვათა შორის, ვერაფერს გააკეთებ (ისევე, როგორც არსად და არაფერი არ უნდა კეთდებოდეს სასხვათაშორისოდ). ლექსის „გაქცევით“ თითქოს ქეჯყანა არ დაქეუვლა. მაგრამ იმ დამეს ახალდაბადებული ბატონები დაიხიციენ.

ეს თვალათლივი, ხელშესახები შედეგია უპასუხმგებლობისა. გვინდა ვიფიქროთ, რომ ის, ვინც მსგავს რამეს გადაიტანს, საკუთარი არაკეთილსინდისიერების მიმე შედეგს სამუდამოდ დაიმასხოვრებს. ფილმ „თუმი მეცხვარეში“ ხომ თავის საქმესთან, ხელობასთან ადამიანის კავშირის პრობლემას ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ადამიანი აქ, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდია, პიროვნებაა. აქ თითოეული შემოქმედია, თავისებურად იღვწის, მაგრამ წარმატების საწინდარი ძალითა დაუშურეგლობა და მოვალეობათა სამართლიანი განაწილებაა. და აქ არავის არა აქვს მცონარობის, დღალატების, ჩალიჩის უფლება. საყვარელ საქმესთან მუდმივი კავშირი ადამიანს ძალასა და თვითრწმენას მატებს. იგი ამაცი და ბედნიერი ხდება, რადგან ხელავენ თავისი შრომის აზრს, სარგებელაწილობას, სილამაზეს. იგი ხელსანი არაა, ოსტატია.

მეცხვარის შრომა ცხადია, თვალათლივ განსხვავდება კონვეიერთან მდგარი მუშის შრომისაგან. მაგრამ ერთიც და მეორეც — სოფელიოც და ქალაქელიც — მოვალეა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი იყოს, მერე კი — მწყემსი, მძღოლი ან მხატვარი. „თუმი მეცხვარე“ არის ფილმი იმ საერთოზე, რაც ადამიანებს აქვთ. იმაზე, რაც ჩვენ გვაერთიანებს, და არა იმაზე, რაც გვთიშავს, გვმიჯნავს ერთმანეთისაგან. იგი მოგვითხრობს იმაზე, რაც გვამალუმებს და გვემზარება ცხოვრებაში, მარადეამულ. წარუვალ ქემმარტიტებზე: არ შეიძლება ობლის დაჩაგვრა, ავადმყოფი მოხუცის მიტოვება. არ შეიძლება

არამზადობა, სიმდაბლე დაუსჯელი დარჩენა, გვარაზე ვხვდავთ განსაცვიფრებელ ბუნებას, პოეზიის, მშენიერების საუფლოს, მაგრამ ამ ბუნების შეგრძნება, გააზრება, სახელდება და წარმოსახვა მხოლოდ ადამიანს ძალუძს. უკადამიანოდ ბუნება უსახურია და უმეტყველო, მაგრამ ადამიანს ბუნება მხოლოდ არსებობის წყაროდ არ სჭირდება, რადგან ადამიანი არა პურითა ერთითა არსებობს.

ფილმის ავტორებმა დაინახეს საქართველოს ერთ-ერთი კუთხის ბუნების განუყოფელი მშენიერება, ყოფის პოეზია და ჩვენც დაგვანახეს იგი. ამისთვის ვმადლობთ მათ, რადგან მშენიერებისა და პოეზიისადმი ადამიანი გულგრილი ვერ დარჩება. ეს ფილმი თვითგანწყობისაა, ჩვენი ხულის სარულქმისკენ მოგვიწოდებს.

ქართული კულტურის ისტორიაში საუკუნეების მანძილზე გაქმნილი მოწოდება ერთგულ ფსევებთან, საწყისებთან, ერთგულ ტრადიციებთან ორგანული კავშირის გამტკიცების აუცილებლობისკენ. გასულ საუკუნეებში განსაკუთრებული ძალით დასვა ეს პრობლემა ვაჟა-ფშაველამ, არ მიგავანია აუცილებლად, რომ აქ საკანგებოდ გამტკიცით ფილმის პოეტიკის, მისი ფილოსოფიური შინაარსის შინაგანი ნათესაობა ვაჟა-ფშაველისმკამელთან“. ეს ნათესაობა თვალსაჩინოა. და, აი, ჩვენ ისეც ვაგივრთ ძახილი მთიდან. ხმა, ამჯერად უახსენსმა და ხელოვნებათაგან ყველაზე თანამდროვემ — კინემატოგრაფმა მოგვაწვდინა. და ისეც ვაგვისხენთ ვაჟა „მთანი მალაღნი“:

„იღვწენ და ელოდნენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი... ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიხს, რაღაცას, ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავფა. რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალულის გაუმადლობაა? სწორედ რომ ისაა“.

„თუმი მეცხვარე“ სწორედ მოლოდინის უსაზღვროებაზეა. ესაა „თვალ-გულის გაუმადლობა“, ახლის მოწყურება. ვაჟაზე უკეთესად ვერ იტყვი.



# საქართველოს სახელმწიფო სიმბიანი კვარტეტი საზღვარგარეთ

მანანა ახმეტელი

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმბიანმა კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში არიან საერთაშორისო კონკურსისა და ზ. ფაღლიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ ფვანია და ოთარ ჩუბინაშვილი, კონცერტები გამართა ფინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ლუქსემბურგსა და ბელგიაში.

ის დიდი წარმატება, რომელიც ჩვენს კვარტეტს წილად ხვდა, სულაც არ იყო მოულოდნელი, ვინაიდან ესაა მაღალი კლასის, ჭეშმარიტად თანამედროვე კოლექტივი, რომელშიც სუფევს ერთსულოვნების, ურთიერთგაგების, კოლექტიური თანაგრძნობისა და მხარდაჭერის ატმოსფერო, რაც, თავის მხრივ, შემოქმედებითი ზრდის, წინსვლის, განვითარების სტიმული და საწინდარია. ეს კოლექტივი მონოლითური, მოლიანი და ამავე დროს მრავალსახეობიანია. ამ ანსამბლის თვითუ-

ლი წევრი წარმოადგენს დამოუკიდებელ შემოქმედებით პიროვნებას, რაც განსაზღვრავს კიდევ ამ კოლექტივის სტილს, რომლის მთლიანობა მიღწეულია მრავალფეროვნების პარაზიტული სინთეზის გზით. შემოქმედებითი კონტაქტი დამყარებულია მუსიკოსთა თანასწორუფლებიანობის პრინციპზე.

აქვე აღვნიშნავ იმ საყრდენებს, რომლებზეც ნიადაგი შეუშუადეს ქართული საკვარტეტო შემსრულებლობის ასეთიან რამდენიმეს. მიღწევების სათავე უპირველესად უნდა ვეძიოთ ჩვენს ეროვნულ კულტურაში, მრავალზმიან ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში, რომელზეც მოამწიფა ეროვნული პოლიფონიური, ანსამბლური მუზიკირების უმაღლესი კულტურაცა და ვირტუოზული ტექნიკაც. სწორედ ამ ტრადიციებმა პოვეს ფრიალ საინტერესო გამოხატულება საქართველოს სახელმწიფო სიმბიანი კვარტეტის შემოქმედებაში და ძალზე თავისებური ელფერი მისცეს მის სამწიფო-

ლებლო ხელწერას. კოლექტივის თავისებურებას ერთხმად აღნიშნავენ ხოლმე უცხოელი რეცენზენტები, თუმცა ისინი სათანადოდ არ იცნობენ ჩვენს კვარტეტის შემოქმედებით ინდივიდუალობის, მისი ორიგინალური სამემსრულებლო სტილის წარმოქმნელ სათავეს.

არადა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ინტონირების სიწმინდე და სიზუსტე, რიტმისა და დინამიკის გამაზვილებელი შეგრძნება, ოთხხმიანობაში ჩამოყალიბებული ურთულესი პოლიფონიური სტრუქტურების ამოკიხვისა და განვითარების უნარი მოწმობს არა მარტო ამ კოლექტივის ტალანტს, მის ერუდიციას, ტექნიკას, პროფესიონალიზმს, არამედ იმ დიდ ეროვნულ ტრადიციებსაც, ქართულ ხალხურ მრავალზმიან მუსიკაში რომ შიადწიეს განვითარების უმაღლეს წერტილს და ახლა განახლებისა და გაგრძელების სრულიად ახალ ასპარეზს, სრულიად ახალ არეს მიაგნეს პროფესიული ინსტრუმენტული მუსიკირების ამ

სფეროში. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის სამემსრულებლო სტილს ახასიათებს მიდრეკილება ისეთნაირი მულერადობისაკენ, რომელიც აღძრავს ადამიანის ხმის ფოკალური გამომსახველობის ასოციაციებს, ერთი სიტყვით, საკმეგაკებს ეროვნული არტიზტიზმის, ეროვნული მუსიკალური ტრადიციების ძალზე მკვეთრსა და თავისებურ გამოვლინებასთან.

ანამბლური აზროვნების თანდაყოლილმა უნარმა ამ კოლექტივს თითქოს უმტიკვენულოდ გაუკაფა გზა საკვარტეტო ხელოვნების იმ უდიდესი მწვერვალისკენ, რომელიც აღმართულია ვენის კლასიკოსების — ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის შემოქმედებაში. ამ დიდი სკოლის ათვისებამ კიდევ უფრო გააღრმავა და დახვეწა ჩვენი კვარტეტისტების ეს-

თეტიკური ძვალსაზრისი, შემოქმედებითი მსოფლმეგონება, ხელწერა. კვარტეტმა ბეთჰოვენის დიად შემოქმედებაში მიაკვლია დაუმრეტელ სულიერ საზრდოს, თვითვაჰმობატვის ნაირგვაროვან საშუალებებსაც. ეს არჩევანი ბევრის მოქმელობა, რადგან ბეთჰოვენის შემოქმედებასთან მისვლას, მასთან დაახლოებას ახერხებენ მხოლოდ მოაზროვნე, მაღალი ინტელექტით დაჯილდოებული მუსიკოსები. სადღესოდ კოლექტივის რეპერტუარშია ბეთჰოვენის ყველა — ჩვიდმეტევე კვარტეტი, რაც დიდ მონაპოვარს წარმოადგენს და რითაც ვერ დაიტრიალებს ბევრი სახელგანთქმული კოლექტივიც კი. „მუსიკალურ მიბლიად“ წოდებული ბეთჰოვენის საკვარტეტო მეგვიდერეობა ჩვენი მუსიკოსების მოღვაწეობის საყრდენად იქცა, მათი შემოქმედებითი ცხოვრების თანამგზავრია.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი აღიარებულია ბეთჰოვენის მუსიკის შესანიშნავ ინტერპრეტატორად საბჭოთა კავშირშიც და საზღვარგარეთაც. ეს ხაზგასმით აღინიშნა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ თვით ბეთჰოვენის სამშობლოში! ეს აზრი განამტკიცეს ამ ბოლო გასტროლებმა, როდესაც საქართველოს სახელმწიფო სიმებიანმა კვარტეტმა ნამდვილი ხენსაცია მოახდინა სწორედ ბეთჰოვენის ნაწარმოებთა შესრულებით. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს საზღვარგარეთის პრესა, საიდანაც მოგვყავს რამდენიმე ამინაწერი:

„საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი, რომელიც ხუთშაბათს, ავენიუში გაიმართა, ოქტობრილი მნიშვნელობისაა, ესაა საუკეთესო, უნიკალური კვარტეტი. ქართველ ინსტრუმენტალისტებს დაუმყარებიათ შპიდრო კავშირი გულსა და გონებას შორის, თანაც ეს

საერთაშორისო კონკურსისა და ზ. ღალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმებიანი კვარტეტი.



კავშირი ფრთაშესხმულია არტიტული ტალანტითა და ტემპერამენტით.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის მიერ შესრულებული მუსიკა ჩვენს თვალწინ, ჩვენის თანამონაწილეობის იმპულსად.

მცირე ფორმის საგალობლებიდან ხელნაწერში არის ოხი-თაა, რომელიც მოსდევს უფალო, ღაღატ-ყვავსა-ს იოვანეს შობის, ბასილის, განცხადების და იოვანე ოქროპირის საგა-ლობლებში. ოხითაა გვაქვს წმ. გიორგისა და პეტრე და პავლეს პირველ საგალობლებშიც, ოღონდ ამ საგალობლების უფალო ღაღატ-ყვავსა-ს და ოხითაა-ს შორის მოცემულია სხვა სტიქარონები.

სხსანი, როგორც ჩანს, გამოყენებულია ხელნაწერში კანონის ან სტიქარონის სხვადასხვა ვარიანტის არსებობის საჩვენებლად. ამას შემდეგი გარემოება გვაგარაუდებინებს.

ღმრთისმშობლის მიცვალების საგალობელი ორი ვარიან-ტითა გვაქვს ხელნაწერში. ორივეში არის ძირითადი მოდე-ლი საგალობლებისა: უფალო, ღაღატ-ყვავსა-კანონი-აქებ-დითსა. მეორეს აწერია სხსანი მიმგაღმშისსნიმმ. ასევე „სხუანი“ გამოყენებული საბას საგალობელში, სადაც

აგრეთვე საგალობლის ორი ვარიანტი გვხვდება. აქ სწორია: სხუანი მარტკლასანი.

სტიქარონის სხვადასხვა ვარიანტის არსებობაზე უნდა მიგ-ეითითებდეს სხსანი პეტრეს და პავლეს პირველ საგალობელ-ში. აქ გვაქვს ასეთი თანმიმდევრობა: უფალო, ღაღატ-ყვავსა, სხუანი, სხუანი ახალნი, ოხითაა. წმ. გიორგის საგალობელ-ში: უფალო, ღაღატ-ყვავსა, სხუანი ოხითაა; ფერისცვალე-ბის საგალობელში: უფალო, ღაღატ-ყვავსა, სხუანი, კანონის ნაწილები.

შეიძლება და გვეფიქრა, რომ სხუანი სტიქარონია, მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს, რადგან იგი გამოიყენება ერთიდაიმავე საგალობლის სხვადასხვა ვარიანტზე მისათითებლად. მით უმეტეს, რომ პეტრეს და პავლეს სტიქარონს უფალო, ღაღატ-ყვავსა-ს მინაწერი აქვს აზიანზე: ძუელნი, ხლო ფერისცვალე-ბისსა კი — გერნი არიან.

ც. ჯღამანა წერს: „წარდგომანი, როგორც მოკლე ფორმის გალობის გარკვეული სახე, გიორგი მთაწმიდელმა აქცია საგა-ლობლის კომპონენტად. თავისთავად წარდგომანი ქართული ეკლესიის ლიტურგიკული პრაქტიკის აუცილებელი ელემენ-ტია: მე-8 საუკუნეში თარგმნილ იერუსალიმის განზიხებაში წარდგომანი, რომელშიც ხშირად ფსალმუნის ერთი სტროფი იგულსმხმობდა, წინ ერთვოდა უმთავრესად მოციქულთა სა-ციოთაგებსა“. ცოტა ქვემოთ იგი დაბძნს: „წარდგომანი, რომელიც გიორგი მთაწმიდლის „თთუნში“ შემავალი საგალობ-ლის აუცილებელი ელემენტია, ბერძნული საგალობლების შე-მადგენლობაში არ შედის.“<sup>3</sup> ხელნაწერს წარდგომანი, როგორც მცირე ფორმის საგალობელი, საერთოდ არ განაჩნა.

კ. კვეკელიძე წერს: „თავდაპირველად საქრისტიანო ღვთის-მსახურებაში სჭარბობდა ფსალმუნური ელემენტი, ე. ი. გა-ლობდნენ ფსალმუნებს ან დავითნის სხვადასხვა მუსულს“. <sup>4</sup> ასეთი ფსალმუნური მასალა და საციოთავეები სახარებიდან არც ჩვენი ხელნაწერისათვისაა უცხო. ამის დასტურს იძლევა შემდეგი:

ხელნაწერში არის განცხადების ანუ ნათლისღების საგა-ლობელი, რომელიც თავისებური აგებულებისაა. აქ მონაცლე-ობენ ე. წ. შუვადამისნი, საციოთავეები ფსალმუნებიდან და სა-ხარებიდან, სტიქარონები და კანონის ნაწილები. საგალობელი იწყება სტიქარონით უფალო, ღაღატ-ყვავსა, რომელსაც აქვს მინაწერი: ძუელნი. შემდეგ მას მოსდევს ოხითაა გიხა-როდენთა ზედა, შემდეგ შუვადამისანი მეორე ხმისა, სადაც ერთმანეთს ენაცვლება შუვადამისანის დასდებლები, რომლე-ბიც ერთ-სტროფიანია, და საციოთავეები ფსალმუნებიდან ასეთ-ნაირად:



I	დასტოვებულია	ოვდეს მიოვლენა იოვანეს	ფსალმუნები	28:	შეგპირებული უფალს.
II		იოვანე დგა იორდანესა ზედა		33:	ვაკრთობთ უფალი ყოველსა ძამსა.
III		სისარული იგზნა დღეს		35:	თქვის უშველომან.
IV		შოშან შეიბრა წინამორბედო.		41:	ეთიარცა სურინ ირმსა.
V		შესაკად ტრედისა ხილვა		45:	ღმერთი ჩუენი შესაველ უბებლა.
VI		მამსა მირ სული წმიდაი		64:	შენდა გუშუენის გალობისი (ა ზრდაქცია).
VII		ღმერთი, გარკვეულყო		76:	სითა ჩემთა უფლისა მიხარის ც რედქცია).
VIII		გეტებო შენ, ღმერთსა		92:	უფალი სუფვი.
IX		მალისა მირა მიოდინი		97:	უფალითი უფალსა განლობითა ხილთა.
X		მიხედვ. მხნელა, იორდენესა		113:	გამოსალსა ისრაელიასა.
XI		ღმერთი უფალი და გამა	ფსალმუნე იღარა არს მითითებული. შენიშვნა: თქენ ფსალმუნე.		
XII		აუკარბდით უფალსა	ფსალმუნე იღარა მითითებული. შენიშვნა: და იკითხონ სახარებაი.		

ბის საგალობლები, მაგრამ სხვა საგალობლებისგან რაიმე ნიშნით ისინი არ განსხვავდებიან.

ხელნაწერში გამოყენებული ნევმები ანუ სამელოდონური ნები. ეს ნიშნები, რომელთა საშუალებითაც აღნიშნულია მუსიკალური ფორმლები და, არა მხოლოდა მთლიანად<sup>4</sup>, დაწერილია, როგორც მოსალოდნელი იყო, ხაზს ზევით და ქვევით. ნევმებიერულია თავიდან ბოლომდე მხოლოდ იოვანე ოქროპირის საგალობელი, ხოლო იოვანე მასარებლის მიცვალების, კოხზან-დამანეთა, იაკობ დავრილის, წმ. გიორგის, წმ. ბარბარას, წმ. პავლეს, ფოკას, თორფრის, დიმიტრის საგალობლებს საერთოდ არა აქვთ ნევმები. დანარჩენ საგალობლებში ნევმებიერულია ერთი, ორი, სამი... ნაწილი კანონისა ან მხოლოდ სტიქარონები.

სომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ საგალობლის მხოლოდ ის ნაწილები იგალობებოდა, რომელსაც ჰქონდათ ნევმები. ხელნაწერში თავიდან ბოლომდე ნევმების გამოყენება არ იყო მოსალოდნელი, რადგან ამგვარად ნევმებიერული ხელნაწერები მხოლოდ სასწავლო დანიშნულებისაინ იყვნენ. რიტმული პუნქტუაციის გრაფიკული გამოსახვისა და ნევმების გამოყენების თვალსაზრისით ქართულმა დღვისისმასხვრებამ რამდენიმე საუკუნეი გაიარა. ქართულ სინამდვილეში ნევმები განჩნდა შედარებით გვიან. X საუკუნის მერვე ნახევარში, რადგანაც ადრე არსებული გრაფიკული გამოსახვის საშუალებები საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ უფრო ნათელი, გასაგები გამზადარიუ ქართული მასალის შეფარდება, შეწყობა ბერძნულ მასალასთან. ეს მისადაგება კი გარკვეულ სინძელებთან იყო დაკავშირებული, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდნენ ჩვენს სახელოვანი წინაარები. მაგალითად, გ. შთაწმიდელი წერს: „ესე ვითა დაკვეყრია ჩვენ, ბერძნულად ესე არს, და მე ფრიად ჭირი მინახავს მათსა გამოძიებასა და შეწყობასა და შენდა თრივე დამიწყრია, რომელ განჩათოდელ შენ“.<sup>5</sup> ხელნაწერში ხშირად შესულია მასალა, რომლსაც აქვს ნიითება: „ძეული“<sup>6</sup>. აქ ნევმების ხმარება არ იყო მოსალოდნელი, ეს ვგავშირებინებს, რომ ხელნაწერში ნევმები გამოყენებოდა მხოლოდ მაშინ, როცა საგალობლის, საგალობლის რომელიმე ნაწილის ან სტიქარონის გალობა, შეწყობა ძლისპირთან რამე სინძელესთან იყო დაკავშირებული. მასასადამე, ჩვენების საშუალებით ვერ გავიგებთ როდის იგალობებოდა, არ როდის იკითხებოდა საგალობელი.

გამომის, რომ დადგენა იმისა, თუ საგალობლის რომელი ნაწილი იგალობებოდა არ რომელი იკითხვოდა, ჩვენს ხელნაწერის მიხედვით ვერ ხერხდება, რადგან აუცილებლად გალობით შესასრულებელ საუფლო და ღმრთისმშობლის საგალობლებს არა აქვთ რაიმე განმასხვავებელი ნიშანი, არც რაიმე სპეციკალური ტერმინი ჩანს ამის თაობაზე. შესაძლებელია, ამას მიუთითებდეს ის ორი, სამი, ოთხი ან ჯვარში ჩასმული წერტილები, რომლებიც გვხვდება საგალობლების დასაწყისში და რომლებსაც ჩვენ ამ ტიტაზე ხელნაწერის სამკაულები ვუწოდებთ.

საგალობელი რომ აუცილებლად გალობისათვის იყვნენ განკუთვნილი, ჩანს იქიდან, რომ ყოველ მათგანს აქვს მითითება კმაზე ანუ კოლოზე.

„ქმანი გალობა“ საქართველოში ადრინდნეე გავრცელდა. ასეთი მითითება კმაზე ჯერ კიდევ XVIII ს ნათარგმნი „იერუსალიმის განჩინებაში“<sup>7</sup> გვხვდება და ჩვენი ხელნა-

ველაფერ ამას მოსდევს 9 ნაწილისაგან შემდგარი კანონი, რომელიც მოვარდება სტიქარონის აქტივობა.

როგორც ჩანს, საგალობლებისათვის არ იყო უცხო რეიტეტია: აქა-იქ გალობა წყდებოდა და იკითხებოდა სხვადასხვა საკითხავები ან თვით საგალობლის ნაწილები<sup>8</sup>. ამის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „თუმცა ყველა პირნი... საგალობლადა განკუთვნილი, მაგრამ ნამდვილად ყველა პირნი კი არ გალობდნენ, არამედ ზოგიერთს, სხვებს კი ცოთხულობდნენ ხოლომ“.<sup>6</sup> იგი იმომუშებს ანტონ კათალიკოსის, რომელიც წერდა: „არა არს საჭიროება; თხვიერ საუფლოსა და ღვთის-შობლისა დღესასწაულთა ძლისპირთა ზედა მუკლთა გალობად, და არა სადა ჰგალობენ ყოველთა მუკლთა, მით რამეთუ, უკუეთუთცა იგალობოს წვისსამებრ ყოველნი მუკლნი, არამცირედდ შრომა არს და ნიადგ პირნიმანებულ არს შრომა იგი.“<sup>7</sup> მაშ, უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ საგალობელი გალობისთვისაა განკუთვნილი, მას ამისთვის უნდა ჰქონდეს სპეციკალური მითითება. ამის შესახებ მსჯელობს კ. კეკელიძე და აღნიშნავს, რომ გალობით შესასრულებელი საგალობლები უნდა ყოფილიყო „საგალობელი მებურნი“. ეს ტერმინი ამოღებულია მიქელ მოდრეკილის ცნობილი კრებულისადა. ხელნაწერში არსად არ ვხვდებით ამ ტერმინს, ამავე დროს ის წარმოადგენს საგალობლების კრებულს, რომლებიც აუცილებლად გალობით უნდა შესრულებულიყვნენ. მაშ, უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობდა რაღაც სხვა ნიშანი გალობით შესასრულებელი საგალობლებისათვის. ასეთი განმასხვავებელი ნიშანი უნდა ჰქონოდა, ანტონის განცხადების თანახმად, დიდი საუფლო დღესასწაულებსა და ღმრთისმშობლისადა მიძიდელი საგალობლებს. დიდი საუფლო და ღმრთისმშობლის დღესასწაულებიდან ხელნაწერში შესულია: განცხადების წინა დღის, განცხადების, ჯუარისა განმორჩენის, ფერისცვალების და ღმრთისმშობლის ნიცკალე-

წერიც კმებზე მითითებისას ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებულ ტრადიციას იცავს.

მასზე მითითების გამოტოვების სულ რამდენიმე შემთხვევა ვიცით. დამატებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი როგორც წესი, კანონი, თავიდან ბოლომდე ერთ კმ-ზე სრულდება. სტიქტორენეს, აქებდითსა-ს გარდა, ყოველთვის აქვს მითითება კმ-ზე. აქებდითსა-ს ხან აქვს მითითება, ხან არა, ამას თავის ახსნა აქვს.

კმ-ზე მითითება ნიშნავდა საგალობლის ტონალობაზე მითითებასაც, რასაც შემდეგი გვაფიქრებინებს. ეკლესიაში იყო სპეციალური პირი, რომელიც გალობას იწვევდა. მას კანანარს ერქვა<sup>10</sup>, ეს პირი ზეპირად პოულობდა საგალობლის საჭირო ტონალობას და მის საწყის ბეჭრას, რომელიც იმის მიხედვით იყო კმით მითითებული, რომელ ბეჭრასაც თავდებოდა საკითხავების კითხვა (ამის ტრადიცია ეკლესიაში დღესაც არსებობს). მუსიკალური ნაწარმოების შიგნით დასაშვებია ტონალობის ცვლა, მოდულაცია, რაც სანტიტრესოს მოსამხმეს ხდის ნაწარმოებს. ერთ ტონალობაში, ერთ კილოზე შესრულებული საგალობელი დაზღვეული არ იქნებოდა მონოტონურობისაგან. საჭირო იყო ნისგან თავის დაღწევა, თავიდან ბოლომდე ერთ კმ-ზე შესასრულებელი საგალობლები ხელნაწერში ძალიან ცოტაა. ასეთია მხოლოდ საბას II, ირინას, თეკლას, ფოკას, დიმიტრის, ღმრთისმშობლის მიცვალების I, იოვანეს თავის კვეთის საგალობლები. მონოტონურობის თავიდან ასაცილებლად არ უფალო დაღატ-ყვასა და კანონი იგალობებოდა სხვადასხვა კმ-ზე, როგორც ეს იაკობ აბტირის, წმ. გიორგის, ეკატერინეს, ბარბარას, საბას I, ღმრთისმშობლის მიცვალების II, სტეფანეს, ბასილის, ანტონის, ეფთჰის, ეფრემის, განცხადების საგალობლებში, ან, როცა უფალო, დაღატ-ყვასა და კანონი ერთ კმ-ზე იგალობებოდა. მაშინ კმ-ს იცვლიდა აქებდითსა. ასე ეს კოზმან-დამიანეთა, მამას, ფებრინას, განცხადების წინა დღის საგალობლებში. მუსიკალურ ნაწარმოებში არაა დასაშვები ნებისმიერი მოდულაცია. ის გარკვეული წესების დაცემა საჭიროებს. საგალობლებში თითქოს კმის ცვლა არ უნდა სწავლებოდეს დასაშვებ ფარგლებს. ამას მუსიკათმცოდნეების სპეციალური კვლევა სჩიორება.

3. სინორეკვა, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული პოეტური მემორიუმებისა და მისი სახელოვანი წარმომადგენლების შესახებ, საგალობლების სტროფულა აებულობაზე წერს: „გალობანი“ გარკვეული პოეტური ფორმაა... იგი შედგება რვა თავისაგან, ყოველ თავში 3-4 სტროფა. ამრიგად, „გალობანი“ შეიცავს ან 24 სტროფს (როცა ცალკე თავები 3 სტროფიანია), ან 32 სტროფს (როცა ცალკე თავები 4 სტროფიანია)<sup>11</sup>.

ამ თავსაზრისით ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილი საგალობლების შესწავლამ ნათელიყო, რომ კანონის შემადგენელ ნაწილებსა და სტიქტორენებში სტროფების რაოდენობა მკაცრად განსაზღვრული არ არის. აქ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს 2, 3, 4 და 5 სტროფიანი ნაწილები. სტიქტორენი ოხითაა ძირითადად ერთ-სტროფიანი ჩანს. ირ-სტროფიანია მხოლოდ ბასილის საგალობლის ოხითაა და მეორე სტროფი, რომელიც ასე იწვევა: „გიხაროდენ ბრწყინვალეობა სიმართლისაო“ ღმრთისმშობლისა შთაბჯღილეუბას სტივებს. იოვანე ოქროპირის კანონი 32 სტროფი-

ანია, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი შემადგენელი ნაწილები ოთხ-სტროფიანია, არამედ აქ მონაცვლეობს ოთხ, ხუთ და ექვს სტროფიანი ნაწილები და მასში სტროფების საერთო რაოდენობა ქმნის 32-ს. ყოველივე ეს არ გამოირჩევა ხელნაწერში 24 სტროფიანი საგალობლების არსებობას. მაგალითად ასეთებია: იოვანე მახარებლის მიცვალების, კოზმან-დამიანეთა, ეკატერინეს, ბარბარას, ჯვარისა გამოჩინების, მამას, იოვანეს შობის, ფებრინას, პავლეს, პეტრეს და პავლეს I, პროკოპის, კვიტუს, მარინას, პანტელეონის და ფოკას საგალობლები.

საგალობლისათვის, როგორც პოეტური ნაწარმოებისათვის, დამახასიათებელია კიდურწრილობა. ასეთი კიდურწრილობა არც ჩვენი ხელნაწერისათვისაა უცხო. ზოგჯერ კიდურწრილობა ავტორის, მოწამის ან სხვათა სახელს გვაჩვენებს. ასეთია A 596-ში სტეფანე პირველმოწამის საგალობელი, რომლის აუბლიცა-ში სახელი მიც. ბრუნვის ფორმითაა მოცემული — სტეფანეს. ამ მოწამის საგალობელი რადენჯერმე გამოცემულია, მაგრამ ჩვენ ხელნაწერში არის კიდევ ერთი, სხვა საგალობელი ამ მოწამისა. ამიტომ ძნელი სათქმელია, აქ ავტორის, სტეფანე სანანოისძის სახელი იგულისხმება თუ მოწამისა. ალბათ მოწამეზეა ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ აქებდითსა-ში სახელი მიცემით ბრუნვანია ჩასმული. ხელნაწერში წინადადებრივი კიდურწრილობის ნიმუშებიც გვხვდება. ამგვარადაა გაწყობილი წმ. გიორგის და ირინას საგალობლები. წმ. გიორგის საგალობელში სტროფის თავი ასობენ ქმნიან კანონის პირველ სტროფს: „მადლი შე აწ მომანიჭე სულისა საუნჯეოვან, ქრისტეს!“ ასეთი რედაქცია წმ. გიორგის საგალობლსა ითვლება ანონიმი იერუსალიმელი ჰიმნოგრაფის ნიმუშად<sup>12</sup>. ხელნაწერში ფრანკა ქარაგმებითა მოცემულია: მადლი შე აწ მომანიჭე სულისა წმიდის საუნჯეოვან, ქრისტე ჩანს, რომ ოდნავ განსხვავებული რედაქციაა. ირინას საგალობლის კიდურწრილობა კი გვაძლევს შემდეგ ფრანს: მამუ, ამენსა ირინი ქენით შავსმხიდეთ. ხელნაწერისთვის არც ანაზნატი კიდურწრილობაა უცხო. დემეტრეს საგალობელი გაწყობილია ასეთი კიდურწრილობით და ანანი ანიდან, ფარამდეა მოცემული.

საგალობლებში აქა-იქ დაუმთავრებელი ფრაზები გვხვდება. ყველაზე ხშირად არასრული ტექსტისა სტიქტორენებში უფალო, დაღატ-ყვასა და აქებდითსა, ოხითა-სში. კანონის ნაწილებიდან კი კურთხეულარსსა და აკურთხევილისა შედარებით ნაკლებად გვხვდება დაუმთავრებელი ფრაზები კანონის ნაწილებში: უგალობდითსა, განლიერდითსა, მესამასა, ადიდებდითსა.

ასეთი დაუმთავრებელი ფრაზები ერთი შეხედვით რეფრენის შთაბეჭდილებას ქმნიან. ეს ასეა, მაგრამ არა ყოველთვის. ა. მ. ფერისცალოვის საგალობელში არასრულია ლა-იოვანასა-ს მხოლოდ მეოთხე სტროფი და მისი დამამთავრებელი ფრაზა განსხვავდება სხვა სტროფების ბოლო ფრაზებისაგან. ასეთ დაუმთავრებელ სიტყვებს, ჩვეულებრივ, ამათვარებს შესაბამისი ირმოსის ბოლო ფრაზა, მაგრამ არა ყოველთვის. აის შემთხვევები, როცა საგალობლის ნაწილში დაუმთავრებელი ფრაზა ისეთიანადაა შეწყვეტილი, რომ მისი შევსება ირმოსის საშუალებით არ მოხერხდება. ასეთ დროს არსებობს ფრაზის შევსების მეორე წყარო — თავად ტექსტი. ტექსტის რომელიმე სტროფში, ჩვეულებრივ პირ-

ველში, საჭირო ფრაზა მოცემული. ტექსტი არსებული მასალის (და არა ირმოსის) მიხედვით იყება უფალო, დაღატყვაება-ში განცხადების, ანტიონის, იოვანეს ოქროპირის, ღმრთისმშობლის მიცვალების, იოვანეს თავის კვეთის, განცხადების წინა დღის, კრიკეს, ქრისტინას, თეკლას, სუმეონის, პეტრეს და პავლეს I, აკობის, ეკატერინეს, საბას და ქრისტეფორეს საგალობლებში. აქედითაა-ში—განცხადების, პროკობის, მარინას და მამას საგალობლებში. მესამეა—განცხადების და ფერისცვალების საგალობლებში. აკურთხევითაა: ღმრთისმშობლის მიცვალების, იოვანეს თავის კვეთის, ჯუარისა გამოწინების და სუმეონის საგალობლებში. აღიდებდითა—სუმეონის საგალობელში.

საგალობლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ძლიანსარი. „ძლიანსარი არის გალობის ანუ კანონის ყოველი გალობის (ოღის) და სტიქარონის პირველი ტროპარი, რომელიც რიტმულ-მელოდიურ მოდულს წარმოადგენს გალობის ან სტიქარონის დანარჩენი ტროპარებისთვის“. <sup>13</sup> ხელნაწერში სტიქარონების, კანონის შემადგენელი ნაწილები ისა და ძმისწე მითითების შემდეგ, როგორც წესი, მითიებულია ძლიანსარით. ტექსტი მოაგრდება ღმრთისმშობლისაზე მითითებით, რომელიც გალობის ან სტიქარონის უკანასკნელ ტროპარს წარმოადგენს.

ქართული ლიტურგიკისათვის დამახასიათებელია, რომ სხვა მართლმადიდებლური ეკლესიებისაგან განსხვავებით, ქართულად არსებობდა კომბინირებული კრებულები, რომლებსაც „ძლიანსარი და ღმრთისმშობლისანი“ ეწოდებოდა. ეს კრებულები იადგარათა ერთ-ერთი აუცილებელი შემადგებელი ნაწილი წარმოადგენდნენ და „ზოგჯერ მოიცავს გამოთხანისა და სტიქარონების ძლიანსარებს ერთად, ზოგჯერ კი სტიქარონთა ძლიანსარები გამოყოფილია გალობის ძლიანსარებისგან“. <sup>14</sup> ძლიანსარების, მათი დანიშნულებისა, რედაქციებისა და ბერძნულ იმპლოვირებთან მიმართების შესახებ არსებობს პ. ინგრორუყას (თბზ, ტ. III, გვ. 79-92) და ელ. მეტრეველის (ძლიანსარი, 1971) რეკვილი და საუბუქონიანი გამოკვლევები.

A 596-ში ძლიანსარზე მითითება ორნარიად ხდება: ა) უმეტეს შემთხვევაში მოცემულია ირმოსის დასაწყისი სიტყვები. მაგ., ბაბილონს სამთა ყ; ბაბილონს ყრმანი შ. გალობით პ; გაქებით შენ; ვანაპო სიძ; და მისთ. ბ) ზოგჯერ დასაწყისი სიტყვებს ემატება „ზედა“. მაგ., გიხაროდნთა ზედა, მენეთთა ზედა, სუფევთა ზედა, ხისა მიერთა ზედა. ასეთი მითითება მხოლოდ სტიქარონებისათვისაა დამახასიათებელი. რასაკვირვებელია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველნარი მითითება სტიქარონებთანაც არ გვხვდება.

თუ ძლიანსარი კანონის ნაწილის ან სტიქარონის რიტმულ-მელოდიური მოდელი (და ეს მართლაც ასეა), მაშინ ის ყოველთვის უნდა იყოს მითითებული ხელნაწერში გვხვდება შემთხვევები, როცა ასეთი მითითება ირმოსზე არ ჩანს. მაგ., ძლიანსარი არ არის და არის ღმრთისმშობლისანი უგალობლისა-ში; პეტრეს და პავლეს II საგალობელში; განძლიანსარებისა-ში განცხადების საგალობელში, მესამეა-ში თეკლას, იოვანეს თავის კვეთის საგალობელში, დამითვანასა-ში განცხადების საგალობელში. შეიძლება გვეფიქრა, რომ გადამწერს შეცდომა მოსვლიდა, რომლის გამოსასწორებლად ეცადეთ ძლიანსარების აღდგენა ღმრთისმშობლისანი მიხედვით. აღმოჩნდა, რომ თეკლას საგალობელში მართლაც შეშინებული

ვით იყო გამორჩენილი მითითება ძლიანსარზე. ყველა სხვა შემთხვევაში საგალობლისა და ძლიანსარის პირველი ნაწილი სამი სტიქონი ერთნარია. სალოტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს:

განძლიანსარისა (განცხადების საგალობელში)

ძ ღ ი ს პ ი რ ი<sup>15</sup>

ტ მ ს ტ ი

<p>რომელმან მოსცა ძლიანსარსა მეთხანა ჩუნენსა უფალმან, და აღამალა რქაჲ ცხოვრებულსაჲ, და აღადა ეკლესიასა მართლმადიდებლობასა</p> <p>შინა, ამას უგალობეთ დღეს; არაჲ ვინ არს წმინდა, ვითარ ღმერთი ჩუნი.</p>	<p>რომელმან მოსცა ძლიანსარსა მეთხანა ჩუნენსა უფალმან, ესე იმეჲ ქალწულისაგან მიუწყებულ ბუნებრივ და ნათელი იორდანეს, ასე უღალადებდეთ: არაჲ ვ:</p>
--	---

გამოდის, რომ კანონის შემადგენელ ნაწილთა ძლიანსარზე მითითება არ არის მაშინ, როცა მისი და შესაბამისი ტექსტის დასაწყისი ერთნარია.

იმის კითხვა: იგალობებოდა თუ არა ძლიანსარი საგალობლის ერთად და იყო თუ არა ის საგალობლის პირველი ტროპარი. ივ. ჯავახიშვილი იმუშავებს ექ. ვასილ წერეთლის სიტყვებს: „წინათ ძლიანსარებს ცოდნა შინაური აღზრდის ერთ-ერთ პირობად მიანჩნდნენ და მზუნით მე და ჩემი ბიძა-შვილები (ნესტორ და ილიარი წერეთლები) საქციალურად მიგვაბარეს მასწავლებელს, ვინმე სვერელ მაგლობელს (ს. სვერი ჩვენი სოფლის გვერდით ღებნაიობს). ძლიანსარებს ეკლესიაში არ ამბობდნენ და ლხინში კი ხშირად. ცმაწილობაში შესწავლილი ძლიანსარებიდან, რომელთაც ერისკაცობა ამბობდა ზოლმე ლხინში, ექ. ვ. წერეთელს მხოლოდ თხოვდა ასხვს, მათგანაც მართკ დასაწყისი სიტყვები აღაგრძედა სახელობარ: 1. მერცხალი შევინიერო, 2. ზღვა მეწამული კვერთხმან განაპო.“ <sup>16</sup> უკანასკნელი ძლიანსარი შესულია ძლიანსარის კრებულში № 268. რადგან ძლიანსარი ზოგჯერ არ იყო მითითებული საგალობლებთან და რადგანაც ვ. წერეთლის შეპირი გადმოცემაც არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძლიანსარი არ იგალობებოდა საგალობელთან ერთად, ყოველ შემთხვევაში X საუკუნეში მაინც.

ასევე არ არის ზოგჯერ მითითებული ღმრთისმშობლის საგალობლის სხვადასხვა ნაწილებში. მისი გამოტოვების შემთხვევები უფრო ხშირია. აქაც ცვალებად ღმრთისმშობლისანის აღდგენა ძლიანსარის მიხედვით. აღდგენა მოხერხდა ჩხოლოდ იოვანეს ოქროპირის, ეფრემის, პეტრეს და პავლეს II და ფებრონიას საგალობლებში. ზოგი ღმრთისმშობლისანი ძლიანსარის გამოცემულ კრებულში საერთოდ არ დაიქმნა.

ალბათ არც ღმრთისმშობლისანი იგალობებოდა ყოველთვის საგალობლის ტექსტთან ერთად. ამას შემდეგი გარემოება გვაფიქრებინებს: ხელნაწერში არის განცხადების წინა დღის საგალობელი, რომელსაც კანონის შემადგენელ ნაწილებში ორ-ორი ღმრთისმშობლისანი აქვს: უგალობდითა: უწმინდასა ბუნებასა კაცთასა [ელ. მეტრეველის ძლიანსარის მიხედვით] და მოდრიგნა (ხელნაწერის მიხედვით). განძლიანსარის: ა) რომელმან გვშ. ბ) საუკუნეთა უპირატეს ყოფილი. დამითვანასა: ა) ქალწულისაგან კაცთა ცნობებისათვის, ბ) ძალი მტერი. დაღატყვაგასა: ა) სიტყუაჲ, დასაბედელი; ბ) შენ ვითარცა დედა. კურთხეულები: ა) სამაიერი, ბ) განუწყვეტელი; აკურთხეულები; ა) დაუსაბამო დასაბამიერ იქმნა. ბ) სა-

ბემა. ორიდან პირველი შეტანილია მთლიანად ტექსტში და მეორე მითითებულია შემდეგ ნაწილებში: დამოთვანსა, და-ღატკუასკა, კურთხეულარსსა, აკურთხევდითსა. განძლიერდითსა-ში კი ორივე ღმრთისმშობლისაზე მხოლოდ მითითებაა, მაშასადამე, გამოდის რომ, როცა საჭირო იყო ღმრთისმშობლისას ტექსტის გალობით შესრულება, ის ტექსტში მთლიანად შეჭუნდათ, როგორც ძლისპირები.

როგორია საკმის ვითარება ძლისპირებისა და ღმრთისმშობლისას მითითებისა სტიქარონებში. კანონისაგან განსხვავებით, სტიქარონებს ზოგჯერ არა აქვთ მითითება არც ძლისპირზე და არც ღმრთისმშობლისაზე. განსაკუთრებით მზარდაა ეს სტიქარონებში უფალო და დაღატკუასკა და ოხ-თათა-ში. ამის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი თვინი თვთავაჲნიან. აქ, უფრო მეტად, ვიდრე კანონებში, ხშირია შემთხვევები, როცა ხან ძლისპირია მითითებული, ხან ღმრთისმშობლისანი. უნდა დავსძინოთ, რომ, როცა ძლისპირია: გიხაროდნეთა ზედა, მაშინ სტიქარონის ტექსტიც „გიხაროდენ“ სიტყვით იწყება. თუ ღმრთისმშობლისანია უფალო, დაღატკუაჲ, მაშინ სტიქარონი ყველგან ამ სიტყვით იწყება.

სტიქარონების ძლისპირები და ღმრთისმშობლისანი, როგორც მოსალოდნელია იყო არ შეეხებოდა ელ. მეტრეველის მიერ გამოცემულ „ძლისპირნი“<sup>1</sup>. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სტიქარონების „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ცალკე კრებულებში უნდა ყოფილიყო. რადგან ასეთი კრებულ ჯერ კიდევ არა ჩანს, A 596-ში სტიქარონებთან მითითებულ ძლისპირებს თავ-თავისა ღმრთისმშობლისანით წარმოვადგენთ, სადაც ასეთი ძლისპირის ღმრთისმშობლისანი არ არის, იქ დავსვათ ტირის: ანგლოზთა დღე; —; გიხაროდნეთა ზედა, გიხაროდენ შენ უმე დღეს აღდაჲ ქრისტე საგ., შორე; ლახურსა გა, გიხაროდენ ვენაკო მაღლისაო, მამისაგან მო, გიხაროდენ ქალე; მოგიცემის ღმერთი სას-წულად, მოვედით ვადიდებ, მოვედით ავგი, გიხაროდენ ღმრთისში; მომიტყუნენ ჩენე, შენ დანი მცნეთთა ზედა, საღმრთოთა; რაგამს მოწყალე, რომელსა ქა; რაგამს შევი, შენ სიქადლთ; რომელი მოხვე, რომელმან ჰშვე უთე; რომელი ხარ დიდებულ, რომელმან ჰშვე; სუფესა ღმრთი წმიდაა, საღმრთოსა ტა; სუფესთა ზედა, საღმრთოსა ტა; ქრისტე კაცთმრ, დავითის ძირ; შენ სიტყუაა და, ზეცისა განწყე; ცხოვრის მომცე, (აკლია); ხსის მიერ ადამ, — ხსის მიერ-თა ზედა, —; სასწაულთა ზედა, ა) დიდებული ხა, ბ) მაღ-ლი, გ) გიხაროდენ ღმრთის.

ქ. ჯღამაია თავის ნაშრომში „XI საუკუნის ქართული მწიგნობრის ისტორიიდან“<sup>2</sup> 78-ე გვერდზე წერს: „იადგარების ძლისპირი „გიხაროდენ და მზიარულ იყავ“ გიორგის „თთუნში“ სისტემბერ შეცვლილია იმავე ხმისა და ზოდის ძლისპირით „ქა დიდებული საკრველი“ ან „მამისაგან შობილი“. ძლისპირი „გიხაროდენ და მზიარულ იყავ“ მხოლოდ იმ იადგარებისთვის არის დამახასიათებელი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში იადგარების აღირინდელ, უძველეს რედაქციადა მიჩნეული. ესენია მე-10 საუკუნის იადგარები: იელის, წვირმის, Sin I. ამ ძლისპირს (გიხაროდენ და მზიარულ იყავ) არ იცნობს მიქაელ მოდრეკელის საგალობლების კრებული“<sup>3</sup>.

თუ ძლისპირი გიხაროდნეთა ზედა არის ძლისპირი „გიხაროდენ და მზიარულ იყავ“ (ამის გაგება მხოლოდ მაშინ მიხერხდება, როცა გამოვიყმა სტიქარონების ირმოლოგიანი

(ცალკე), მაშინ ის ჩვენს ხელნაწერში გვხვდება სტიქარონებში: უფალო, დაღატკუასკა კურიკეს და ანტონის საგალობლებში და ოხითაჲ-ში განცხადების საგალობელში. „ეს დიდებული საკრველი“ არ გვხვდება, „მამისაგან შობილი“ შეგვხვდა სტიქარონებში: უფალო, დაღატკუასკა პავლეს საგალობელში, ხოლო აჭებდნისა-ში ბარბარის და განცხადების საგალობლებში. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენს ხელნაწერში, A 596-ში, წარმოდგენილია იადგარების ძველი რედაქცია მიუხედავად იმისა, რომ ის გამოკრებილი, და ნაკლებული სიხვედრისა, ამდენად, ამ ხელნაწერში წარმოდგენილი საგალობლების, მათი ავტობულებისა და ძლისპირებთან მიმართების საკითხის შესწავლით შეიძლება ნაწილობრივ მაინც შევეცქინას შთაბეჭდილება ძველი ქართული საგალობლების შესახებ.

**შენიშვნები:**

- 1 ქ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 588.
- 2 ქ. კეკელიძე, იერუსალიმის განჩინება, 1912, ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, გვ. 324, გალობანი.
- 3 ც. ჯღამაია, XI საუკუნის ქართული მწიგნობრის ისტორიიდან, საკან. დისერტ. (ხელნაწერი) გვ. 28, 38.
- 4 ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, ტ. I, გვ. 588.
- 5 ფსალმუნებს ემიოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: მხ. შანიძე, ელსაღმრთი, 1960.
- 6 ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 604.
- 7 ქ. კეკელიძე, ანტონ კათალიკოსის სალოტურდიკო მოღვაწეობიდან, 1960 წ.
- 8 Н. Успенский, Древнерусское певческое искусство. Москва, 1965, გვ. 35.
- 9 შტრ. ჰ. ინგოროვაც, ოხზ., III, 1965.
- 9 ანდრას ემიოწმებთ ელ. მეტრეველის გამოკვლევიდან: „შეკლისა“ და „მებურის“ გავებისათვის“, კრებულთ: „შობის რუსთაველი“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, გვ. 165.
- 10 ა. შანიძე, ქართულთა მონასტერი ბულგარეთში, 1971, ლექსიკონი, გვ. 174.
- 11 პ. ინგოროვაც, გიორგი მერჩულე, ნაწ. II, ძველ-ქართული პოეზია V-X საუკუნეთა, ოხზულებანი, ტ. III, 1965, გვ. 9.
- 12 პ. ინგოროვაც, ოხზ. III, გვ. 269.
- 13 ელ. მეტრეველი, ძლისპირი, 1971, გვ. 9.
- 14 ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრ. გვ. 9.
- 15 ტექსტის ემიოწმებთ ელ. მეტრეველს დასახ. ნაშრომიდან № 69.
- 16 ივ. ჭავჭავაძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, გვ. 76.



# გლეგ ვასკალი

## ბაჩანა ბრეგვაძე

„საქართველზე გუნდრტის უთავლავ მარცხელ ძეგს; ზოგი უფრო აღრე ცევა სამსკვარლო ცესკლ-ში, ზოგი კი უფრო გვიან, მკვარამ რა მნიშვნელობა აქვს ამას?“

მარკუს სპრინგერი

„იქმ ერთი კაცი, რომელმაც თორმეტი წლის ასაკში, „რგოლების“ და „ჩოხების“ თამაშით ხელახლა აღმოაჩინა გეომეტრია; თვევსმეტი წლისამ დაწერა დიდებული მეცნიერული ტრაქტატი კონუსური კვეთის შესახებ, რომლის ბადალიც ანტიკურობის შემდეგ იშვიათად თუ შეუქმნია კაცის გენიას; თვრამეტი წლისამ „არითმეტიკულ მანქანას“ გადაუწერა უველაფერი, რაც ახასიათებს ადამიანის გონიერებას; ოცდასამი წლისამ დაამკიცა, რომ მკერსის სიმძიმე გონიერებას; ხოლო იმ ასაკში, როცა სხვები ძლიერ აღწევდნენ გონებრივ სიმწიფეს, არსებითად, ამოწურა ადამიანური ცოდნისა და მეცნიერების ვეება სფერო, შეიცნო მათი უზადრუკობა და ამაგობა და მთელის არსებობა მიიქცა სარწმუნოების მიმართ; აქედან მოყოლებული ვიდრე თვით აღსასრულამდე (იგი ოცდაცხრამეტი წლისი გარდაცვალი), ავადმყოფმა და სნეულებით გაწამებულმა შექმნა ენა, რომელიც მეტყველებდნენ ბოხიოც და ჩასინი; დაჯიგოცა უველაზე მკაცრიგონიერად სატარის, ისევე როგორც უველაზე დახვეწილი მსკერების უფრო ნიშუშები; და ბოლოს, ტკივილის უსასტიკეს შემტევებს შორის, სულიშობიქმის ხანმოკლე უშაფედებში, თავწესიქცევად გადაწვიტა გეომეტრიის ერთ-ერთი ურთულესი კარბობა და ქალღღრღე გადაიტანა აზრები, რომელთა ავტორობაც შეძლებდა ისევე მიყენების ღმერთს, როგორც კაცს. ამ თაზრანამდეც გენიას (Cet effrayant génie) ერთკა ბლეს ასაკელი“.

ფრანსუა რენე დე შატობრიანის ამ სიტყვებში წღგრული სისხარტით და სისადვიტ გადმოცემულია ასაკლის მთელი ხანმოკლე სიცოცხლე, უფრო სვედიანი და გულისშემკრელი, უფრო მშფოთვარე და ბოხოქარი, ვიდრე თვით უველაზე უჩვეულო თავდასახლებებით, ათხვევარი ხიფათით და ფთორებით, თავგზრდამხვევი მიღწევების სიამაყითა თუ იმედგაცრთვებისა და ხელიწმორების სიმწერით აღხავე რამდელიც გნებავთ ბიოგრაფია... მაგრამ ჩვენ მოვალე ვართ, აქვე დავაუსტოტო ერთი გამოთქმა... ხანმოკლე სიცოცხლის მნიშვნელობა, აქვე განსაზღვროთ მისი ქვეშარტი არის, ნუ გავწომავე ასაკლის ამქვეწნერი არსებობის უავლ მარტოოდენ ქრინოლოგიური სკალი, არამედ გავაზროთ მისი ცხოვრების უჩვეულო ინტენსიობა, ნაყოფიერება და მრავალშობილობა, მთელი მისი სიმდიდრე, მისი სიღრმე, მისი სიხვევე; წარმოვივადინოთ ბლეს ასაკელი: მათემატიკოსი — ალბათობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის დიდალბორჩენა (ნიუტონი, ლაიბნიცი) უშუალო წინამორბედი; ფიზიკოსი — ჰიდროსტატიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დამაარსებელი; კიბრნეტიკოსი — კაიკობრიობის ისტორიაში პირველი გამოთვლილი მაქსიმის შემქმნელი; ბლეს ასაკელი — ფილოსოფოსი — მორალისტი, ქრისტიანისმის აპოლოგეტი; ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ეკსისტენციალიზმის, პერსონალიზმისა და სხვა თანა-

მედროვე ფილოსოფიური სკოლებისა თუ მიმართულებების შორელი წინაპარი; პოლ ვალერის, რომანი გვარდინის, ლეონ ბრუნშვიგისა და თანადროულობის ბევრი სხვა თვალსაჩინო მოაზროვნის უშუალო შთამაგონებელი... დიამ, წარმოვიდგინოთ უკვლევეც ეს, და ჩვენ შევიკიძია თამამად დავაცხენათ: ამ კაცს, უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმეს, უფლება ჰქონდა გაემეორებინა დიდი იტალიელის სიტყვები: „La vita bene spesa longa“ — „ქარგად დახარჯული სიცოცხლე დიდგრძელი სიცოცხლეა“... „ადამიანი უნდა დაიხარჯოს სწორედ ამით განისაზღვრება მისი ფსი. წარბოვიტ მას ეს ფსი და ადამიანი არაად იქცევა“, — ამბობს პოლ ვალერი. ამ არარობის თან უწყვეტ ჰიღლიშობი არავის დაუზარკავს უფრო დაუწევავედ თავისი გონების ძალშობილობა, არავის გაუცია უფრო უშურველად თავისი გულის სიბოზი.

მაგრამ ჩვენს უშუალო მოზნს არ შეადგენს ამ „თვითმფლანგველის“ მეცნიერული მიღწევების გამოწველიღვიტ განხილვა, მისი შემოქმედებითი დავალიშის დეტალური ანალიზი. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვიანტრტევს: მოკლედ მანც მითოვიზილოთ ასაკლის ცხოვრება, ვინაიდან არაფერი ის მევიდროდ არ ერწყმის და არაფერი ისე სრულად არ განსაზღვრავს ერთობერს, როგორც დიდი ფრანკის პირადი ბედი და მისივე მსოფლმხედველობა: „მისი აზრი არის მისი ცხოვრება და მისი ცხოვრება არის მისი აზრი (Ce qu'il a pensé, c'est sa vie; ce qu'il a vécu, c'est sa pensée) — მართებულად შენიშნავს ფრანკი სწავლული პოლ არშობილო, — ასაკლის ცხოვრების აღწერით ჩვენ ვიმეცნებთ ასაკლისხვე ფილოსოფიას, ციტადებთ მის პირველსაწყისს, ვწვდებით მის ინტომურ სიღრმეს“. ჩვენც სწორედ ამით დავიწყოთ, ხოლო პირველი სიტყვა მიეცეთ მას, ვის წინაშეც კრძალიტი დუღდება უველა ფრანკი თუ არაფრანკი ასაკილოლოგი (ქვემოთ ეს თბილი და მოაღერსე, დედობრივი სინაშით, სიუვერულითა და თანაღობით მითროლოგი ხმა კლავდ არაბოთხელ დაარღვევს ხანაუწუნოვან დუღილს):

„ჩემი ძმა დაბადა ლტონში, 1828 წლის 19 ივნისს. მამარჩეს, სახანართლოს თავმჯდომარეს (président en la cour des aides) ერთკ ეტენე ასაკელი, ხოლო დედას — ანტუნენტა ბეგონი“. — ამ სიტყვებით იწყებს თავისი ძმის ცხოვრების აღწერას მაქამ პერიდი (უღლებრტა ასაკელი) — „აზრების“ ავტორის უველა ბიოგრაფის ეს უფრულესი მეგობარი, მწე და მეიხი, ვისი თბრობის შესსკალი სისადავე და უზარალობა ესოდენ ჩრფელად, შეუფერავად და შეუღლამაზებლად აღმოგვეცემს მისი დიდი ძმის სულიერი სანაურსის“...

ეტენე ასაკელი თავისი ძრობის მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიურა იყო: მათემატიკოსი და ფიზიკოსი, ზნუნებისმეტყველო და ღმინისტი, ხოლო ასაკელი დედა სათნობითა და ღვთისშობილობით გამოირჩეოდა. ერთადერთი ვყვის გარდა მათ ჰყავდით კლდე სამი ქალიშვილი: ანტონია (სულ პატარა გარდაიცვალა), ელზებრტა

(დახადა 1620 წლის 3 იანვარს) — 1641 წელს ცოლად გაუვა ბლესის მეფობას, თანამარხებულა და თანამარხს ფლდრენ 1635 არს, და ბოლოს, ყველაზე უმცროსი — ვაქინი (დაიხადა 1635 წლის 1 ოქტომბერს). რომელიც შემდგომ თავისი ძმის ზუგველნით მარჯნად აღიკვეცა. ბლესი მხოლოდ სამი წლისა იყო, როცა დედა განადგეცულა და შვილები ახლად მთლიანად თავს იღამებან.

1631 წლის პასკალების ოქამმა დასტოვა კლერმონ-ფერანი და საც-ხოვრებლად პარისს გადასახლდა.

სასკლის დრონიდელი პარისი, XVII საუკუნის საფრანგეთი — ევროპის უდიდესი სახელმწიფო, მოსოფლი კულტურის აღიარებ-ბული ცენტრი: თავისი სახელგანთქმული შერქლებით — პიერ კორ-ნილი (1606-1684), ეან რასინი (1639-1699), ეან-ბატისტ მოლიერი (1622-1717), ეან ლაფონტენი (1641-1695), ნიკოლა ბუალო-დებარი (1636-1714), შარლ პერი (1628-1703); თავისი არანაქლები სახელ-განწმული ფილოსოფოსებით — ბენ დეკარტი (1596-1650); ნიკოლე მალბანში (1638-1715); თავისი მეგერეტკელებით — ვაქინინ ბონიუე (1627-1704); ესპირ ფლემურ (1632-1710), ფრანსუა ფენე-ლი (1651-1715); თავისი მორალისტებით — ფრანსუა ლაროშფუკი (1613-1680), ეან ლაბრთერი (1645-1696); თავისი მხატვრებით — ნიკოლა პუსენი (1594-1665), კლოდ ლორენ (1600-1682); თავისი მათემატიკოსებით, ფიზიკოსებით, აბტარნიომებით, მედიკოსებით; თავისი ახლად დაარსებული აკადემიებითა და პირველი აკადემიკოს-ებით; თავისი მონარქებით — ფილიპი ლეი XIII (1610-1643) და მისი შემეცადერ, 'მეგრე-შე', 'ღმრთისმაცემი' ლეი XIV (1643-1715); თავისი ვაჭილი კარდინალები, რომლებმაც პოლიტიკაზე გაავსებენ მდღელდროშებზე — დიდი რიშელიე (1585-1642) და პა-ტარა მარზინი (1602-1661); თავისი 'ფრანდოზი' (1648-1653); თავისი გუთავებელი სისტემისფორული ინფანტის (ესპანეთში), მონან-დ'ასანს, გერმანიასთან, შვეიცარიასთან, რუმინეთთან, ავსტრიასთან)<sup>10</sup>, რომლებმაც განაღდეს საფრანგეთის სახელი და, იმდარდრულად დაწირტეს კიდევ მისი ძლიერება; თავისი დიპლომატიური ინტრიგ-ებით, პოლიტიკური ავანტურებით, ამსოლტისებური მისწრაფებ-ებით; თავისი შინაშობლობებითა და რელიგიური ბრძოლებით; თავისი ფუფუნებისში ჩამხარტალი სახახლის კარის, პრეპოზიტობებუ-ლი დიდებულების ხალ-მსყარადებითა და თავისი დამშუული, უფუ-ნად და სასიმიდელი შვიდიორების ამბოხებით; თავისი სიბ-ბღლით და სიდიადით, თავისი ცრემლით და სიცილით, თავისი ბრწინებალებით თუ უბადრუკობით, თავისი მოწვეულით თუ ძონუ-ბით...

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ XVII საუკუნის ფრანგული სინა-დლისი მთელი ეს კაოტორად ჰქრული სურათი, მთელი ეს ფერადი მოსიკა მხოლოდ ქრონილოგური ჩარჩოა, რომელიმაც, ბედისწერ-ასის თუ განცემის წებით, ჩაქსოვლია პასკალის ცხოვრება და რომელიმაც შვილებმა მისი აზრი, ყალიბებმა მისი მსოფლიმხედველუ-ბა. ყველდ შემთხვევაში, თვითონ სწორედ თავს განიცდიდა და ქვეყ-ნად თავისი მოკლინების მისებური იდუმლებს:

..... მე ვხედავ საყარას საშინელ სივრტეს, რომელიმაც ვარ ჩაყე-ტობი; მე ვგრანბის, რომ მიჭკეული ვარ ამ ფვრცესი სამყაროს მხოლოდ ერთ უკუწლებს, მაგრამ არ ვიცი, რად მხედ ვარად სწო-რედ ეს კუთხედ და არა რომელიმე სხვა ადგილი, და რად მეზმისა ხა-სიციცქლად ერთი მსწრაფლმწარმავალი წამი მარადისობის სწო-რედ ამ და არა რომელიმე სხვა წერტილში, შარდისმარასა, რომელიც წინ უსწრებს ჩემს დასაბამს და რომელიც მოსდებს ჩემს დასას-რულს<sup>11</sup>.


აი, რატომბა, რომ, რამდენიმე წართული მინიშნების გარდა, პას-კალის 'ასურბისში' ეგრესდ შუბღებდით ფრანგული ისტორიული სინ-აშფლობის თუნდაც შორეულ დროისაგან, თუნდაც მიქაქელა და ულანი ექოს. ისტორია მისთვის მხოლოდ და მხოლოდ სარტეა, რომ-ლის ცივი და გლეჯი ზედაპირი უტყველო მონარქფორებით ჩაყე-ლავს ერთი და იმავე კალაოტი მარადმდინი სიციცქლის; ჩამო-თი-წამად ცვალებადი სინაშდლისი უინან თამაში<sup>12</sup>. 'ასურბისში' აფორმისაშფობის თითქოს არ არსებობს იმიტიტორი დრმა-სამყაროული ყულისმარდების, დენაღობის, ნეგაფის, შუნების ზოგადი ფორმა; ერთადერთი ქრონილოგური რეალობა მისთვის არის პირფონული განცდის შინაარსი განსაზღვრული და განპირობებული სუბიექ-ტური დრმა: ინტერტების ერთადერთი სავანე — ისტორიული ცოლო-ციის პროცესში არსებითად უტყველო ზეფორივი სუბიექტი, მისი ნებებით და სურვილებით, მონებებით და მისწრაფებებით, საწყა-

რისა და ღმერთის მიმართ მისი ურღვევი თანაფარდობით: „... მისი განსაკუთრებული მთლიანობის, მისი შინაგან სიბრტყეზე უწყუ-ღეს ინმნუელი ორჯანვანი ქამლისფილისებისთვის მიღუქვნილი მარტინი<sup>13</sup> ცნობიერი ქვევა, ეგსალტირებული როცა ღმერთის გარშემო. მისი გონება ყველაზე კუმსარობ კოტკატეს ეტებს... ცნა შესივტიად მით-ათლის ანგარაშიმ საყაროს, ადამიანს, ღმრტოს. შესაქვე, უწმინ-ლებმა, შემოქმედნ ერთი და იმავე აღქმის სამი ზეფარია (Création, Créature, Créateur sont trois termes d' une même préhension). მათი ურთიერთგანმშობლობა ერთობლივი სხეულის, მთლიანი ორჯ-ანიშის დანაწიერებას ნიშნავს<sup>14</sup>... სამ ასექტად განწილველლ ამ სუბიექტურ დრმაში, ამ ინტეგრალურ სინამდვილეში, ამ მარა-დილდ სწიქშიში ის პირველი კაცის — ადამის თანამდრრევა, ისევე როგორც ჭკარცული ღმერთის აგონიის ურულო მოწმე, თანამო-ნაწილად და თანამლობა...

მაგრამ კიდევ მეფურტორული შეწვევტლო სიტყვას: პარისში ტიტენ პასკალის ერთადერთი საჭრანავი ის იყო, რომ საფუძველიან განა-თლებმა მიეცა შვილებისათვის, რომელთა ნიჭითაც უსაზღვრად ამე-სოდა, როგორც შიშავალი გვიჩვენებს, ეს ნიჭი მათაცვე მოით-ხოვდა ზრუნვას: ბლესზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საქმისათვის ერთ-ბოლო კიდევ გავიხსენით თიღბრტას ოსტატების ლიტერატურული დღესტეს, საქმისათვის აღწინაშის, რამ უკლინის პოეტური ტალანტი თვით პიერ კორნილის ყურადღებას მიიპყრობს, ხოლო სცენაზე მისი დაზეწული აქტიორული თამაში მოიხიბლელი დარტება კარ-დინალი რიშელიე... ჩრახტობით ეს საქმითა სწავლა, რადუნებმა, გულმოდგინედ, და ეტენ პასკალი თვითონ ადგენს შვილების აღ-რების მეთოდური თანმიმდევრებით მოფიქრებულს და მეტარად აწონ-დაწონილ გეგმას. განსაკუთრებულ სიფრთხილსა და ყურად-ღებას მოითხოვს ბლესი. მამას ბლესი შეუძლებისდაგვარად გააწონას-წორის, ერთი შიზი, არამეფურად მძღვარი გონება, ნაფრთხელად გაედებებელი ცნობისწადილად, და მეორეს მხრე, ბიჭუნას სხესი განწრთილობა. ამიტომ მტკიცედ გადაწყვეტს, თორმეტ წელამდე არ ასწავლის ენები, ხოლო თექვსმეტ წელამდე — მათემატიკა, და ფვარ-კლებმა მხოლოდ იმით, რომ ცდილობს ბავშვში განავითაროს ბუნებ-რივი მოგონებურ დავიერების, ლოგიკური მაქცინებისა და დამოუ-კიდებელი აზრუნების უნარი; ზოგადედ განუმარტავს სხვადასხვა ენის სპეციფიკას, გრამატიკული წესების ზუსტი ანალიზის აუცილე-ლობას და საქირებობას: 'ის უსხნიდა ზოგადედ ენების რაობას, უტყუნებდა, როგორ დაუვანებდა ისინი გრამატიკაში გაყველად წესე-ბამდე, ასწავლებდა, რომ ამ წესებს ზოგერთი გამარჯვლის აქს, რომ საქირაა მათი ჩანიშვნა და დამასხვრება, და რომ ამ გზით შესა-ძლებელია ყველა ენა განსაგები განახლ სხვადასხვა ქვეუნის მტკო-რებთათვის<sup>15</sup>'.

და, მინც, მთელი თავისი სიფრთხილსა და წინაბედულობის მიუხედავად, ტიტენ პასკალი ვერ შესძლო დავიერებას ბავშვის უსაზღარი ცნობისწადილი და ბუნებრივი გზით წარმართა მისი ლონებრივი განვითარება. რა იცოდა მამის მოსიჯარულე გულმა, უმა-წილები განისახივბის რაოდენ ურუფლო აზრები ბობოქრობდენენ — თითქოს კალამი გამომწვეველი ბოცრება ბიარაკვეთა — შვილის ქვიან შუბლს მიღმა, ან რა იყო მისი მიზეზი, რომ ბიჭუნას ნათე-ლი და კრალა თავებით ვულური ცველებით ინთავრებდენ ხოლმე უყველი ახალი ქვეშობრტების შესცინების თუ აღმორჩილას? რას წარმოადგენდა ტიტენ პასკალი, რომ თავისი ხანწილედ, მაგრამ სას-ტერტისი და საქმიანი საუბრებით, თავისი გზაქველვი მინიშნებე-ბით<sup>16</sup> თვითონვე აქებუნდა ბავშვის ცნობისწავრტობას, თვითონვე იტყუნებდა მის მცდელსა და მაიბიტოდ არს მირიად კიოხებს უსივრ-ტურში, თვითონვე შოიდა შვილის წინაშე ურუფავი ფრთი მტკე-მული ბუნების ქაღონდს წინას, სადაც უკველი მოკვნიდა, ყუველი არსი, ყუველი ნიჭი ენიგმურ მივროგოფებდ ესახებოდა ნორჩის გონების, და მას ერთი უწავდა, როდის განვირგვანა ამ უც-ნაურ სიმბოლოებს, როდის ჩაუქვედებოდა მათ ფართლ აზარს, როდის გაიკავდებდა ქვეშობრტობას. 'შეიძლება ითქვას, რომ ყუველითვის, ყუველი სავნის კვლევასს ქვეშობრტობა იყო მისი გონების ერთად-ერთი მიზანი, რადგან არადრის არაფრის შემდეგ დატყვარი მისი ცნობისწადილი, გარდა ქვეშობრტების შესცინების<sup>17</sup>.

საბარლო ვუნდებრტინი ('enfant prodige') მანონ, როდესაც ყო-ვის ცხენესზე ამხედრებული და ზის ხმლებით აღჭურვილი მისი თა-ნატლებში — შიშავალი მუშქებრტობა — გამყარებულნი ეთერში იღლებენ ეთოფის, ბუშეს, ნეკ-სენ-ლამპერისა და ბრახტების ქუ-



ფილიპ დე მამეჩი

ბლეს პასკალი

ჩებს<sup>17</sup>, ის, თავისი სამუშაო ოთახისა თუ მამის კაბინეტის სიმუდრევეში გამოეცდოდა, სავანთა არსზე, მოუღენათა კანონზომიერ თანმიმდევრობისა და უყოველი შედეგის მიზეზით განპირობებულობაზე ფიქრობდა. „ის სურდა შევეცნო ყოველი საგნის მიზეზი (il voulait savoir la raison de toutes choses)<sup>18</sup>“.

იმ ასაკში, როცა, ტიტენ პასკალის ვეგით, მის ვაჟს მხოლოდ უნდა დაეწყო ენების სწავლა, ბლესი უკვე საფუძვლიანად ფლობდა ძველ ბერძნულს, ლათინურს, იტალიურს; დღენაში კითხულობდა ციციკაროს, სენეკას, მარკუს ავრელიუსს, ეპიქტეტს (თუმცა ჭიჭინიობით უყოველივე ეს მისთვის მხოლოდ საკითხავ ტექსტებია და არა ფილოსოფია ან ლიტერატურა). ფრანგი ავტორებიდან — მონტეგნის და შარდნის, რომლებმაც შეშვედნო ესოდენ დიდი გავლენა მოახდინეს მისი მსოფლმეტყველების ფორმირებაზე<sup>19</sup>. რაც შეეხება ზუსტ მეცნიერებებს, საქმარისა გავიხსენოთ ორი გულანსემეძველი ეპიკური, რომლებსაც ესოდენ მომხიზლავი უშუალოებით გადმოგვცემს ეტილბერტ პასკალი:

ეტიენ პასკალს სტუმრები ჰყავს. სუფრას უფროსებთან ერთად უხსენებდა ბავშვებიც. ერთ-ერთი სტუმრის დანა შემთხვევით ფიფიურის თხელ თეთვს მოხვდა. თუშვმა გაბნით გაიწერიალა, მაგრამ როცა გრც კი ბეღით მოუბნენ, წერსალი შეწყდა, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა ლუწის გაუთადებელი კიბებები: როგორ ჩნდება, რატომ წყდება, ან რა გზით აღწევს ჩვენს ყურს ბგერა? ვერცერთმა პასუხზე ვერ დაჰკამათა ბავშვის ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ბლესი რის ბღელი იქნებოდა, ასე ადვილად რომ მოუხვებოდა მისთვის საინტერესო მოვლენას: „ბავშვებიდანვე ის არ ენდობოდა არაფერს, რაც აშკარა და თვალსაჩინო არ იყო მისთვის. ასე რომ, როცა ჭიჭიროვანდ ვერ განუშრატავდნენ რასმე, თვითონვე იწყებდა პასუხის ძებნას. და რაკ ამორჩევიდა ამა თუ იმ კიბებსა, განამდებ არ მოეშვებოდა, სანამ დაჰკამათებდნენ პასუხს არ მოეყოლებოდა (il ne la quittait point qu'il n'en eût trouvé quelque'une qui le pût satisfaire)<sup>20</sup>“.

ბიჭი რამდენიმე დღე ჩაფიქრებულად ადლიოდა სახელ-სი, სხვადასხვა საგნებს უკაუყურებდა, ყურს უდებოდა და ერთმანეთს უდარებდა ბგერებს. ამ დაჯიყვებების შედეგად დაიწერა მისი პირველი მეცნიერული შრომა — „ტრაქტატი ბგერების შესახებ“ (Traité des sons). ათი წლის ბავშვი დამოუკიდებლად მივიდა იმ დას-

კვანადე, რომ ბგერების წარმოშობის მიზეზი ამა თუ იმ ნივთიერების ნაწილაკთა რხევაა, რომ ეს რხევები პაერის გზით აღწევს ჩვენს სმენის ნახ, რომ ბგერა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია რხევის კანი (დღეს ვიტყვით — „ამპლიტუდა“) და მით უფრო მაღალი, რაც უფრო მეტია რხევის სიხშირე...

კიდევ უფრო ნიშანდობლივი და მრავალსმეტყველია მეორე ეპიზოდი, ესოდენ ნათლად რომ გვიმდინანებს ბავშვის გონების არა-ბავშვურ კმედითობას და ძალმოცილებას, მისი სულიერი ძალის-ხმევის უჩვეულო სიმძაფრეს, მის განსაკვირებელ უნარს — მწყობრი წესრიგი, დახვეწილი სტრუქტურა, ორგანიზაცია, სისტემა აღმოაჩინოს იქ, სადაც ზრეტელ და ზედაპირული აღქმა უთავილობის, უწესრიგობის, უსისტემობის მტკ ვერაფერს ამჩნევს... მაგრამ აქ სიტყვას მთლიანად ვიღებოდა პასკალს ვთხოვობო, ვინაიდან ვერავინ მასზე უკეთ ვერ გადმოგვცემს სწემით მოთხრობილ ამბავს. ჩემდა თავად ეს მხოლოდ ერთ რასმე შევახსენებ მეოხვედლს — ბლესი თორმეტი წლისაა:

„მამაჩემი მათემატიკის დიდი მცოდნე იყო და ამიტომ ამ მეცნიერებაში განსწავლულ ყველა კაცს ცნობდა, რომლებიც ხშირად იუარიდნენ თავს ჩვენსას. მაგრამ რაკი მას სურდა ენები ესწავლებინათვის თავის ვაჟისთვის და რაკი იცოდა, რომ მათემატიკა არის მეცნიერება, რომელიც მთლიანად ავსებს და უყოველმხრე აკმაყოფილებს სულს (une science qui remplit et qui satisfait beaucoup l'esprit), ამიტომ არ უნდოდა, რომ ჩემი ძმა ზრეტელდ მაინც გასცნობოდა მათემატიკის საფუძვლებს, რადგან შვიობდა, ვაითუ გული ათუაროს ლათინურსა თუ სხვა ენებზეო, რომლებზეაც სურდა გაეუფა და ლიტერატუბინა იგი. სწორედ ამ მოსაზრებით უშაღვდა უღელმთივ ყველა მათემატიკურ წიგნს და ვაჟის თანდასწრებით არასოდეს ელაპარაკებოდა მათემატიკაზე თავის მეგობრებს. მაგრამ ამ სიფრთხილით მაინც ვერ მაიღწია სასურველ მიზანს, ვერ მოახერხა არ გამეფებინა ბავშვის ცნობისწადილი, და ის ხშირად ევედრებოდა მამას, მათემატიკა ესწავლებინა მისთვის. მამაჩემი უარზე იდგა, თუმცაღა მათემატიკა. როგორც კი ლათინურისა და ბერძნულის სწავლას დაასრულებდა, მათემატიკასაც გასწავლიო. ამ წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ჩემმა ძმამ ერთხელ სთხოვა, ის მაინც მთხარა, რა არის ეს მეცნიერება, რა არის შეისწავლის იგი. მამაჩემმა ზოგადად<sup>21</sup> აუხსნა: ესაა სწორი ფიგურების ვებებისა და მათ შორის თანფარდობის აღმჩინების საშუალებაო, ხოლო იმდარბოულად, არა მარტო ღამაჯიყო, ამერიდებდოდა რაკი თუ აუტრადოდა ამ საგანზე. მაგრამ ამ სულმა, რომელიც ვერ ეტეოდა თავის თვისა და თავის ფარგლებში (mais cet esprit, qui ne pouvait demeurer dans ces bornes), როცა გრც და შემოინახა ეს მარტივი ტემშარტება, რომ მათემატიკა იძლეოდა შეუმცდარად ზუსტო ფიგურების აგების საშუალებას, შეხვეწების საათებო (à ses heures de récréation) თავად დაიწყო მასზე ფიქრი. როცა მარტო იყო დარბაზში, სადაც ჩვეულებრივ, ერთობა ხოლმე, ის იდგადა ნაწირის და ფიგურების საზადა იატაკზე, თანაც ცდილობდა დაეხაზა, მაგალითად, სრულყოფილად მგრავალ წრე, სწორკუთხა და ტოლვერდად სამკუთხედი და სხვა მისთანანი. ის მარტო, თავისით ახერხებდა ამას; შეუძლებოც კი ეტედა თანაფარდობას დაბალზე ფიგურებს შორის. მაგრამ რაკი მამაჩემი საკულდაკულად უშაღვდა ყველაფერს, მან ამ ფიგურების სახეებით კი არ იცოდა, ამიტომ იძულებული იყო თავად განესაზღვრა ისინი. წერს ის ურდებდა „რგოლს“, ხაზს — „ქონს“ და ა. შ. განსაზღვრებოდა შემდეგ მან გამოიყენა აქსიომები და ბოლოს მაიღწია სრულყოფილ მტკიცებებს (des démonstrations parfaites). და რაკი მათემატიკაში უკვლავიერ ერთიმეორისაგან გამოიმდინარებოდა, ის იღენდა ვატიკაც კვლევა-ძიებას, რომ თავისით მივიდა ევკლიდეს პირველი წიგნის ოცდამეორემეტე თორმეტიმეტ<sup>22</sup>. ერთხელ, ამ საქმით გაბოროდა, ანაწილად დაეპირებოდა მათემატიკაზე თავს, ისე რომ ჩემს ძმას არაფერი არ ვაუთავ... ძნელი სათქმელია, ვინ უფრო განსაკვირებელი დარჩა: შეიღა — მამის თუ მამა — და საქმეში თავარგული შეიღის დანახვით. მაგრამ მაინც მამის იმედოვნება უფრო დიდი იყო, რაკილა მის კიბაზე, რაკ აკეთობო, შეიღმა უპასუხა, რომ ერთ რაღაცს ეტებს, ეს „ერთი რაღაცე“ კი სხვა არა იყო რა, თუ არა ევკლიდეს პირველი წიგნის ოცდამეორემეტე თორმეტიმეტ ამოხსნა. მამამ კვლავ ჰკითხა: რამ გათქმებინა ამის ტენეაო. შეიღმა მიუთუ: იმან, რომელმაც ამა ამ მთავარობა. როცა მამამ კვლავ შეუბრუნა კითხვა, შეიღმა თავისი ძველი აღმჩინებები გააცნო და, ბოლოს, მის მიერ განვლილი გზის თანდათანობით და თანმიმდევრული გადმოცემით, რომ-



ლის დროსაც წამდარაუწყ „როლისა“ და „როის“ სახელებს იშვე-  
ლის, ის მივიდა თავის დღიწივებისა და აქირობებისა.

მაშინვე ისე შეძარწყნდა ამ ნორიან გენის სიდადიოთა და ძალ-  
მოსილებითა, რომ უსიკვდოდ დასკოროს და დაბარე ლე პაიერის  
გაიქცა, რომელიც მისი ახლი შეგვიარა და მასეთი ღრმად განს-  
წავლული კაცი იყო. მეგობრის სახელი ერთ ადგილს გაგვდა გოაგ-  
ნებელი და სიტყვს ადარება ვერ მოახერხა. ეს რომ დანიხათ, თანაც,  
მის თვალზე მომდგარი ცერმელი უმნიშვნელოა, ბატონი ლე პაი-  
ერი უმნიშვნელო და სიხალე, რა მთავარ უმნი უსაბრავოა მისთვის.  
მაშინვეა მთავარი ეს სიხარულის ცერმელება და არა შეუხარვისაო.  
თქვენ ხომ იცით, რა გულმოღაღინდე ვუთხარადი ჩემს შვილის ყვე-  
ლადურის, რაც გომებრტისა ენება, რათა სხვა საგნებზე გული არ  
აქურდუბნის მისთვის; მოდა, აი, რა გამოვდა აქედან. და მან უამბო  
ყველადურს, რაც თავისი თვალთი იხილა და რაზე დაუარდნობითაც  
კაცს შეეძლო თანამად ეთქვა, რომ ჩემმა ძმამ, გარკვეული ზრით,  
ხელახლა აღმოაჩინა გომებრტია (par où l'on pouvait dire en  
quelque façon qu'il avait inventé les mathématiques).<sup>23</sup>

ბილ ლე პაიერი მის მოპაქცა, როგორც მოციქულია მის ადგილას  
საქმის რატიო ჩახედილი და თავისი პრივივიისი პატივიცემული  
ყველა სხვა კაცს: ურჩია მეგობრისა — „უსამართლობა იქნება კვლავ  
ტყვეობაში ამაყოფ ეს სულიო (de captiver plus longtemps cet  
esprit)“<sup>24</sup>, რამაც, ფაქტიურად, გადაწყვიტა ბავშვის შემფრთხი ბედი.  
ეგოთ ახსნილი იქნა ბუნებს ნება დარბავს გაქცნობილი ეკვლავლი  
„საწყესების“; ისევე როგორც თანამედროვე მათემატიკოსთა შრი-  
მებსა, და შედეგამაც არ დაყოვნა ბოხოებრტის ბიკე უკვე მოხ-  
სენებებს სულიოლხოს პარაზელ მათემატიკოსთა წერბი, რომლის  
სული და გული იყო ფრანსისკანელი ბერი და მეციერი მარტ  
მერსენე (1588-1648)<sup>25</sup>, ხოლო წერბი, ტეტეე სასკალისა და ლე პაი-  
ერის გარდა, — უსასრულიად მცირე სიდიდითა სახელგანიჭებული  
მეტევიარი რომბერტია (1602-1675)<sup>26</sup>; გომებრტია და ფიზიკოსი  
კლდე მიღეროსი (1588-1647), რომელსაც თოქოქის მთელი თავისი  
უზარმაზარი სიმღიდრე, დახლოებით, ასი ასოთა ეკოთ არბიტურ  
სურათწყურების ანაზღადებს შესწირს; მათემატიკოსი და არბიტეტორ-  
ი გვირა დეზარტი (1608-1662)<sup>27</sup>, რომლის „პრატკეტულ სულშიც“<sup>28</sup>  
მათემატიკოსი იდებვის სიღრმე და სიმდიდრე არაგანაულად ერწყ-  
მდა დღი კონსტრუქტორის ტალანსა და რომელსაც ყველაზე  
თავსაზიანი ვაგლიწა მოხაფინა პატარა ბუნებს: მათემატიკოსი და  
ფიზიკოსი პიერ კარტაგი (1609-1664) და სხვა...<sup>29</sup>

ეს იყო სულიერი წართობის, ინტელექტუალური დისციპლინის  
მწინურავალი წყალო. აქ, უფროსი კოლექტივობას სისტემატორი თან-  
წინაშობის სურათობი, სასკალისთვის აშკარა ხედება, რომ მათე-  
მატიკა ბუნების კვლევის, სინადავების შემეცნების მძლიერი ინს-  
ტრუმენტიცა, რომელსაც წარადებვის მოზმარის მიხედვით, ვისც  
სრულიყოფილად ფლობს ამ დღიად მეცნიერების უსასრულიად მიდ-  
და არის შესაძლებელი; აქ უნებრბა იგი უსტერ მათემატიკური მტყციებისა  
და მისი წყობითი თანამედროვეობით წარმარვის ხელედიწება; აქ  
წვდებდა მტყციების საგნისა და კვლევის მეოდილ თანაყარდობის  
ყველა ნიუანსს; თუმცა აქვე პირველად და, შესაძლოა, ცოცა ნაად-  
რევიდაც ჩაიდურება მის სულში სეკსისობის ეტლმარევი ეკვის სიმ-  
წერა; დიას, სწირდა აქ შეიგნებინა, რომ ჩემივე ვინების თუდციე  
წერადუდ, თუნდაც თავგანწირული ძაღსმებავს უყოფლობის რიდი  
ავტორიტეტის ნანატრი ქლილო—ვემსარტბოთა... მაგრამ სიამავე სწირა-  
ფუ თრგუნავს ყოველგვარ ეკვს, საყოფიარი ძაღბის რწმენა ურტირ  
ტყ შემოწვივობით აქტივისობითა აქვებვის მის ზრის („ჩვენი ბუ-  
ნების ნანდილო არის მოძრაობა. სრული სიმდიდრე სკვდობის მოას-  
წყავებს“<sup>28</sup> და მათემატიკური კონსტრუქციის წარმოსახვა ხარ-  
ბად მიელტვის ამქვეყნიური დიდების სიხიოსან მწერეველს, ანდამა-  
ტური ძალით რომ იზიდავს მთელს მის არსებას („დიდება ისე მომ-  
ხიხლდება, რამ ხალხი უკვლადურის სწირავს მისი გულისთვის, თათ  
სიოცოვლისც“<sup>29</sup>).

1639 წ. თექვსმედი წლის კვიცი წერის თავის გამოვლანაქმულ მა-  
თემატიკურ გამოკვლევას „ცდა კონსურბორის კვეთის შესახებ“  
(*Essay pour les coniques*, Par B. P.<sup>30</sup>); კონსურბორი კვეთი — ესაი  
ე. უმადილწი რიგის მრუდი, რომელიც მიიღება კონსურბორის სიბრ-  
ტული გადაკვეთისას: ელიპსი, პარაბოლა, ჰიპერბოლა. დეკარტის  
„გეომეტრისა“ (გამოქვეყნდა 1637 წ.) და, განუწყურებობი, დეზარტი-  
ის უმადელ მათემატიკურ გამოკვლევებზე დაყარდნობის<sup>31</sup>; ასაკლამა  
ვაიოიწევანია თავისი ცნობილი ლემა, რომლის მიხედვითაც, კონსურ-

კვეთში ჩაწერილი ექვსკუბიდის მოზიოსიხარ ვეგრცხლდაწმარაქსწმ  
თის სამი წერტილი ერთ სწირს ბავსე მდებარეობს; ამ ჩემი „სასკა-  
ლეს“ „სასკალის წერე“<sup>32</sup> ეწოდება, ხოლო თითო ლემა, რომელსაც  
ესე აღხურთოვანა მისი ავტორის უფროსი კოლეგები<sup>33</sup> მერსენის  
წრის ზოგიერთ წერებზე, მაი ზორის, ტეტეე სასკალეს „მეცნიერ-  
ული დეკარტის ვარდა“ და რომელსაც ვევირა დეზარტი „სასკალის  
დღიო თეორემა“ (grand proposition de Pascal) უწოდებ, ამავე სა-  
ხელწოდებით შევიდა მათემატიკის იტრის ფრანსი და დღემდე  
პროექტიული გეომეტრის ერთ-ერთი ძირითადი თეორემა ითვლება<sup>34</sup>.

თუმცა არც მათემატიკაში მეცნიერებანი რიტება ვაქო: ფილო-  
სოფია — მისი საყვარელი სტოციკისტები და სტეკიკისტები, ძველა  
თე ახალი ენები, ლოგია, ფსიქოლოგია<sup>35</sup> მხოლოდ ეგან, ნაღვლი  
დრო და უარდადება ეომობა დღეტარატურისა. შეუდგომის ის თანდა-  
თანობით შევავსებ ამ ხარავუს, მისთვის ჩვეული გულმოღაღინებით  
დასძლევე ამ ნაგლს.

იმავე 1639 წლის დამლევს ტეტეე სასკალი, კარდინალ რომლიეის  
ბრძანებით, დანაწილდა იქნა რუანის ინტენდენტად და სულ მალე,  
1640 წლის 2 აინვარს, სასკალისთვის იქაინ რუანს ვადახსილდა, სა-  
დაც ახალი ინტენდენტი დაუიერვინებლად შეუდგა თავისი ბრძოლა და  
სასახლისმებრელი მთავრობის აღსრულებას. განსაკუთრებით მძიმე  
- 19 V. Giraud, Pascal, L'homme, l'oeuvre, l'influence, Paris, 1900, p. 22-24.
- 20 ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 64.

21 ურადრად მთავრით ეტიენე პასკალის სივრხილეს: ის „ზოგადე“ (en général) უხსნის ვრამატრეულ წესებს (იხ. ზემოთი ციტატა) და ასევე „ზოგადე“ (en général; დედანში, ისევე როგორც მთავრად) ეს სიტყვა ორჯერ მეორდება) ვანუმარტავს თავის ვაქსი თეორემატის რაობას.

- 22 ამ თეორიის ტიპიხედული, სამკეთხელის შიდა კუთხუდა, ვინაიჩი მართი კუთხის ტოლია (შენიშვნა ჩემია,—ბ. ბ.).
- 23 დასახ. ოხვ. გვ. 64-66.
- 24 ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 66.
- 25 შერეს მიმოურეა ჰქონდა მამინებელი ვერობის თითქმის ყველა სახელანამეძელ სწავლუთან. მისი კორესპონდენტების სიარმდენივე ასეულ სახელს მოიკავს (მათ შორისაა— ვალილი, დეკარტი, ჰობსი და სხვ.). არაივე მერსენე უფრო არ იყინება ვერობული მეცნიერების უხუცეს მიღწევებს; არაივე მასზე თავდებობთ არ იღვეურა ვერობული მეცნიერების პოპულარიზაციას და მადალი პრესტიჟიისთვის (იხ. Дик. Бернал, Наука в истории общества, М., 1956, стр. 192).
- 26 ბრონგერალის მეცნიერული შემკვიდრების ზოგიერთი ასექტიკის შესახებ იხ. მ. ი. ეივოლსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 752, 754, 766, 769, 804.
- 27 იხ. მ. ი. ეივოლსკი, იქვე, გვ. 821.
- 28 „აზრები“, 106.
- 29 „აზრები“, 131.
- 30 Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 35-37.
- 31 პასკალი თავად აღიარებს დეზარტის აშკარა ვავლენას (იქვე გვ. 36).

32 „... რაკი ის ვილბერტა მათემატიკაში პოპულად კუმშირატების, რომელსაც გზომო ვუმბერვადელ ეტებდა, მოელს თავის სულსა და გულს სუბება მასზე; ასე რომ, მიზეზხედ იმ მერე დროსა, რასაც მათემატიკას უთმობდა, იმინარად ვაიფავ, რომ თექსებერ წლისამ შეიხება „დეა კონსურტი კვიის შესახებ“, რომელიც ვინების ისი დიდ მიღწევად იქნა მიხედული, რომ ამბობდენ— არტიკლის შემდეგ ამინარა მალსობილუბა არავის უნახავს (qu'on disait que depuis Archimede on n'avait rien vu de cette force)“,— ეილბერტა პასკალი, დასახ. ოხვ. გვ. 67.

33 დაწერილებით იხ. ე. მ. კლიუსი და სხვ., დასახ. ოხვ. გვ. 27-29; 337-342.

34 ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 67.

35 იხ. ე. მ. კლიუსი და სხვ., დასახ. ნაშრ., გვ. 40.

36 პასკალის არიომეტრული მანქანა სუმბერტობია, ე. ი. ახორციულეს შერევა-ვაიკულეს. გამოგონების ყველაზე არაბირობით მიღწევად უნდა ჩაითავოს ათეულების ვალტანის“ ავტომატობა; როცა წინა თანრეკით ათი ერთეული გრეოდება, მათ ნული ცვლის, ხოლო მიმდენე თანრეკის ციფრს ავტომატობად ემბეტება ერთიანი. ეს პროცესი ეროვავარი „საუდირის“ (sautoir)— ბერკეისის მავგის მოწეულობის მეშვეობით ხორციელდება.

37 იხ. Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 191.

38 ე. მ. კლიუსი და სხვ. დასახ. ნაშრ., გვ. 44-45.

39 1640-1642 წწ. (შენიშვნა ჩემია,—ბ. ბ.).

40 ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 68.

41 ეტიოლ, იანგენის „სულერი კაცის გარდაქმნა“ (Discours sur la réformation de l'homme intérieur); არისა „ხშირი ზარების სიბუთის“ (De la fréquente communion); სენსიბილის „სულერი წერილობის“ (Lettres spirituelles), ახალ გულს“ (Le coeur nouveau) და სხვა... არისა და სენსიბილის შესახებ იხ. ევარიაციები პასკალის „აზრების“ თემებზე“, 124, 1.

42 შერ, Émile Boutroux, Pascal, Paris, 1919, p. 21-22.

43 I კოჩიბილითა მიმართ, I, 19-20.

44 „აზრები“, 118.

45 საქმარისია ხელდებით უარეყოით ეს „ფარული აზრია“, საქმარისია დავეყრდნობ მხოლოდ რაციონალური შემეცნების თეორიულ წინამდებრებს, რომ შორეულ პერსპექტივას გარდელად დასკვნის სახით წარმოვიჩინდეს ცნობიერების ევოლუციის საზარელი ფინალი, ინტელექტის სიკოცელის კომპარული ესქატოლოგია: „სამყაროსა და სულის სიკოცელ გრძელდება მხოლოდ იმ წინამდებრების წყალობით, რასაც ძნელად საცნაური სავგები გვიჩვენებს. სამყაროსა ევოლუციური შევიცნობ, რომ ყოველზე გვიტრეს, ვანკარდეს. ცნობიერების მიერ კითხი-კიდემდე განწინარი სამყაროს არსებობა იძნელდება იქნება შესაძლებელი, ჩანდნადე მხოლოდელი ვაიძერებთა თუ ვაქნილი თვალთმეციის ოინი, რომლის საიდუმლო ადარაციისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოებას“ (პოლ ვალტერ, წერილები, აზრები, ფრანგულენად თარგმნა: ბ. ბრეგვაძემ, ფერნ. „ცისკარი“, 1971, № 12, გვ. 148).



46 „აზრები“, 334.

47 ფრანგი პასკალიოკები ამას უწოდებენ ე. წ. პირველ „მოქცევას“ (la première «conversion»). ეს პერიოდი პასკალის ცხოვრების 1646-1651 წწ. მოიცავს (იხ. ე. ცირო, დასახ. ნაშრ. გვ. 29-38).

48 ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 70... პასკალმა ვერ „მოკაივა“ უმრისო და ეყლინი, შვიდგე მამა და, ბოლის, იმევე 1646 წლის დამლევს რანგის სტუარდ ჩამოსული უფროსი და და სიქე (იხ. ე. ბეტრუ, დასახ. ნაშრ. გვ. 23-24).

49 ეს კირიტული მდგომარება, სულის ეს ნამდვილი კრიზისი პასკალმა შობამებუდავი ძალით გადმოგვცა თავის პატარა ტრაქტაში „ეოღვლის მოქცევისათვის“ („Sur la conversion du pecheur“), — იხ. „გარიაციები პასკალის „აზრების თემაზე“, 403, 4.

50 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ. გვ. 270.

51 „აზრების“ ეს ნაწილი. Pascal, Pensées, Paris, 1964, p 297-313. — Les Miracles), ისევე როგორც პასკალის ქმნილების ზოგიერთი სხვა თავი და პირქმინად ბიბლიური თუ სკოლასტიკური ხასიათის ბევრი ფრაგმენტები ჩემს თარგმანში მთლიანად გამოტოვებულია. ზემოაღნიშნულ გამოცემა სულ თოვლის 924 ფრაგმენტს, ქართულ თარგმანი — 433.

52 გენიალური ინგლისელი მეცნიერი მორქუმენ იყო (შენიშვნა ჩემია, — ბ. ბ.).

53 D'Alembert, Oeuvres philosophiques, historiques et littéraires, v. X, Paris, 1805, p. 191.

54 იხ. ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ. გვ. 256-268.

55 ციტ. წიგნიდან — ე. ბეტრუ, დასახ. ნაშრ. გვ. 199.

56 Лев Толстой, Паскаль, — Полное собрание сочинений, т. 41, М., 1957, стр. 477—478.

57 იხ. ზემოთ, შფ. 49.

58 Paul Valéry, Oeuvres, t. I, Paris, 1957, p. 498—499.

59 III. Сент-Бёв, Литературные портреты. Критические очерки, М., 1970, стр. 370.

60 „აზრები“, 183.

61 „აზრები“, 184.

62 იხ. „გარიაციები პასკალის „აზრების თემაზე“, 184, 1.

63 ციტ. წიგნიდან — ე. ბეტრუ, დასახ. ნაშრ. გვ. 198.

64 იხ. Э. Золя, Собр. соч. т. 24, М., 1966, стр. 81.

65 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ. გვ. 81.

66 ეილბერტა პასკალი, დასახ. იხ. გვ. 71.

67 Б. Паскаль, Мысли о религии, СПб. 1892, стр. 197.

68 იხ. შფ. 17.

69 მათე, V, 48.

70 პოლ ვალერი, წერილები, აზრები, ეჟრ. „ესიკაბი“, 1971, № 12, გვ. 147.

71 იხ. „გარიაციები პასკალის „აზრების თემაზე“, 124, 1.

72 ეილბერტა პასკალი, დასახ. იხ. გვ. 72-73... „... ისეთი დიდებული მესხიერება ჰქონდა, რომ იტყოდა ზოგმე: არასოდეს დამეწყვიტება ის, რისი დამახსოვრებაც მსურდაო“; — ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 85-86.

73 ავგუსტინე ავრელიუსი კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად არის შერაცხილი, ხოლო მარკსადიდებულური ეკლესიის მიერ — ნეტარად.

74 ეილბერტა პასკალი, დასახ. იხ. გვ. 68.

75 ეილბერტა პასკალი, იქვე, გვ. 72.

76 იხ. ე. ბეტრუ, დასახ. ნაშრ. გვ. 43-44.

77 მათე, IX, 17.

78 P. Декарт, Избранные произведения, М., 1950, стр. 95.

79 Le Opere di Galileo Galilei, Firenze, v. VIII, 1933, p. 483—486; v. XVIII, 1937, p. 295.

80 აი, პერიპატეტოსისეპისთავის ესოდენ დამახასიათებელი „სავანთა ფორმი“ ამ ცალმხრივი გატაცების, მათი პირქმინად ფორმა-

ლისტური ტენდენციის ერთი კერძობული მაგალითი. სწორედ ეს ზოგნული ვალიეი ყინელის წონის თამაზე ეპაქტეზული კონვერტაციოსებს, რომლებიც, არისტოტელევე დაყრდნობით, ამტკიცებდნენ — ყინული შედლებული წყალია. — დიდი სტატირული ბრანანეს, — ამბობდნენ ისინი, — რომ სიცივე ყოველთვის სხეულთა სიყვრილე ზრდას იწვევს. — პირიქით, — ამტკიცებდა ვალიეი, — ყინული ხერხმოებულ წყალია. აი, საბუთის: ის წყლის ზედპირზე ტიტებივს. — არა, — ჟიებადა იცავდნენ თავს პერიპატეტოსისნი, — არისტოტელევე წერს, რომ ტრეტივი მხოლოდ და მხოლოდ სხეულთა ფორმითა განაპირობებულ და არა მათი წონით... დიხ, ამანარ არტემენტს იშველებდნენ ისინი თანავედროვე პიროსტატის ერთ-ერთი ფუქიმდელის წინაშედავე, რომელიც ამტკიცებდა, რომ სხეულთა ტრეტივი მათ ხვედრით წონანება დამოკიდებული: ამ დავამტკიცე, — წერდა ვალიეი, — რომ სამკარისა განსჯავენა წყლისა და წყალზე მკურავი სხეულის ხვედრით წონათა შორის, ცერბო და ახსოვლტური წონა კი შეიძლება როგორც გნებათ, ისეთი იყოს. ამრავად, ნებისმიერი სხეული, რომლის ხვედრით წონაც წყლის ხვედრით წონანზე ნაკლებია, შეიძლება ათიოდ ფუნტი წყლითაც მაღა აყწით, თუნდაც ის, თავისთავად, ათას ფუნტსაც იწონიდეს და, პირიქით, მეორე სხეულს, თუკი მისი ხვედრითი წონა წყლის ხვედრით წონანზე მეტია, მთელი ზღლითაც ვერ აწევს და ავტეტივებდა, თუნდაც მისი ასსოვლტური წონა ერთ ფუნტსაც არ აღმატებოდეს“ (Le Opere di Galileo Galilei, Firenze, v. IV, 1932, p. 79), — შენიშვნა ჩემია, — ბ. ბ.).

81 P. Гук, Общая схема или идея настоящего состояния естественной философии, — «Научное наследство», т. I, М.-Л., 1948, стр. 689.

82 ციტ. წიგნიდან: Э. Роджерс, Физика для любознательных, М., 1970, стр. 239.

83 იხ. В. П. Зубов, Аристотель, М., 1963, стр. 145.

84 უფრო ზუსტად, ეს ცნა უმეულოდ ტორიხელნი არ ჩაატარა, არამედ მისი მითითების მიხედვით განახორციელა ვიკინამ.

85 აღსანიშნავია, რომ თუ ტორიხელის ცნაში ვერცხლისწყლიან მილს მივამარებთ ვერტიკალურ სკალას, მივიღებთ ატმოსფერულ წნევის საზომ ზელსწყოს, რომელსაც უფრო გვიან სახელგანთქმულმა ინგლისელმა დიზიოსმმა და ქიმიკოსმა რობერტ ბოილმა (1626-1691) პარომეტრი უწოდა.

86 ციტ. წიგნიდან — Я. И. Перельман, Физическая хрестоматия, вып. 1, Л., 1924, стр. 135.

87 ციტ. წიგნიდან — Paul Archambault, Pascal, p. 11.

88 Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, ტ. 235.

89 სხვათა შორის, ახალგაზრდობისას ნოელი ფილოსოფიის ასწავლდა ლაღლემის კოლეგიაში, სადაც მისი მშენელი იყო რენე დეკარტი.

90 ციტ. წიგნიდან — ე. მ. კლიაუსი და სხვ. დასახ. ნაშრ. გვ. 59.

91 Le Opere di Galileo Galilei, v. I, Firenze, 1929, p. 412.

92 ამ ტრეტულით იხსენიებს არისტოტელეს ალბერტ დიდი (1193-1280).

93 Pascal, Oeuvres complètes, Paris, 1963, p. 201.

94 პასკალი, იქვე, გვ. 204.

(გაგრძელება იქნება).

მუკაბან ნიძარაძე



# სახელოვნო მსახიობის ცხოვრება

გამომცემლობა „ნაღონისა“. 1977 წ.

## სოლომონ ხუციშვილი

ელისაბედ ჩერპინიშვილი სიცოცხლის და მოქრობის განსაზივრება იყო. როცა მკურებელი მას თეატრში ზედბოდა, ფიქრშიც ვერ გაივლებდა, რომ ეს მსახიობი როლისმე სცენას ჩამოსცილდებოდა, იმდენი სიცოცხლე, იმდენი შემოქმედებითი მახვილ-გონიერება და მსახიობური გარდასახვის უნარი იყო მასში თავმოყრილი. სამოცი წლის მანძილზე, სათეატრო სეზონში თუ სეზონის შემდეგ, თბილისში თუ საქართველოს დაბაქალაქებსა და სოფლებში, საქართველოს გარეთ, რამდენჯერ ასულა სცენაზე და უნაკლოდ, ნატიფად წარმოუდგინა დრამატულ ნაწარმოებებში გამოხატული სახე.

ე. ჩერპინიშვილას მრავალფეროვანი ნიჭი, მისი ცხოვრების გზა და მოღვაწეობა შესანიშნავად დაახასიათა იოსებ გრიშაშვილმა ლექსით, რომელსაც პოეტმა დაარქვა „გამოსათხოვარია“ და წაიკითხა მსახიობის სამარესთან დიდუბის პანთეონში 1948 წლის 21 ოქტომბერს: „შენ, ნიჭიერი თხემით ტერფამდე, — წერდა პოეტი ლექსში, — სულ სხვა ფეა გქონდა, სხვა სიღამაზე... რა იყო დაღლა, როდი იცოდი, საყვარელ საქმეს შესწირე თავი, შემოგაგონების ცი-ცხლით იწყოდი... რადა ხარ აგრე დაღუშებული, ვინ მოგაწოდა სიმწრის ფეაღა, შენს უძრავ სახეს ვერ შეეჩვიე... ვინ დაივიწყებს შენს ქართულ მანდილს, შენს მდიდარ ლიმბლს, შენს ლამაზ გრძნობას. შენს უქნობ ალმას ეზნით გადაეცემთ ჩვენი თაობის ახალ-გაზრდობას“.

ა. გრიშაშვილი მიძღვნას ამთავრებადა სიტყვებით: „ღიღუბის მიწაზე ვულში ჩაიკარ ერთი ბებერი ტბილი მულბული. „თეატრი!“ — იყო მისი ბოლო თქმა, მისი არსება, სული და გული“.

ქართულმა პრესამ ელისაბედ ჩერპინიშვილი სცენაზე ფეხის შედგმისთანავე შენიშნა და ერთ-ერთი ილია ქაჭავაძე იყო, რომელმაც 1894 წელს „ივერი-აში“ კიდეც დაბეჭდა: „ამ ახალგაზრდა ქალს (ელი-საბედ ჩერპინიშვილს — ს. ხ.) ერთი ფრიად კარგი ღირსება აქვს, რომელსაც ყველა შეამჩნევდა, ვისაც კი რამდენჯერმე მიაინ უნახავს იგი სცენაზედ. სულ პაწაწა უმნიშვნელო როლებსაც კი ნიჭის ელფერი დასდებს ხოლმე, ხასიათს დაატყობს და შესამჩნე-ველს გახდის“.

დიდმა ილია ქაჭავაძემ და შემდეგ ე. გრიშაშვი-ლმაც ძლიერ კარგად შენიშნეს და აღწუსებეს მსახი-ობის ხასიათი და შესაძლებლობანი.

ე. ჩერპინიშვილს უზარალო, ჩვეულებრივ საუბარ-ში, როცა იგი თავისი ცხოვრების ეპიზოდებს უამბო-ბდა მსმენელს, ისეთი მშობილდეული ტონი და იერი ჰქონდა, რომ ცოცხლად წარმოუდგენდა ყველას ცხო-ვრებისეულ ფაქტებს. პარაოში ყოფნისას ე. ჩერპე-ნიშვილი ქართული თავმოერთულობით დადიოდა ქუ-ჩაში. პარიზელებს მისი ჩაცმულობა ნიღაბი ეგონათ თურმე და ხან ერთი წააჯღებდა ხელს, ხან მეორე, ასეთივე მღვობარობაში აღმონდებოდა ხოლმე იგი რუსეთში, როცა პეტერბურგში და მოსკოვში იმყო-ფებოდა. მისი ჩაცმულობა, ე. ი., ქართველი ქალის მოკაშმულობა ბევრს აოცებდა. და, თავის თავგადა-სავალს ისეთი გატაცებული იუმორით გადაცემდა მსმენელს, როგორც მაშინ, როცა იგი ავქსენტი ცა-გარლისა თუ სხვა რომელიმე საყვარელი დრამატუ-რგისაგან შექნნულ სახეს გამოხატავდა.

ე. ჩერპინიშვილის ცხოვრება — სცენაზე მოღვა-წეობა ბრწყინავდა მკაფიოთა იყო იმისა, თუ რა შეუძლია პატიოსან, კეთილშობილურ დამოკიდებუ-

ლებას არჩეული საქმიანობის მიმართ. მსახიობს შეგნებული ჰქონდა ქართული სცენის განვითარება და ადგილი ეროვნული კულტურის განვითარებაში და, რასაკვირველია, თავისი საკუთარი პიროვნების ღირსებაც. მან იცოდა, რომ მსახიობი რგიოთი დაწესებულებების თანამშრომელი კი არ არის, არამედ იგი, სცენაზე გამოსვლის შემდეგ, ხანშიშუა და სამკაული პიროვნებად იქცევა, რომ მისი კერძო ცხოვრებაც კი საქვეუროდ ცნობილი ხდება. ამდენად, ეჩრქეუნიშვილი დიდი კდებამოსილებით ასრულებდა როგორც სასცენო, ისე საზოგადოებრივ მოვალეობას: იყო მშენებელი მსახიობი და ქართული სცენის დიდოსტატთა (ნატო ვაზნიას, ვასო აბაშიძის, მკოე საფაროვა-აბაშიძის, კოტე ყოფიანის, ლადო მესხიშვილის, ვალერიან გუნიას და სხვათა თანამეცხენე და ერთგული მეუღლე ნიჭიერი ეთნოგრაფი-ისტორიკოსის ნიკო ხიზანაშვილისა, დედა შვილებისა, რომელთა სიყვარულს, შეიძლება პირდაპირ ითქვას, გადაეკეთა კიდევ ჭერ კიდევ ქარმაგობაში მოყოფ მსახიობი და მოქალაქე ელისაბედ ჩერქეუნიშვილი.

ქართული სცენის ეს მშვენიერა არსილებს მოუშუადებელი არ წარმდგარა მაყურებლის წინაშე და არაოღებს იოლად არ ჩაუთვლია ისეთი როლის შესრულებაც კი, რომელშიც, ვინ იცის, მერამდინედ უხდებოდა გამოსვლა. ავსტრიტა ცაყარლის „ხანუშაში“ იგი ნატო ვაზნიას ვარდაცვალების შემდეგ, ე. ი., 1910 წლის შემდეგ თამაშობდა ხანსაში და აღნიშნულად ჰქონდა თავის უბის წიგნაში ამ როლიში რამდენიმე ასეთულტერ თამაში, მაგრამ პიესის ყოველი წარმოდგენისას რეპეტაციას მაინც ვადიოდა.

ერთი სიტყვით, ელისაბედ ჩერქეუნიშვილი იყო უადრესად კეთილსინდისიერი მსახიობი და ბრწყინვალე ხელოვანი, რომლის სული ჭერ კიდევ ცოცხლობს ქართული თეატრის სცენაზე.

რამდენიმე თვის წინ წიგნის მაღაზიის თაროებზე გამოჩნდა ამ შესანიშნავ მსახიობზე დაწერილი წიგნი, რომელშიც დაწერილებით არის ვადამოცემული ელისაბედ ჩერქეუნიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (მურმან ნიგარაძე, „ელისაბედ ჩერქეუნიშვილი“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1977 წ., რედაქტორი ე. ნადარეიშვილი, 166 გვ., ტირ. 10 000, ფასი 67 კაპ.). წიგნში მრავალად მსახიობის პორტრეტები და გჭუფური სურათები, რაც ვადამოცემლობა მიმოხილვავდა.

სხენებული წიგნი ერთი პირველთაგანია თავისი მოცულობით, საკვლევი ობიექტის მრავალი მხარის ვადვალისწინებით და სისრულთით, რომელშიც ე. ჩერქეუნიშვილი დახასიათებულა მიმსწვევლი და სანტრეტისუ სასცენო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალი ასპექტით. ავტორის მონოგრაფიის დაწერისას მოუშართავს სათანადო დაწესებულებათა არქივების სათაისი, მუზეუმების სათაისი, მემორიალი ლიტერატურისთვის და სხვა აუცილებელი და საქარო წყაროს სათაისი. ავტორი ვადმოვეცემს ე. ჩერქეუნიშვილის ცხოვრებით და შემოქმედებით ბიოგრაფიას, მართალია, „უბრალო“ ბიოგრაფიას, როგორც წიგნშია აღნიშნული, მაგრამ „შინაარსიანს“, მდლარს, მრავალმხარის, ძიებებით და მიგნებებით აღსავსეს, დეაკვე შირბეულს ქართული თეატრის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებთან, ქართული სცენის კოორდინებთან ერთად მოღვაწეობასთან. თარობა იქცება მსახიობის დახადებით, 1868 წლადან (თუშვა ე. ჩერქეუნიშ-

ვილის ეპიტაფიაში 1862 წელია მოხსენებული). მისი მოშობლების ხასიათის აღწერადან, ღარბი ახნაურის აღმოსანდრე ჩერქეუნიშვილის საქმიანობაზე. შიგავდომავ ჩართულია თვით მსახიობისაგან დაწერილი ავტობიოგრაფიული ცნობები, დახასიათებულია მისი თვალთახედვის თანდათანობითი ვადფართობება, უღიბლო ქორწინება ვადრად უფროსი კაცთან, შემდეგ ვანქორწინება ე. ჩერქეუნიშვილის ცხოვრებაში ნიკო ხიზანაშვილის ვამორჩენა, კაცისა, რომელმაც ნამდვილო მეგობრობა ვაუწია მას და გზის მაჩვენებლადაც ვაუხმდა.

ე. ჩერქეუნიშვილის ბიოგრაფია „უბრალო“ იყო. მაგრამ რთული, თუ მას ვანციხილავთ მსახიობის საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და მაშინდელი ქართული კულტურული ცხოვრების პარალელურად. სწორად მაშინ წარმოსდგება ჩვენს წინაშე ფრად მდლადარი ცხოვრება, რომლის აღწერაც მაშინად დეუსახავს წინამდებარე წიგნის ავტორს. წიგნში ვხედვით მრავალ ადამიანს და მოღვაწეს: ილია კავკავაძეს, მარტარი უორდრობს, ვასო აბაშიძეს, ვალერიან გუნიას, მკოე საფაროვა-აბაშიძეს, ნიკო ვიცორიძეს, ტასო აბაშიძეს, ეკატერინე ვაზნიშვილს, ლადო მესხიშვილს, შალვა დლდანს, კოტე მარკანიშვილს, აღექსანდრე სუმბათაშვილს, ეტედე და ახალი თეატრის მესხეურებასა და მუშეუბებს...

ჩერქეუნიშვილის მიერ ვანვლილო რთული და ვრძელი გზა თეატრში მოღვაწეობისა საქმიოდ დაწერილობით არის აღწერილო, ასევე მისი მოსვლა ქართულ კინოში, როცა ვადლებული იქნა პირველი ქართული საბჭოთა ფილმი „არსენა ვორკიაშვილი“, ხადც ე. ჩერქეუნიშვილი არსენის დედის როლიში ვამოვდა, მსახიობის სულ უკანასკნელი ფილმამდე, — „ქეთო და კოტედე“.

ერთი სიტყვით, ავტორის ახადერი დაუშურებია, რომ ამომწურავად წარმოედგინა ე. ჩერქეუნიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, იცო ცდლია ამ ვამორჩენილად რაიმე მასალა თუ ცნობა მსახიობის ცხოვრებისა, სცენაზე მუშეობის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და შემოქმედების აღმსწესველი და მარცხენებელი.

შეიძლება მისი ვამოა, რომ ნაშრომში ყოველთვის ვერ არის ადმსულ მასალის ვანლაგებისა და მოშმარების პრინციპი. ძველად მომხდარი ამებში ბოლოშია მოქცეული, ახლად მომხდარი წინს, მშობია ფუქტების აღწერათა ვამორჩენი. საქმის ცდლითა და სიყვარულით დაწერილ წიგნში, რომელიც სახელმძიხველი მსახიობის ეტება, არ უნდა ყოფილიყო მითელი წეება უხრზულობათა. ე. ჩერქეუნიშვილი დახვეწილი მანერის მსახიობი იყო და მასზე დაწერილი ნაშრომში არაუშტრი ინფორმაცია უსამოვონედ ხედება მკითხველის ყურსა და თვალს. წიგნში, საშწუხაროდ, არის ფუქტობრივი შეცდომები. უმართებულად ვამოთქმები და სხვ. მაგ., მესამე ვეგვრდზე, წინათქმის უკანასკნელ სტატიონში რა დახადერი იყო: „15 წლის შემდეგ თავადი თვითონ კედება“. ეს „თვითონ“ რა საქმითაუ უხრზულია, როცა ჩვენი დროის ავტორი ე. ჩერქეუნიშვილი მოიხსენიებს „ლლორიად“. ზედმეტი ვანმარობიანა. ეს რომ ამონაწერში ან ციტატაში იყოს, ვასავები იქნებოდა (გვ. 7). ე. ჩერქეუნიშვილი თავის მოცულობაში ასახებდეს ვინმე მომღერალ აბდულბაღს, წიგნში აბდულბაღად არის იგი მოხსენებული (გვ. 11). ნიკო ხიზანაშვილის მა-

მას ერქვა თადეოზა, აქ კი მისი მამის სახელის ინი-  
ციალი სხვა (გვ. 18), იმავდ ნიკო ხიზანაშვილის  
ფსევდონიმი იყო „ალღბის“ და არა „ალღბრი“, რო-  
გორც ამ წიგნში ორგანო არის დაბეჭდილი (გვ. 28  
და 27). ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღედ წიგ-  
ში ნაჩვენებია 12 აგვისტო. არც ძველი და არც ახა-  
ლი სტილით ი. ჭავჭავაძე 12 აგვისტოს არ მოუყ-  
ვლივთ. ანტონ ფურცელაძის მეთაურობით წიგნში დახა-  
ნილებულია „შვედნიერო ელენე ანტონოვსკიაა“.  
ავტორის ავიწყდება, რომ ფურცელაძეს ერქვა ანტო-  
ნი და იგი არ იყო ანტონოვსკი. ფურცელაძის შეუდ-  
ლეს ერქვა მარიამი, ხოლო ელენე ანტონოვსკია  
იყო ქართველი ქალი, ანტონოვსკის მეუღლე, სე-  
ნისისოვარე, რომელსაც არავითარი კავშირი ანტონ  
ფურცელაძესთან არ ჰქონია. შეიძლება კი იცნობდ-  
ნენ ერთმანეთს. 51-ე გვერდზე ვითომ ამონაწერი  
1894 წლის „ივერიიდან“ და დასახელებულია ე.  
ჩერქეზოვილის პიოგრაფი იოსებ გრიშოვილი. 1894  
წელს „ივერიაში“ ი. გარიშაშვილის ხსენება შესაბა-  
მობაა. „ელისაბედ ჩერქეზოვილი ქართული თეატ-  
რის მდიანა“ (გვ. 75), „ელისაბედი ქართული  
რეალისტური თეატრის მდიანა“ (გვ. 53). მაინ-  
ცდამანაც ორგანვე მდიანე უნდა იყოს მემბ-  
რანე. ილია ჭავჭავაძის თხოვნისას ჰქვია არა  
„სცენები მომრიგებელ შუამავალიან“ (გვ. 98. ამ

სენა სპექტაკლიდან „რაც არ ვერ-  
გება, არ შეგერგება“. ბაბალა — ე. ჩერ-  
ქეზოვილი, იმირგური — ე. აბაშიძე.



სათაურის პიესას თავისი ავტორი ჰყავს). „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროის სცე-  
ნები“. 96-ე გვერდის შემდეგ სურათებს შორის გა-  
მოსახულია ე. ჩერქეზოვილი კინოსურათ „ხანუმა-  
დან“ (დადება ა. რუწყუნასი, სახიკინოწევი), წარ-  
წერაზე კი ვთხოვლობთ: „ელისაბედ ჩერქეზოვილი  
ხანუმა როლი 1910 წელს“. 97-ე გვერდის წინ  
სურათზე არიან „ელ. ჩერქეზოვილი და ვ. აბაშიძე  
წადევრში, 1921-1922“. ერთი ფოტოსურათი ორ წე-  
ლსადას როგორ გაკრძალებულა რა უნდა ასწე-  
მატურ ფოსტას“ ზ. ანტონოვის პიესაში „შისი დახ-  
ნელება საქართველოში“ მარტობა დაეპირებინათ  
(გვ. 102)? ე. ჩერქეზოვილი 61 წელსა შესრულდა  
1924 წელს, როგორც გაუგავანდა იმ წელს მსახიობ  
ბაბო ავალიშვილს წერილს, რაცა ეს უკანასკნელი  
მამის კარგა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. 1930  
წელს ვასო აბაშიძე სხვა მსახიობებთან ერთად ვერ  
შეუერთდებოდა კიდე მარკანიშვილს, რადგან ამ  
დროს იგი (ვ. აბაშიძე) ოთხი წლის გარდაცვლილი  
იყო. (გვ. 108). ზურაბ ანტონოვის პიესაში „მე მინ-  
და კენიანა ვაგბელ“ პერსონაჟი „თედელ“ არ არის  
(გვ. 110), ხოლო პიესაში „ქმარი ხუთი ცოლისა“  
არის არა თამარ, არამედ თამარ ზარდუიშვილი.  
ა. გრიშოვილის ფრაზისათვის — „მას (ე. ჩერქეზო-  
ვილმა — ს. ბ.) ნიჭიერად განაგრძო ნათო გაუწყნას  
გაყოფილი გზა და დღეს ჩვენი ღიზა ღირსებულად  
ავტრებს ხანუმას მოხდენილ ქათბის“, წაროდ  
მოითხოვულია დიმიტრი ჩანელიძის „სახიობა“,  
წ. II (გვ. 16). „ივერია“ 1888 წელს გაზეთი იყო და  
არა თურნალი (გვ. 114, შენიშვნა). აღ. რუწყუნავის ფი-  
ლმა „იენ არის დამნაშავე ანუ უაღილ-ვესტის მტეა-  
რი“ ეკრანზე გამოვიდა 1926 წელს (გვ. 133), თა-  
ნაც, საეკვლია, რომ ნინო ნაკაშიძის პიესაში „იენ  
არის დამნაშავე“ ე. ჩერქეზოვილს შეესრულებინოს  
ფაბის როლი როდისმე, ჭუფანასი — კი ცინო-სო-  
რაიშიც ჭუფანა ე. ჩერქეზოვილი იყო). უნდა იყოს  
სოფიო ეოზუფი, იან ნაზარაიშვილი (გვ. 134). ერთ  
სურათზე ე. ჩერქეზოვილი გამოსახულია კინოსუ-  
რათიდან „ჩანუე ჯურიაში“, სურათზე კი მიწერილია:  
„დელა—ელ. ჩერქეზოვილი, ფილმი „არსენა ჭორბა-  
ვილი“, 1921“. უნდა იყოს „სიციცხლის ბოლომ-  
დე“ დაბეჭდილი „სიციცხლის ბოლომდე“ (გვ. 151).  
აღსანიშნავია, რომ ამგვარი შეცდომა ბევრს მოსწეს.  
ე. ჩერქეზოვილის გარდაცვალებაზე წიგნში ოთხგან  
არის ღამარაკი.

სასურველია იქნებოდა ამგვარი ხარვეზები წიგნში  
არ ყოფილიყო. ავტორს, რედაქტორსა და კორექ-  
ტორს თვალი და უური უნდა მიედევნებინათ საინ-  
ტერესო და ვრცელი ნაშრომისათვის, რომელიც  
ემდებება ელისაბედ ჩერქეზოვილს, რომლის დიდი  
და მშვენიერი შემოქმედება ამჟინებდა ქართულ სა-  
თეატრო და სასცენო ხელოვნებას და რომელიც ჯერ  
კიდევ ცოცხლად არის აღბეჭდილი მის ნაწინობა და  
მახლობელითა ხსოვნაში.

წიგნი მრავალი მნიშვნელოვანი და აღწარდელი-  
ბითი მაგალითის შემცველია და მის ავტორსა და  
გამომცემლობას დამახსოვრებელი მაღალმა ეკუთე-  
ნით.

# ქართული

## მხატვრის კლბოვი

ი. მელენტივი „ირაკლი ოჩიაური“, გამომცემლობა „ხელოვნება“, 1976.



### ლეილა თაბუკაშვილი

ბარბაღ გამოცემული ალბომებით მხატვრობაზე არცთუ ისე განვითარებულია ჩვენი შეიხველი. და თუ მხატვრულ-პოლიგრაფიულად გამორჩეული გამოცემა ისეთ ხელოვანსაც ეძღვნება, როგორც ირაკლი ოჩიაური, მისი ღირებულება კიდევ უფრო იზრდება. სწორედ ასეთ გამოცემებს მიეუთვნება ალბომი „ირაკლი ოჩიაური“. ამ ალბომის ერთგვარი „გამორჩეულობა“ (და, ცხადია, არა განსაკუთრებულობა და უნიკალურობა) იმაშიცაა, რომ ქართული პლასტიკის ოსტატის შემოქმედებას აფხებს და ღირსეულს მიუზღავს ცნობილი რუსი ხელოვნებისმცოდნე. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ქართული ხელოვნების აღიარება არა აქვს საზღვრები, იგი დიდი ხანია შორის გასცდა რესპუბლიკის მასშტაბს და თვით კავშირის მასშტაბსაც. ქართული ხელოვნებით სხვადასხვა ეროვნების მკვლევართა დანიტერესება დღეს სრულიად ჩვეულებრივი, კანონომიერი მოვლენაა და ხაზობა მგობრობის, ერთმანეთის კულტურისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატულება.

სწორედ ეს პატივისცემა, სიუვარული, ღრმა ინტერესი კვლევის ობიექტისადმი, ძველი თუ თანამედროვე ქართული ხელოვნებით აღტაცება მსჭვალავს ამ ალბომისათვის იური მელენტივის შესავალ წერილს. მხატვრული ნარკვევის უშუალობა, ემოციურობა და საგულდაგულო ხელოვნებაში მოცდენობითი განსჯა აქ ორგანულიაა შერწყმული. მოქანდაკესთან ახლომგობრობის ურთიერთობა და შეხებერება, ქართული ძეგლების, ხელოვნების ნიმუშების, ქართული ყოფის უშუალო ხილვა, ცოდნა ქვეყნის წარსულისა და მის გამორჩეულ შვილთა მოღვაწეობისა ავტორს ემბარება ისტორიულ ასპექტში განიხილოს ოჩიაურის შემოქმედება.

ი. მელენტივის გამოკვლევა თავისი ხასიათით უფრო რუსი და უცხოელი შეიხვედლისთვისაა გამოიწუნული და ეს უფოოდ გამართლებულია. ოჩიაურის შემოქ-

მედებასთან კავშირში იგი შეიხვედლს აცნობს ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების გზებს, ბრწყინვალე ეროვნულ ისტორიულ მემკვიდრეობას პლასტიკაში, ჩვენი საუკუნის დასაწყისის და თანამედროვე ქართველ მხატვართა შემოქმედებას, მთელ იმ მხატვრულ-კულტურულ გარემოს, რომელშიც აღმოცენდა ოჩიაურის შემოქმედება.

ი. მელენტივი ვრცლად ჩერდება ქართული ქანდაკების ფუძემდებლის, პლასტიკის დიდოსტატის და შესანიშნავი პედაგოგის აკიბ ნიკოლაძის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე, რომელმაც ქართულ ხელოვნებას აღუზარდა მოქანდაკეთა არაერთი თაობა, მათ შორის - ირაკლი ოჩიაურიც. მკვლევარი ვევაზაბერბა მასწავლებლისა და მოწადის ურთიერთობაზე, სტუდენტებთან ნიკოლაძის მუშაობის მეთოდზე ოჩიაური „დიდადა დაავადებული თავისი მასწავლებლისაგან, მისი პლასტიკური სკოლისაგან და თვით იმ იდენის გამოც, რომელმაც ირ. ოჩიაური ახალი ქართული ბეღრობის პიონერად აქცია“. — წერს იგი.

შემდეგ ი. მელენტივი მიმკვება ოჩიაურის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ლაპარაკობს მის პირველ ნამუშევრებზე, ეკრძოდ, მოქანდაკის მონაწილეობაზე სახალხო მუშერნობის მიღწევითა სრულიად საქართველოში გამოფენაზე საქართველოს პავილიონის გაფორმებაში, აანალიზებს მის პირველ თვალსაჩინო სკულპტურულ ნამუშევრებს — მ. უხანეიშვილის პორტრეტს, ი. ჩავაბიშვილისა და ი. ნიკოლაძის რელიეფურ პორტრეტებს, თავისი მასწავლებლის ხისგან გამოკეთილმა პორტრეტმა შთააგონა ი. ოჩიაურს მისი ლითონის ღირფტაზე გადტანა. და, აი, 1958 წლის გამოფენაზე პირველად გამოჩნდა ახალი ქართული ლითონქანდაკეობის ნიმუში, რომელმაც სათავე დაუდო ქართული პლასტიკური ხელოვნების ახალ მიმართულებას. ამ ღრდიდან — ადინიშავს ი. მელენტივი — „მოქანდაკეს არ შეუწყვეტია ექსპერიმენტები;





სრულიყოფდა ტექნიკას, მოულოდნედა ახალ და ახალ სასწავლებლებს, რომლებიც კი შეეძინებოდა მხატვრის ჩაქოსკა თითბერში, საბლენში, ალუმინში“.

მაგრამ ლითონმშენაკვების ტექნიკისა და მხატვრული გამოხატვების ხერხების დაუცხრომოდ მიღება სრულიადც არ ნიშნავდა ქანდაკების მიმართ ინტერესისა და შთაინერების შესუსტებას. მკვლევარი აღნიშნავს ოჩიაურის თვალსაჩინო გამოჩვენებებს დაზვარდ და მონუმენტურ ქანდაკებაში, ანალოგებს უახვების ძეგლებს, ოლიასა და აკაის მონუმენტურ ბარელიეფებს, რომლებიც თბილისის გამზირების აქობას.

60-იანი წლებიდან გამოყენებზე ჩნდება ოჩიაურის ახალი ქედური ქმნილებები, რომლებიც წინა წლებების თანმიმდევრული, ნაყოფიერი ძიებების ნიმუშებს წარმოადგენენ. ამ ნაწარმოებთა მავალმხატვრობაში ბოძე მისცა სხვა მოქანდაკეებს დანტერესებულნიყენენ ლითონმშენაკვების დარგს, ამრიგად, თანდათან, ახლად აღმოჩენილ დარგს შეემატნენ სხვადასხვა ხელწერის ოსტატები, რომელთა შემოქმედებაში ერთიანი, ქართული ლითონმშენაკვების სკოლა შექმნა. თუმცა, სამუშაოდ, შემადგომ და შემდგომ მათ მიტანსნენ გულიერი ხელისნებისა და საქონისტიკა, — სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი.

ი. მელენტვიე ჩრდებდა ოჩიაურის თვალსაჩინო ნაწარმოებებზე ლითონმშენაკვებაში, არქიტექტურული ინტერიერთა კავშირში ანალოგებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედის, შარიაშვილის ხიდის სავაშოფერო დარბაზის, კორწინების სახლისათვის შემქმნილ პანოებს, საუბრობს მოქანდაკის შემოქმედებითი აზროვნებისა და ხელწერის თავისებურებაზე, მის მაღალ პორტრეტულ ხელგუნებაზე.

მაგრამ არა მარტო სახვითი ოსტატობითაა აღბეჭდილი, არამედ მაღალი პოეზიკა ვახსივონებული და სულირდაგებული ეს პორტრეტული ქმნილებები ქანდაკებისა თუ ქედურობაში. „ქუშხარატი ქანდაკება, მათ შორის ნაწიერი ოსტატის ლითონის პლასტიკა პოეზიასთან წილნაყარია. ფერო სწორია იქნება თუ ვტყვიან, რომ ფერთანეთოდ არსებობს არ შემოლიათ.“ — აღნიშნავს ი. მელენტვიე და მეთვალყურებს თავის შთაბეჭდილებებს უზარებს ვეფხს, გალაკიონის, ტკიპის ტაბისი ქედურ პორტრეტებზე, „ვეფხისა და მოყმის“ ოჩიაურისეულ ხორცშესხმავს, რომელიც, მკვლევარის თქმით, არის „ლითონით ამოთქმული ჰიმნი ვაჟაყობისა“.

ცალკე ცალკედ გამოყოფენ ი. მელენტვიე ნამუშევრებს, რომლებიც შთაინერებულია ქალის შვენიერობით, მისი პლასტიკით. მკვლევარი ხშირად შენიშნავს, რომ არც აღრიწდილ და არც მოგვიანო ქედურ ნაწიერში, რომლებიც ქალის სახითაა შთაინერებული, ნასახივ კი არ არის ვულგარულობისა და ერთკისა. იგი მეთვალყურებს უზარებს თავის უშუალოდ შთაბეჭდილებებს ამ ნამუშევრებიდან და აღწერს ხერხებისა და სასწავლებლების, რითაც ოსტატი აღწევს კომპოზიციის რჩმა მხატვრულ-ემოციურ გამოხატვებას. ამ გამოხატვებაში გარკვეულ როლს ასრულებს ლითონის შეფერვა, რომელსაც იდეალურ ტექნიკა და გემოვნებით იყენებს მოქანდაკე-მკვლევარი მეთვალყურებს, რომ ოჩიაურისათვის ქედურობის უჩვეულო კოლორისტული შესაძლებლობების გამოვლენა, ფაქტურის, შუქის გათამაშება მიმართულია არა იმდენად დეკორატიულობისა და ეფექტურობისაკენ, არამედ იდურ-მხატვრული ჩანაფიქრის გახსნიაკენ.

ი. მელენტვიე ანალოგებს მთელი რიგი ქედური ნაწარმოებების მხატვრულ ფორმას, გამოიღინარე მათი შენარსიდან, ავტორის ჩანაფიქრიდან, ამასთან

კავშირში იგი ეხებება ოჩიაურის ფერწერულ კვლევებს და აღნიშნავს, რომ „ამ ხშირად პირველ პრიციში შეიმჩნევა: ქედური ნაწარმოებები, პანოები ხდება მისი ფერწერული ტოლობის საფუძველი“. ფერწერულ კვლევებში ირავლ ოჩიაური გვიღვინება საკუთრივ ფერწერად, თავის ფეროა ვამით, ფილოსოფიური განზოგადებისაკენ ლტოლით, თავისი მღვლავრებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოცემით“.

მკვლევარი უყრადღებას ამახვილებს ოჩიაურის მრავალმხრივ შემოქმედებით ინტერესებსა და იმ ძიებებზე, რაც ხშირად ქუშხარატი აღმოჩენების საწინდარი ხდება. კერძოდ, სრულიად პოეზიულადნულ ეფექტს იძლევა თვდაპირველად ერთ მასალაში ხორცშესხმული და მეორე მასალაში გადატანილი ესა თუ ის თემატური მოტივი.

და როგორც უოვლივე შემოთქმულს, განალოგებულის, შეფხსებულის სავავე და პირველწერო, წერაილის ბოლის მეთვალყურებს წინაშე გადაიწლება დღევანდელი ზესურერი — მხატვრის სამშობლო კუთხე და მისი შემოქმედებითი სულის წრითობის კერა. ირ, ოჩიაურის მავზურობით ი. მელენტვიე სწევინა ფშავ-ხევსურების, სწევინა ჩარვლიან, რომელმაც, როგორც თვითონვე აღნიშნავს, „ქვენიერებას მისცა გასაკარო, დიდი პოეტი ვაჟა-ფშაველა“, კვლავ იგონებს ოჩიაურისეულ ვაჭს სულბატურულ და ქედურ პორტრეტებს, ამ ქმნილებებთან კავშირში — სტროფებს ვეფხს პოეზიიდან. ზესურერიის სოფელ ხახხატის, — აქურ მკვიდრთა უოფის, საქმიანობისა და გარემო-შეიფავის ჩინახტი მეთვალყურებს წინაშე ხატონად ასურათებს ზესურთა საშაროს თავისებურებას, იმ განსაკუთრებულობას, რაც მის მკვიდრს — ირავლ ოჩიაურს აღფერავს უღდებს სტროფის თავის ხელგუნებაში აღბეჭდოს, უყვადვეფხს ზოგი რამ აშვამად წარმავალიც. — ეროვნული სულის მონაპოვარი.

...„შევიცადე ფიქრით წარმომდგინა მისი ბოლო-დღორიდელი ნამუშევრები — წერს ი. მელენტვიე — „მთიელები“, „ხევსურეთი“, „მთიელთა ზემი“. რა გვეთქმის, ირავლ ოჩიაურს უფსერეთი, რომ მისი შემოქმედებას წარმატება რტებოდეს ამ მიმართობისთა“.

აღბოში უზვადა ილუსტრირებული მოქანდაკის სკულპტურული, ქედური და ფერწერული ნამუშევრებით. პოლოგრაფიულად მაღალ დონეზე შესრულებული ფერადი ილუსტრაციები კარავ წარმოუდგენს მეთვალყურებს ორიგინალის მხატვრულ ღირსებებს, ძერწვის თუ ფერწერული ტექნიკის თავისებურებას.

აღბოში დაიბეჭდა ა. ფდინოვის სახელობის მოსკოვის შრომის წიგნითი დროშის ორდენისან № 1 სანიმუშო სტამბაში. სწორედ ღირსეული სტამბური განზოცილებების წყლობით მეთვალყურებს შესაძლებლობა მიეცათ სრულყოფილად გაცნობოდნენ ირავლი ოჩიაურის შემოქმედებას, გამოხატვლობა არ დაჟარგვია გამოცემის მხატვრის დავით დუნღუნს შესანიშნავ ნამუშევრასაც, მის მეორ მაღალი ვეფხურით შესრულებულ, კარავ გაზარტებულ, აღბოშის უოვლ კომპოზენტს, დაწვებული სუტერიდან და გარკეანიდან მთელი მკეტის ჩაუთვლი.

# „კოტე მარჯანიშვილის დრამატურგია“

ბამრცემელმა „ხელოვნება“, 1977 წ.



## ქეთევან ხუციშვილი

ამ ბოლო წლებში კ. მარჯანიშვილის შემოქმედების შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობს. ახლანდელ გამოცემა გვიჩვენებს მონოგრაფიას, რომელიც იკვლევს კ. მარჯანიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ავტორი მარჯანიშვილის დრამატურგიას განიხილავს იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით და უტრადღებებს ამახვილებს იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია დღევანდელი თვალსაზრისითაც. იგი არ იფარვებს აგრეთვე მარჯანიშვილზე ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების გავლენას. მისი შემოქმედების ცენტრში ხომ უყოველოვია იდეა საზოგადოებრივი პრობლემები, იგი უყოველოვია ეხმარებოდა ეპოქის მოწინავე იდეებს. ამიტომ აღინიშნავდა მარჯანიშვილი 1908 წელს კიევი გაზეთის კორესპონდენტთან საუბრის დროს „...თეატრს არა აქვს უფლება არ ეხმარებოდეს დროის სულიკეთების მაღალ მოთხოვნილებებსა და ინტერესებს“.

მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს მარჯანიშვილის დრამას „ბერიოზნიკი“, კერძოდ, მის მთავარ გმირს და დასძენს: „მარჯანიშვილის კოსიხი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ტოლს არ უდებს 20-იანი წლების საბჭოთა დრამატურგიაში შექმნილ კომუნისტის სახეებს“ (გვ. 60). წიგნის ავტორი სამართლიანად აფასებს, მართლაც და, საინტერესო თემატიკის ამ მაღალ იდეურ პიესას, სადაც დაპირისპირებულია იმდროინდელი საზოგადოების ორი ჯგუფი: კომუნისტები და მათი მტრები — კ. მარჯანიშვილის სასახელიდ უნდა ითქვას, რომ მან მოიმარჯვა უველზე უფრო ძნელი, მაგრამ სასწაულე-

ბრიადა მოქმედი იარაღი — იდეური ბრძოლა“ (გვ. 58). ავტორი განიხილვისას სწორედ ამ კუთხიდან აფასებს და საქმის ციფრით აანალიზებს მარჯანიშვილის „პოლიტიკური მიზანმიმართულ“ დაწერილ ნ. წარმოებს და აღნიშნავს, რომ იგი „მხატვრული დამატარებლობით ეხმარება საერთაშორისო მნიშვნელობის რევოლუციურ მოძრაობას“. აქ ლაპარაკია პიესა „ბერიოზნიკში“ ჩინეთის 1925 წლის სახალხო რევოლუციის გამოძახილზე.

კ. მარჯანიშვილი ხომ დიდის გაცემით ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას. მისი ხელით შედგენილი „ჩემი ლიტერატურული შრომის“ ნუსხაც მოწმობს, რომ მას უცდია კიდევ მხოლოდ ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მოეკიდა ხელი. აი, რას წერს იგი 1910 წელს ნ. ევკოიჩის: „... წერას მივყოფდი ხელს, მაგრამ არ გამომდის. ასე რომ, ცდელაა ჩემი საქმე. მაინც მინდა პატარ-პატარა რაღაცეები გადაწერო და გამოვიგზავნო. იქნებ სასვთაშორისოდ წაუკითხავდი ჩირიკოს — რას იტყოდა. თუ შეეცოდინება, რომ ქარგია, ეგებ სრულიად გარდაემქმნა ჩემი ცხოვრება და ლიტერატურისათვის მიმეყო ხელი. პიესა რომ მაინც დაემთავრებინა... მაგრამ არ გამომდის, საშინელება“ (კოტე მარჯანიშვილი, შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ტ. I, 1972 წ. გვ. 227). ეს ის პერიოდი, როდესაც მარჯანიშვილი უკვე სამხატვრო თეატრშია, მაგრამ არავითარი საშუაო არა აქვს. ამიტომ წერდა ლენინგრადში თავის მეუღლეს „თეატრში ჩემი მდგომარეობა ძალიან მძიმეაო“. აღნიშნულ წერილში მარჯანიშვილი პიესას არ ასახელებს, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაპარაკია პიესაზე „კიკვიკი მინროში“, რომელსაც თავისი ლიტერატურ-



რული შორებობის ნუსხაში 1910 წლით ათარიღებს.

ამ პიესის განხილვისას ავტორი ურადლებას ამან-  
ვილებს მ. ვოკოს დიდ გავლენაზე რეაქციის წლებში,  
მისი რვეულუციური მოძრაობით გატყუებზე და წერს,  
რომ ეს პიესა იყო „კოტე მარჩანაშვილის რევოლუ-  
ციური გატაცების ანარქული 1905 წლის ამბების  
შემდეგ“. შეკლდებიან ამ პიესის განხილვისას მითით-  
ებებს დრამის ღირსებაზე — „ეს არის ინტერნაციონა-  
ლისმი და მუის თემა“, და სამართლიანად დამძენს:  
„ის ღრმა ინტერნაციონალიზმი, რომელსაც ხაზი გა-  
უსვა ა. ლუნაჩარსკიმ კ. მარჩანაშვილის რევისორულ  
შეგოქმედებაში, ჩემის აზრით, მზატრულ ნაწარმოებზე  
თა შორის პირველად ამ პიესაში ვარაშქლავენა ღიდ-  
მა რევისორმა; მუის თემა კი აქ გამოზოდგნილი უვე-  
ლა პიესაშია მეტ-ნაყლდობი“ (გვ. 84).

ვოკოსთან მეგობრობამ და რევოლუციური მოძ-  
რაობით გატაცებამ ხელი შეუწყო მარჩანაშვილის  
იდეურ-პოლოტიკური მისოღმუხედველობის ჩამოყა-  
ლიბებას და მისი შემოქმედების იდეურად გაღრმავე-  
ბას. სწორედ ამ პერიოდში უახლოდება მისი შემოქმე-  
დებითი პრინციპები. ბუნებრივია, რომ ეს გარკვეულ  
გავლენას ახდენს ლიტერატურულ ნაწარმოებებზე,  
რაც ასე ნათლად აისახა მის დრამატურგაში.

გ. ბოჭვალა სარეცენზოი წიგნში მარჩანაშვილის ლი-  
ტერატურული ნაწარმოებებიდან იხილავს ექვს პიე-  
სას, ექვს ცინოსცენარს, სამი ოპერეტისა და სამი პან-  
ტომის ლიბრეტოს.

გ. ბოჭვალამ ქვე ლონდონის მოთხრობის „ა-ჩო-ს“  
მიხედვით შექმნილ მარჩანაშვილისეული ცინოსცენარს,  
„ა-ჩოლ და ა-ჩო“ აღმოაჩინა. მათ შესახებ იგი წერს:  
მიხედვით შექმნილი მარჩანაშვილისეული ცინოსცენარის  
„ა-ჩოლ-ს და „ა-ჩო-ს“ დღემდე არ შეგების შეკლდევა-  
რის ხელი, აღწენად, იგი უცნობია არა მარტო უფრო  
საწავადობების, არამედ თვით სპექტაკლისათა დიდი  
ნაწილისათვისაც. ექვს არ იწყებს ავტორის ეს მო-  
საზრება, რადგან ამ სცენარის აღმოჩენის პირობიტე-  
ტი გ. ბოჭვალს ეყოფოდა.

კ. მარჩანაშვილის უსაზღვროდ მიდიაროი შემოქმე-  
დებითი ბოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოკლდე-  
ნაა მუსიკალურ თანარში მუხაზობა. მეტად საყურადღე-  
ბოა მისი ნოვატორული მიზანია მუსიკალურ თატრ-  
ში.

მუსიკალური თატრით კ. მარჩანაშვილის გატაცე-  
ბას გ. ბოჭვალა ასე ხსნის:  
„1. აელორჩინებინა ეს დაცინებელი ეფნარი, ახალი  
სული რადეგა მისთვის, სასარგებლო გაუნხადა ხალხი-  
სათვის. 2. გაეცოცხლებინა მისეული „თავისუფალი  
თატრის“ ადრე ჩამქარალი პრინციპები სინთეზური  
თატრისა და სინთეზური მსახიობის პრობლემებთან  
დაეკვირებით. უკველივე ეს კი საფუძველს ჩაუყრიდა  
რუსული ეროვნული მუსიკალური თატრის შექმნასა  
და განმტკიცებას“ (გვ. 205).

ამასთან ერთად, კ. მარჩანაშვილი ოპერეტის  
თატრში ხელედად შემატლებლობას შექმნა „ცოცხალ-  
ი, მხენე, სისარულითა და ხალხის ალასკე“ ხელოვ-  
ნება. წიგნის ავტორი, ვიდრე მარჩანაშვილის ოპერე-  
ტის ლიბრეტოებს განიხილავს, მუსიკალურ თანარში  
მის რეფორმატორულ მოღვაწეობაზე ამახვილებს  
ყურადღებას, შემდეგ მის სამ ლიბრეტოს „სულის სურ-  
დოს“, „შვე უფლისწულს“ და „ოქროს ევას“ ანალი-  
ზებს. სამივე ლიბრეტო მარჩანაშვილმა პეტროგრადის  
მუსიკალურ თატრში დაგა.

„სულის სურდოს“ განიხილვისას გ. ბოჭვალა წერს:  
„საინტერესოდ დაიდა, მაგრამ მთლიანობაში მაინც  
ვერ მივიღო ისეთი ნაწარმოები, რომელიც გაუტოლ-

დებოდა ოპერეტის კლასიკურ ნიმუშებს, აღმათ ამი-  
ტომ იყო, რომ რეცენზენტები გამოგზავრნენ სპექ-  
ტაკლს, ბოლო ლიბრეტო კი გააკრიტიკეს“.

ამით მთავრდება სპექტაკლის შესახებ. ჩემის აზ-  
რით, სასურველი იქნებოდა იმდროინდელი რეცენ-  
ზების მომუდლებით ავტორს ყურადღება გაემსახე-  
ლებინა ამ დადგმის ღირსებაზე.

მარჩანაშვილი, ოპერეტის თანარში ხელედადა რა სი-  
თეზური ხელოვნებისა და სინთეზური მსახიობის ყვე-  
ლაზე მეტ შესატლებლობას, ოპერეტის მსახიობისან  
მოითხოვდა მაღალ კულტურას, რომელიც უკვე და-  
კარგული ჰქონდა მას. ამის შესახებ წერდა იგი:  
„.....თანამედროვე ოპერეტის მსახიობს არ ყოფნის თა-  
ნამედროვე თატრალური კულტურა, არ ემის ოპე-  
რეტისთან დაეკვირბებით ფორმები, რომელიც  
წარმოადგენენ სინთეზური თატრის დედაზრს, რომ-  
ლის ელემენტებია — სიტყვა, ეფსტ, მუსიკა, სილდე-  
რა, ცეკვა. ოპერეტის მსახიობი, გარდა ქუისა და  
ცოდნისა, უნდა ფლობდეს თანედაყოლილ მახელოვ-  
ნიერებას, იმპროვიზაციულ ნიჭს, რის გარტე უფრო  
ბაა ოპერეტა, არ ელაპარაკებ უკვე იმ ნიჭის შესახებ,  
რომ ითვოს შესუფერი ფორმები საწავადობირევი  
სატრის გამოსახატავად“ («Вестник театра»,  
№ 44, стр. 10, 1919).

მარჩანაშვილმა თავისი ლიბრეტოები „შვი უფლის-  
წული“ და „ოქროს ევა“ დადა პეტროგრადის კომი-  
უტური ოპერისა და ოპერეტის თატრში, „ოქროს ევა“  
ამ თატრის მეორე სპექტაკლი იყო. ეს სპექტაკლი  
საყურადღებო იყო იმიდენად, რამდენადაც საწავადო-  
ებამ იხილა ოპერეტის მსახიობის სრული გარდაქმნა  
და გამოკვლინა ახალგზარდა ნიჭიერი მსახიობები,  
წარმოინდა სამსახიობო ოსტატობის სრულად ახალი  
მსახრები და სასუფლებები. ამიბოგან აღწენადგენ-  
ენ კ. მარჩანაშვილის რევისორული შექმნის ამ  
უძლიერების შესახებ — „მსახიობის ნიჭიერებისა და  
შემოქმედებითი ინდივიდუალობის აღმოჩენის უნარს“  
(გ. კოტიკი).

გ. ბოჭვალა წერს: „სინთეზური თატრისა და სინთე-  
ზური მსახიობის პრობლემის გადაწყვეტას კ. მარჩ-  
ანაშვილი პანტომიმის მეშვეობითაა აპირებდაო“. მარ-  
ჩანაშვილს აინტერესებდა აღმანიის შინაგანი განც-  
დები მთელი სიცხადითა და სიღრმით დაეცა მათე-  
რუბლისათვის უსიტყვოდ, მას სურდა თვით საყურე-  
ბელი გატახდა თატრალური წარმოდგენის მონაწილე.  
სხვათა შორის, უსიტყვოდ დრამა „ცრემლები“ მან პირვე-  
ლად ეცივის გარნიზონის გარტებს უცენდა. ეს შემთხვევი-  
თი არ ყოფიდა. მას სურდა სპექტაკლი პირველდგენ-  
ება არა თატრალურ ხელოვნებაში გათვითცნობირე-  
ბულ მეაურებულს, არამედ გამოუცვლელ მაეურებულს,  
რათა შემოქმედებისა, თუ როგორ შთაბეჭდილებას  
მოახდენდა აღმანიის დრამა უსიტყვოდ. „მე გატაცე-  
ბით შევედღექე უსიტყვო პიესის რევისორობას იმი-  
ტომ, რომ მასში ვიგრძენი სვეწერი ახალი შესა-  
ტლებლობა. იფიქრეთ უსიტყვოდ გადასცეთ ის, რასაც  
საუყურებთ მანძილზე ხალხი სიტყვებით გადასცემ-  
და. მაგრამ მე დამაინტერესდა არა ღრმა პანტომიმამ,  
არამედ ნამდვილმა ცხოვრებამ გარდაქმნილმა ხელო-  
ვნებაში.“

„...საერთოდ მიმოვტარე იდეა მეტად საინტერესოა  
და მის შესახებ მე ახლა ბევრს ვეღერებო“. („ოუენაია  
მისლ“ № 197, 26. IV. 1921 წ.). ამიტომ არ შეჩერებუ-  
ლა მარჩანაშვილი ამ ერთ დადგმაზე. ამ დღეს აგრძე-  
ლებს „თავისუფალი თატრში“. აქ დადგა ოლი თობი  
სპექტაკლიდან ერთი პანტომიმა იყო. არ, რას წერს  
აღიხს კოონენი ამ თანრის სიახლის შესახებ: „ითა-

მშვი სპექტაკლი უსიტყვოდ, დრამატული სიუჟეტით და რთული ფსიქოლოგიური ქსოვილით, მუსიკის რიტმში — ცოტას თუ წარმოედგინა რა გამოვლილია და აქედან. სწორედ ამიტომ იყო, რომ „პიერეტას მოსახსამზე“ მუშაობის დაწყებისას სუბოლოდსკიმ შეწყვიტა სპექტაკლის დაფინანსება იმ მოტივით, რომ „მუწე მსახიობების სპექტაკლზე საზოგადოება არ მუწეა, იგონებს ალისა კონენე (Котэ Марджанишვილი, Творческое наследие, 1966 წელი, გვ. 305). მაგრამ მანქანიშვილის ამ ენარში დაინტერესება იმდენად დიდი ყოფილა, რომ უკან არ დაუბრუნა და კატეგორიულად მოუთხოვია სამუშაოს გაგრძელება. მეტად საუბრადობდა ალისა კონენეს აზრი პანტომიმის „პიერეტას მოსახსამის“ შესახება... „თავისუფალი თეატრი მარჯანიშვილის დიდი დამსახურებაა „პიერეტას მოსახსამის“ დადგმა, რადგან პირველი პანტომიმა განხორციელებული იყო არა როგორც პირობითი საბალეტო წარმოდგენა, არამედ როგორც მიმოდრამა, შეგრულებული დრამატული მსახიობების მიერ“ (იქვე, გვ. 306). ე. ი. მარჯანიშვილის პირველი შეხედულებები პანტომიმზე აბსოლუტურად ემთხვევა შემოქმედებით შეყვარებულ ასული მარჯანიშვილის შეხედულებას ამავე ენარზე („მშეთაშვიტე“ და „ხანძარი“).

გ. ბოჭუაძე მარჯანიშვილის დრამატურგიულ მემკვიდრეობას აჯამებს თავში „მ. მარჯანიშვილი და დრამატურგიის საკითხები“. აქ იგი წერს თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა მარჯანიშვილი დრამატურგიას თეატრში, გვაცნობს მის თეორიულ მოსაზრებებს დრამატურგიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თეატრის ირავლივ შექმნილ ვითარებაზე და შეხედულებას ქართული დრამატურგიისა და თეატრის განვითარებისათვის დასახულ გზებზე.

მ. მარჯანიშვილი ახლად შექმნილ საბჭოთა ქვეყნის თეატრალურ ხელოვნებაში, აპეიდრებდა რა რევოლუციურ რომანტიკას, თანამედროვე რევოლუციური დრამატურგიის უქონლობის გამო ხშირად მიმართავდა კლასიკურ რეპერტუარს, ახლებურად კითხულობდა მას და თანამედროვეობას უკავშირებდა. მაგრამ კლასიკურ რეპერტუარზე მუშაობა არ გამოირჩევა მარჯანიშვილის მიწარადებას შექმნილიყო თანამედროვე ორიგინალური პიესები. მას მიანდა, რომ, უპირატესს ყოვლისა, საჭირო იყო ორიგინალური, თანამედროვე სულისკვეთებით გამსჭვალული, ეროვნული დრამატურგიის შექმნა. იგი ამბობდა: „შესაძლო იქნებოდა ზოგიერთი რამის აღდგენა ძველი სახიობიდან (ბერკიკობა და სხვ.), მაგრამ საჭირო არის თუ ან ეს ჩვენივით დღეს? გამოუვა სამუდგომო ნივთი: სხვა საქმეა დრამატურგია, უფროდ შეთანხმებული პარალელარობის ექსპოსიან“.

მარჯანიშვილი, ისწავლავდა რა ქართულ თეატრს მქონდა „ქეშმარტი საბჭოური რევოლუციური თეატრის სახე“. ცდილობდა პარალელარულ შეგრძობას დეკაბრინა წამყვანი ადგილი თეატრში. შესაძლებელია, იმ ეტაპზე, პარალელარული დრამატურგია სუსტი იყო, მაგრამ მარჯანიშვილი ახალბედა ავტორებთან ერთად შრომობდა და ამით ახლოვებდა მათ თეატრთან.

დაბოლოს, მინდა აღენიშნო, რომ გ. ბოჭუაძემ ამ შრომით თავისი წვლილი შეიტანა მარჯანიშვილის შემოქმედების ამ უცნობი მხარის კვლევასა და შესწავლაში.

# საინტერესო მონობრასშია

მზია იაშვილი „არჩილ კარახალიძე“  
გამომცემლობა „ქალღმერთი“, 1977 წ.

იუნონა აფაქიძე

ახლახან მკითხველმა მიიღო გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ დასტამბული მუსიკისმცოდნე მზია იაშვილის მონობრასა „არჩილ კერესელიძე“. ავტორის ჩაუტარებია რთული და შრამატკვალი სამუშაო, შეუგროვებია და შეურჩევია მდიდარი მასალი, მუხუდენია მისი სისტემატარება. იგი მითხველს აცნობს კომპოზიტორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, გამოჰყავს ა. კერესელიძის შემოქმედების ძირითად ეტაპებსა და ენარებს, საფუძვლიანად აანალიზებს არჩ. კერესელიძის მემკვიდრეობას, ცალკეულ ნაწარმოებებს, რის საფუძველზედაც აღნიშნავს იმ დიდ დამსახურებს, კომპოზიტორს რომ მიუძღვის ქართული ოპერის, კინომუსიკის, დრამატული თეატრის სიმღერისა და ოპერების განვითარებაში.

მ. იაშვილი ზატკვნილ აღწერს იმ ატმოსფეროს, კრემლშიც იზრდებოდა მონავალი კომპოზიტორი. კერესელიძე-მუსიკოსის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა ოჯახურმა გარემომ, რომელშიც თავს იყრიდნენ ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები, მათ შორის — ზაქარია ფალიაშვილი. პატარა არჩილს არაერთხელ მოუხმენია ნაწყვეტები უკვადვი „ახესლომიდან“ და „დაიხიდან“ თვით ავტორის

საფორტეპიანო შესრულებით... შემდგომში... ფალია-  
შვილიან ა. კერესელიძემ დაამყარა საქმიანი ურ-  
თიერთობა, რამაც მისცა ბიჭი მის შემოქმედებით  
ძიებებს. 16-17 წლის ა. კერესელიძემ შექმნა სა-  
ფორტეპიანო მინიატიურები „უარიკობა“ და „მითი-  
ულური“. ამ ნაწარმოების შექმნაში წყველილი მიუძ-  
ღვის ვირტუოზ მოცეკვავე ილიკო სუხიშვილს.  
რომელთანაც მეგობრობდა მომავალი კომპოზიტო-  
რი.

მ. იაშვილი საქითხის ღრმა ცოდნით მიმოიხილავს  
თბილისის მუსიკალური ცხოვრების იმ სისხლსავე  
შემოქმედებით ატმოსფეროს, რომელსაც ვა-იანი  
წლების დასაწყისში უზარა სრულიად ახალგაზრდა  
არჩილ კერესელიძე, ავტორი სიამაყის გრძნობით  
აღწერს ამ წარმატებას, რომელიც კერესელიძემ  
მოსკოვის კონსერვატორიის უაღრესად მაკარი და  
მომხობენი საგამომცემლო კომისიის წინაშე მოაპო-  
ვა. მოსკოვის პერიოდის განხილვისას ნათელი ხდე-  
ბა ქართული საბჭოთა მუსიკის წინსვლაც. იგი  
დღეს (მათ შორის ა. კერესელიძის ნაწარმოებე-  
ბიც) მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქა-  
ლქების საკონცერტო ორგანოებზე სახელგანთქმული  
მუსიკოსების გ. სტოლიაროვის, ლ. გინზბურგის, ო.  
დამიტრაძის შესრულებით. მოსკოვის პერიოდის  
ნაწარმოებებიდან მ. იაშვილი უყარადღებს ამავე  
ლუბს არჩილ კერესელიძის სიმფონიურ, რომელიც  
კომპოზიტორის სადილომო შრომაა.

როგორც მ. იაშვილი აღნიშნავს, სახელმწიფო სა-  
გამოცდო კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შე-  
დიოდნენ: მ. შტიინგრეი, ა. გოლდენვიზერი, ვ.  
ფანოვ-რადევიჩი, ა. ცუკერმანი, ლ. მარული, დ.  
კახალავსკი და სპეციალურად მიწვეული ს. პროკოფი-  
ევი, მაღალი შეფასება მისცა კერესელიძის სიმფო-  
ნიას, რომელიც ავტორის მოხერხებულად „გაღმრ-  
ავეს“ საქართველოს სწამდებულში. ამით მკით-  
ხელისათვის ნათელი ხდება როგორც ქართული  
ინსტრუმენტული მუსიკის ნასაბის გზები, ასევე  
კერესელიძის სიმფონიის როლი და მნიშვნელობა  
ეროვნული სიმფონიური აზროვნების განვითარე-  
ბაში.

მონოგრაფიის ავტორი დამატებულად ვეხიბავს  
კომპოზიტორ-მოკლავის სახეს, მის ღვაწლს, ა. კე-  
რესელიძემ ხომ აქტურად ეხმარებოდა ეპოქალურ  
მტრებსა და მოკლენებს. ამის ნათელსაყოფად ავტორი  
მითითებს გმირულ-პატრიოტულ ელვადობის იმ  
ნაწარმოებებზე, რომლებიც კომპოზიტორმა სამაშუ-  
ლო ომის წლებში შექმნა. ესენია: მუსიკა სპეტაქ-  
ლებისათვის „მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებ-  
ელი“ და ოპერა „ბაზი-აიუკი“.

სარტყენიო წარმოები ღრმად და საფუძვლიანად  
არის განხილული ა. კერესელიძის შემოქმედებითი  
შემვიდებობა, რომელიც სხვადასხვა ენის მოიცავს.  
ინსტრუმენტული სფეროდან ავტორი დეტალურად  
განხილავს სიმფონიას და მთებედავად ღრმა პრო-  
ფესიული ანალიზისა, მკითხველისათვის სავსებით გა-  
საყვებს ხდის მის შინაარსსა და ფორმასაც. მკვლევარ-  
ი ხაზს უსვამს კომპოზიტორის მელოდიკის ვოკა-  
ლურ ბუნებას, რამაც განაპირობა ა. კერესელიძის  
ინტენსიური მუშაობა ინტერალურ ენარებში. მ. ია-  
შვილი დაწვრილებით განხილავს კომპოზიტორის  
მოდერნიზმის დრამატულ თეატრებს, სადაც მას  
მრავალი სპეტაკული გაუფორმებია. მისი მუსიკა  
სპეტაკულებისათვის ქვეყანაში, დრამატურულად  
გამაწნული და ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია  
სპეტაკულების დედაპირის გახსნისას. ამის ნათელ-  
საყოფად მკვლევარი შეხელობს სპეტაკულების —  
„სოლომონ ისაკიან მექანაშვილი“, „მეფე ერეკ-“



არჩილ კერესელიძე

ლე“, „დავით აღმაშენებელი“, „მისი ვარსკვლავი“  
და „ხარატანიან კერას“ — მუსიკალურ ხორცშესხმა-  
და სამართლიანად განსაზღვრავს ა. კერესელი-  
ძის დამსახურებას ამ სფეროში. წინაშე სწორად  
არის განსაზღვრული, რომ სტენის სპეციალური შეგ-  
არჩნებმა განაპირობა კომპოზიტორის წარმატება სა-  
ოპერო ენარში, რომელსაც ცენტრალური ადგილი  
უჭირავს მის შემოქმედებაში. ავტორი იძლევა ოპე-  
რა „ბაზი-აიუკის“ დეტალურ გარჩევას; საფუძვლიან-  
ად აანალიზებს ოპერის მუსიკალურ-დრამატურ-  
გეოლოგიკური განვითარების პროცესს და წარმოაჩენს მუ-  
სიკალური ქარგის სიმფონიების პრინციპებს.

მონოგრაფიაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ა.  
კერესელიძის მოღვაწეობას ქართული ეროვნული  
სფეროში. ქართულ მუსიკისმოცოდენობაში ასე სა-  
ფუძვლიანად პირველად სწორედ ამ ნაწარმოებმა  
განხილული კომპოზიტორის მუშაობა კინოში. ავტორი  
საფუძვლიანად განხილავს პარტიტურებს ფილ-  
მებისათვის „ეჟი და კოკე“, „მადვანის ლურჯა“,  
„სხვისი შვილები“, „ფატიმა“ და „დიდოსტატის  
მარკვენა“.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია ა. კერესელიძის ეი-  
ნემატოგრაფიული აღწერა და ხედვა; გამოხატულუ-  
ბას რომ პოულობს მის მეკერესა და ორიგინალურ  
მუსიკალურ კონცეფციას, რომლებზეც უფოთი  
საწყისი განვითარების გზით აუჯანყლია ფსიქოლო-  
გიურ დრამაზე.

ავტორი გამოყოფს „დიდოსტატის მარკვენას“,  
რომელშიც ა. კერესელიძემ წინა პლანზე წამოსწია  
ტრაგედული საწყისი, რითაც იგი გამოირჩევა მის  
მეორე გაფორმებული სხვა ფილმებისაგან.

თავის ნაწარმოებში მუსიკისმოცოდენ მზია იაშვილმა  
წარმოება არჩილ კერესელიძის — კომპოზიტორისა  
და მოკლავის სანატრეს, შთამბეჭდავი პორტრე-  
ტი. ამას იგი აწევს პროფესიული ანალიზის გზით,  
თბილისის ემოციური და სერიოზული ტონით. მონო-  
გრაფია „არჩილ კერესელიძე“ გამოსწულია არა მარ-  
ტო პროფესიონალიზმისათვის, არამედ ხელმისაწვდომია  
ფართო მკითხველისთვისაც.



# ბარონ მიუნჰაუზენის ხსოვრება და ბარლამუნა

(ქველავი მართალი აღმზინი)

ორმოხმედიანი ამოცანის შენახვა

### მოკმედი პირი:

ბარონი, კარლ ფრიდრიხ ფონ მიუნჰაუზენი  
 ბარონესა იაკობინა ფონ მიუნჰაუზენი, ბარონის  
რამკოპვი. ესაოთნო ერთი... (ითხვობს). „თქვენო უდიდებულებოებო, მე მართა მიღერი, დაზოხობი თქვენს ფერხით... ასე, ასე... „ჩემი არანორმალური ქმარა... ასე... ძალიან კარგი! (კალამს აძლევს.) აი აქ მოაწერეთ ხელი, აქ ოპირილი დაუხვით... დღეს ოცდაოთრბრები მისია.

მართა. ამის ნება მიიძე მომეცით, ბატონო რამკოპვი, სხვა რიყხვი დაღესვა.

რამკოპვი. არა... არა... ყველაფერში სიზუსტე უნდა დავიცვათ!

მართა. მამე მირიდები... რომ არ მოკლავთ?  
 რამკოპვი. არა თქმა უნდა, ხომ გაიხსენით. დიდი-დიდი, ცოტათი დავშავდეს.

მართა ხელს აწერს. ფეხდევებს შემოპყავს მიუნკაუ-წინე.  
 მოსამართლე. ბრალდებულო მოსმინეთ სასამართლოს გადაწყვეტილება. თქვენი პირიყვნების დადგენისა და სასამართლოს შეტყობის თავიდან აცილების მიზნით, პანოეფრის სასამართლო ადგენს, რომ თქვენ მოწმეთა თანდასწრებით გახმოვრო ბარონ მიუნკაუ-წინეს ცნობილი გმირობა — მთარეფე გაფრინა გასაგებია თქვენთვის ამ ექსპერტის პირიყვნები?

მიუნკაუ-წინე. მით უფრო, რომ იგი განაჩენიყვა.  
 მოსამართლე. უფლება გავკეთ, უარი თქვათ მასზე!

მიუნკაუ-წინე. არა. თანახმა ვარ.  
 პასტორი. შეილო ჩემო, მეტად სამოცა გამოცდა გტეფოქოქსა... სარბის ხომ არ ინებებთ?

მიუნკაუ-წინე. არა. მთელი ჩემი ცხოვრება აღსარება იყო, მაგრამ არავის სწეროდა ჩემი.

პასტორი. მაინც გთხოვთ განიწმინდოთ, შეინსუბუქოთ ცოდვენი და მამიტეფული სული.

მიუნკაუ-წინე. ეს უკვე მოხდა, პასტორო. მეგობარი მუადო, მოსულადა, საყვარებო ქალმა უარი თქვა ჩემზე. ჩიტიოთ მსუბუქად გაფრინდებო...

მართა. მამადიე, კარლი ჩვენი ოჯახის გულისსათვის ჩავიღიე ეს...  
 მიუნკაუ-წინე. აღარც ოჯახის მწრც არავიე, გახსოვს, არქიმედთან რომ ვიყავით, გვიხობა — სიყვარული თიერმეაო, რომელსაც...

მართა. უკვლე დღე სწირდება დამტყობოაო...  
 მიუნკაუ-წინე. მითხარი რამე წასკლის წინ...  
 მართა. რა?

მიუნკაუ-წინე. ასეთ წუთებში ყოველთვის მოიძებნება მნიშვნელოვანი სათქმელი.  
 მართა. დაგელოდი.

მიუნკაუ-წინე. არა, არა, ეს ის არ არის...  
 მართა. ძალიან მიყვარხა!

მიუნკაუ-წინე. არც იგ!  
 მართა. კარლ, ზარბაზნი სველი ტუცია-წამლია!

ბარონესა. ეს რა ჩიიიენიე, მართა?!  
 მიუნკაუ-წინე. თავი დანებებ, ყოხად, მართა! ვის მუყან ქვეყანაზე ასეთი საყვარლო ქალი? რას ნიშნავს ეს, ბატონო რამკოპვი? ასეთი ხუმრობისთვის ბრძოლის ველზე კაცს ხზეტ ჰკიდეენ.

რამკოპვი. მართლა მკვლელები ხომ არ ვართ? ცოტა ხანს იორიედი და ძირს დაბერტუებოდი. დარწმუნდებოდი, რომ მღერი ხარ და თქვენს ყვავილებს დაურუნდებოდი.

თეო. რამკოპვი, თქვენ არამზადა ხართ! (დამსწეს იმიშულესს.) დაცვაით თავი!

ბარონესა. თეო, დაწყნარდი, თეო!  
 მიუნკაუ-წინე. თომას, მომიხებ, რაც გთხოვ?  
 თომასი. ინებებ, ბატონო ბარონი!

მიუნკაუ-წინე (მოსამართლეს). გავცით ბრძანება, ხელახლა დატენონ ზარბაზნი.

მოსამართლე. თუ კი ასე გსურთ, რა გაეწყოა. ფეხდევებელი, დატენთ ხელახლა ზარბაზნი!

ფეხდევებელი. ლულაში ტუცია-წამალს ჰჭრის.

მიუნკაუ-წინე. შვილიშობი, ბატონებო. მალე გაფრინდები. ვეკებო. კიდეც უფხვეთ ერთმანეთს. მე რომ დახბრუნდებო, თქვენ აღარ იარებებთ. სკვეთ ის ვახლოვ, რომ კოს-მოსსა და დენიწიწე ეთამოსდა დიდად განსვადლებ ერთმანეთისგან. იყურო გაეღებია აქუარ საუყუნებს უფროს. (მიდის ზარბაზნისკენ).

შემობრბის ბურკომისტრი. ცალი ხელით დებეშას მოაფრიალებს, მეორით ბარონის მუნდერი და პარეი მოჰყვს.

ბურკომისტრი (ყვირილით). შეჩერდიო, ბარონი! (ყველას). ბატონებო! მისმა აღმატებულებამ ბრალდებული ბარონად სცნო (მოსამართლეს დებეშას აძლევს) წაყოხითი (მიუნკაუ-წინეს) კარლ, ნება მომეცით გულში ჩავყოხაო (ჩაებევა).

მოსამართლე (ითხვობს). მართლაც... „გობრძანებთ სცნოთ მიუნკაუ-წინე“... მართლაც, ჩვენ როგორ ვერ ვიცავით?

ბურკომისტრი (მუნდრის აწოდებს). ჩაიციოთ, კარლ, ჭვეწოთ ეტლი გაციოთ. ქალკი აღტროყანებოთ შეხდებოთ თავის გმირს (პარეს ჩამომოხმბს).

ბარონესა (თოქის ახლა დანახა პირველად). ის არის! კარლ, გიცანი! (შეიღს.) რას გაშტერებულხარ, თეო! ვერ იყანი, მამაშენია!

თეო (ყვირილით). მამა! (მულბებზე ვარდება.) გიცანიო, აღტროყანებულო ვარ თქვენიო!

ბურგომისტრი (წამოაყენებს). თეო, პატროსანი უმჯავლო ხართ. სიუვარულიც და სიძულელიც გულწრფელი იცით, მართალია, მაგრამ ასე ხშირად ნუ იცვლით დამოკიდებულებას.

პასტორი (ზეცისკენ). ღმერთო, ეს რა სასწაული მოიპოქმედე! რამეკოპეი. ღმერთო ჩემო, რამ დამაბრმავა? გილოცავთ, ბარონო!

მიუნჰაუზენი, რას? რამეკოპეი, მთვარიდან მშვიდობით დაბრუნებას. მიუნჰაუზენი, მე მთვარეზე არ ვყოფილვარ. რამეკოპეი, როგორ თუ არა? აი დადგენილება, რომ იყავით და დაბრუნდით, ხვალ ამ ცნობას უკვლა გაზეთი გამოაქვეყნებს. მოწმენიც აქ ვართ. ხომ მართალია? ბურგომისტრი, რაკი არსებობს დადგენილება, ესე იგი, მართალია!

მართა, ტკულია. ბარონესა, ღმერთო ჩემო, რა პრიმიტივია! არა, ქალბატონო, ვერ მოგარტვის, ახლა აღარ დაგიომობთ! თუ თქვენ საამისო კუკუა არ გყოფნით, ტენი მაიც გაანძირეთ. ჩემმა ქმარმა იფრინა! იფრინა!

მოსამართლე, მშვიდად, ბატონებო, საქმეს ნუ ართულებთ. (ფელდფებელს) გაისროლეთ! ფელდფებელი ისერის.

რამეკოპეი, ესეც ასე, ბატონებო! გაუმარჯოს მიუნაუზენს! ყველა, გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!

მიუნჰაუზენი (ყვირის). შესწევით! როგორ მომაბეჭდოთ თავი... გაიგეთ, მიუნაუზენმა იმით კი არ გაითქვა სახელი, იფრინა თუ არა მთვარეზე, არამედ იმით, რომ სიცრუე არ უთქვამს არასდროს. მე მთვარეზე არ ვყოფილვარ. რაკი გაფრენის საშუალება არ მომცეთ, ფეხით წავალ. ფეხით გაუყვები მთვარის ბილიკს. ეს უფრო რთულია, ანაის მთელი სიცოცხლე დასჭირდება... მართა, მზად ხარ?

მართა, მზად ვარ, კარლი! მიუნჰაუზენი, წავედით. (ხელს მოჰკიდებს.) შენ კი თომას, სახლში წადი და ვაზში გაამზადე. ჩენი მოსვლისთვის ექვსი საათი იყოს.

თომასი, დილის ექვსი თუ საღამოსი? მიუნჰაუზენი, საღამოს ექვსი საათი, თომას. თომასი, მესმის, ბატონო ბარონო!

მიუნჰაუზენი (მობრუნდება). მივხვდი, ბატონები, რაშია თქვენი უბედურება. ძალიან სერიოზულები ხართ. სერიოზული სახე კუკუს როდი ნიშნავს! ყოველგვარი სახულელე დეამონაზე სწორედ ასეთი სერიოზული სახით კეთდება. გაიღიეთ, ბატონებო, გაიღიეთ! (მართასთან ერთად მალა მიუყვება მთვარის ბილიკს.)

დასასრული.

თარგმნა ლია ლლონბა

# კოტე მესხის ქანდაკება იაკობ ნიკოლაის სახელოსნოში

ზაზა შავიანიძე

ი ნიკოლაძე.

კოტე მესხის პორტრეტი




ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოტო ფონდში დაცულია ცნობილი ფოტოგრაფის დ. ერმაკოვის ფოტონეგატივების დიდი კოლექცია. ნეგატივების უმრავლესობა ასახავს რევოლუციამდელი საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებს, აგრეთვე ისტორიულ და არქიტექტურულ ძეგლებს, ქალაქებს, სოფლებს, სხვადასხვა ტიპებს...

ამ კოლექციაში აღმოჩნდა საქართველოს სახალხო მხატვრის, მოქანდაკე იაკობ ივანეს ძე ნიკოლაძის და მის ნამუშევართა ათი ფოტონეგატივი, ზომით 24X30 სმ., რომლებიც დაახლოებით 1908-1912 წლებს მიეკუთვნება; მათ შორის ი. ნიკოლაძის ახალგაზრდობის უცნობი პორტრეტი. როგორც ჩანს, იგი გადაღებულია 1908 წელს თბილისში. მეტად საინტერესოა სურათი, რომელზედაც აღბეჭდილია ი. ნიკოლაძის ატელიეს შიდა ხედი. მოქანდაკე ზის შუა ოთახში, უკან, კედლის ნიშებში მოწყობილ თაროებზე განლაგებულია მისი მრავალი ნამუშევარი. სურათზე თითქმის მთელი ინტერიერი

ჩანს და სრულ წარმოდგენას გვიქმნის ი. ნიკოლაძის პირველი სახელოსნოს შესახებ, რომელიც მან დავით სარაჯივილის დახმარებით მიიღო და ახლანდელი სასტუმრო, „საქართველოს“ ადგილას მდებარეობდა. ამ სახელოსნოში მოქანდაკემ 1911 წლიდან 1924 წლამდე იმუშავა. უფრო საინტერესოა ის, რომ პირველ ადგიარზე მდგარი მამაკაცის ბიუსტი აღმოჩნდა ცნობილი წაახიზინსა და რეჟისორის კოტე მესხის ბიუსტი, რომელიც ამჟამად დაკარგულად ითვლება და მისი ფოტოსურათიც აქამდე არ არსებობდა. ბიუსტი, როგორც ჩანს, შესრულებულია ნატურიდან.

ჩვენს ხელთ არის აგრეთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვქიმ სამსონ თოფურის თაბაშირისაგან ჩამოსხმული ბიუსტის ვრმაკოვისეული დედანი ნეგატივი, გადაღებული თბილისში, რაც ცხადყოფს, რომ პორტრეტი გამორეწილია საქართველოში და არა პარიზში, როგორც აქამდე ფიქრობდნენ.

იაკობ ნიკოლაძე თავის სახელოსნოში







● წიგნის თაროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა შეემატა ალბომის

— „საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმის საგანძურის“ სახით (რედაქტორი თამაზ სანიკიძე), რომელიც გამოცემლობა „ხელოვნებაში“ გამოსცა (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე).

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის ერთ-ერთი უძვირფასესი ნაწილია ლითონზე პლასტიკის ნიმუშები, რომლებიც მოწმობენ უძველეს ოსტატთა მაღალ ხელოვნებას, დაწვებული წინაქრისტიანული ხანიდან XIX საუკუნის მაწურულამდე გამოკვლევის ავ-

ტორი გურამ აბრამიშვილი მოგვიხსრობს ქართულ ლითონზე პლასტიკის წარმოშობა-განვითარებასა და მხატვრულ ამოცანებზე, რომლებიც ისტორიული პერიოდების მანძილზე იცვლებოდა.

ალბომში მოთავსებული 69 ფერადი ილუსტრაცია (სლაიდები დამსადებულთა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძველთა ფიქსაციის ექსპერიმენტალური ლაბორატორიის მიერ) მკითხველს აცნობს ნიმუშებს მუზეუმის განძეულიდან.



● გამომცემლობა „ხელოვნებაში“ რუსულ ენაზე გამოსცა კრებული „სანდრო ახმეტელი“. გამოცემა

მიეძვნა დიდი რეცისორის დაბადების 90 წლისთავს. წიგნის შემდგენელია ნინო შვანგირაძე, რედაქტორი — ნოდარ გურაბანიძე. წიგნი წინ უძღვის ნინო შვანგირაძის შესავალი წერილი. წიგნი დაყოფილია განყოფილებებად. პირველ განყოფილებაში „სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან“ შესულია მისი წერილები, მეორე განყოფილებას ჰქვია „სანდრო ახმეტელის შემოქმე-

დების გამოკვლევა“, მესამე განყოფილებაში გაერთიანებულია „მოგონებები სანდრო ახმეტელზე“ და წერილები მისდამი, მეოთხე განყოფილებაში კი რეცენზიები სანდრო ახმეტელის მიერ დადგმულ სექტაკლებზე, კულტურის და ხელოვნების მოღვაწეთა გამოხატვაში.

გამომცემლობის რედაქტორია არჩილ იაქაშვილი, მხატვარი — ოთარ ჭიშკარიანი.



● თამაზ სანიკიძის „იაკობ ნიკოლაძე“ გამოჩენილი ქართველი მოქანდაკისადმი მიძღვნილი ერთ-

ერთი საყურადღებო გამოცემა, რომელიც მისი დაბადების 100 წლისთავისთვის გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებაში“ (ქართულ და რუსულ ენებზე). შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომში ავტორი მკითხველს აცნობს შესანიშნავი ხელოვნების მიერ განვლილ ვრცელ გზას, მის შემოქმედებით მრწამსსა და იმ ძვირფას მხატვრულ მემკვიდრეობას, პლასტიკის დილომატაში რომ დაუტოვა ქართველ ერს.

მაგარამ იაკობ ნიკოლაძემ არა მხოლოდ თავისი ქმნილებებით დაუდო სათავე ქართული ქანდაკების აღორძინებას, არამედ შედარებითი მოღვაწეობითაც. მის მოწვევით თაობები ერთგულად დგანან მასწავლებლის მიერ გაკვდილ გზაზე და თვალსაჩინო შემოქმედებითი მონაპოვრებით ამდიდრებენ ქართულ ქანდაკებას. წიგნი ილუსტრირებულია იაკობ ნიკოლაძის თვალსაჩინო ნაწარმოებების რეპროდუქციებით.



● **გამომცემლობა „ნაკადულო“** გამოსცა თეიმურაზ ბერიძის საინტერესო ნაშრომი „... და აღმოცენდა თბილისი“. როგორც ავტორი ანოტაციაში აღნიშნავს, „ეს წიგნი იმიტომ დაიწერა, მითხველს აჩვენოს, რა იყო და როგორ იზრდებოდა ქალაქი თბილისი, რატომ ჰქვია თბილისის ამ

თუ იმ უზანს, ან ქუჩას ესა თუ ის სახელი, როგორ ცხოვრობდნენ, რას საქმიანობდნენ ძველი თბილისელები, როგორ აშენებდნენ და ამშვენებდნენ თავიანთ დედაქალაქს“.

გამოცემის რედაქტორია მ. სოსამე, მხატვარი ვ. ორბელიანი, მხატვრული რედაქტორი გ. ლლონი.



● **ოთარ ჯიშყარიანი** — წიგნის გრაფიკის, პლაკატის ოსტატი. შრავალი წელია იგი ნაყოფიერად

მოღვაწეობს გრაფიკის ამ სფეროებში და ბევრი თვალსაჩინო ნამუშევარი შესძინა ქართულ მხატვრობას. მცირე ფორმატის ალბომი ფერადი ილუსტრაციებით, რომელიც გამოცემულია „ხელოვნებაში“ გამოსცა, მხოლოდ მცირე ნაწილს შეიცავს მხატვრის ნაწარმოებებიდან. მაგრამ კარგად შერჩეული ნიმუშები მკითხველს ნათლად წარმოუდგენს ამ საინტერესო შემოქმედს. აქ არ შეიძლება არ

აღვნიშოთ ო. ჭიშყარიანის გრაფიკული ხელოვნების შესაბამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი სფეროს — მისი დაწვრილი გრაფიკის შესახებ, რომელიც ალბომში წარმოდგენილია სეზონური თანრის მეტად ემოციური, პოეტური, ფერადი და კომპოზიციური გამომსახველი ნამუშევრებით.

ალბომს წამძვარებული აქვს ო. ურუშაძის წერილი ო. ჭიშყარიანის შემოქმედების შესახებ.



● **მკითხველმა** მიიღო კინომახალტების კრებული „კინო“ მორიგი ნომერი.

კრებულის მოწინავე წერილში საუბარია ქართველ კინემატოგრაფისტთა ამოცანებზე სკკ ცენტრალური კომიტეტის საღიარებ-

ტივო დადგენილებების შესახებ.

რუბრიკით „ქართული კინო-1976“, დაბეჭდილია გ. ბარამიძის, დ. თოფურიას და ნ. ნატროშვილის წერილები, რომლებშიც განხილულია 1976 წელს შექმნილი მხატვრული, სატელევიზიო, ნახატი, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები.

კრებულში მოთავსებულია ოპერატორ გიორგი ბელიძის შემოქმედებითი პორტრეტი, რომლის ავტორია ბ. გაგნიძე.

ქართული კინემატოგრაფის ჩასახვისა და განვითარების გზებზე, მის ტრადიციებსა და ტენდენციებზე მოუთხრობს მკითხველს ქ. წერეთლის წერილი „ქართული კინოს საოვაე“.

რუბრიკით „მოსაკონარი“ გამოქვეყნებულია ლ. კიკიალაშვილის, ო. თვალავაძისა და პ. იაკაშვილის მასალები, რომლებიც ქართული კინოს თვალსაჩინო მოღვაწეებს ს. ბაღაშვილის, მ. გულუაჩისა და კ. გუგუძის სსოვანს ეძღვნება.

კრებული მკითხველს სთავაზობს ვ. შოსტაკოვის წერილს „ამერიკის დემოკრატიული კინემატოგრაფი, განვითარების გზები და პერსპექტივები“.

ფილმოგრაფიის განყოფილებაში შესულია 1976 წელს შექმნილი ფილმების მონაცემები და ანოტაციები.

დაბეჭდილია ა. ჭულელის, რ. კვეციელავასა და ა. რიხვაიაშვილის ახალი სტენაგრაფიული „ქომავი“.



# ქ რ ო ნ ი კ ა

● აბს ნონაჲ კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში გამართული კონცერტების ცილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის, საქართველოს ფილარმონიამ და რადიოტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთვის მიუძღვნეს დიდი კონცერტებზე წარმოდგენილი იყო ქართველ საბჭოთა კომპოზიტორთა როგორც ძველი, ისე ახალი თაობის შემოქმედების ნიმუშები.

პირველი კონცერტი მილიანად სიმფონიურ მუსიკას დაეთმო. პირველ განყოფილებაში ადურდა ანდრია ზალანდიასი პირველი სიმფონია; (დირიჟორი ჟ. გუციელი).

მეორე განყოფილებაში შესრულდა ა. მაკავარიანის სავიოლინო კონცერტი. (სოლისტი ნ. იაშვილი), ო. თედორაძის „სახეიშო უფერტურა“.

მეორე კონცერტი კამერული წარმოდგენებისაგან შედგებოდა და გამოარჩეოდა მრავალფეროვნებით. მასში ბევრმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა მიიღო მონაწილეობა.

კონცერტი გახსნა თბილისის საოპერო თეატრის სოლისტმა ნ. ნადიბაიძემ, რომელმაც შესრულა ა.

ბახუციავის ახალი სიმღერები ლენინზე, ახალ კონსტიტუციასა და ომში დაღუპულ გმირებზე, სოლისტს პარტნიორობა გაუწია კონცერტმეისტერმა მ. ჭურთოშვილმა.

აუხავთი წარმომადგენელმა დ. ჩიბელიანომ შეასრულა თავისივე საფორტეპიანო სონატა, რომელშიც გამოყენებული იყო ადამტური სასიმღერო ფორტეპიანო. შესრულდა ასევე ახალგაზრდა კომპოზიტორის ე. ლინდარიძის ნ. საფორტეპიანო პიესა დ. მუსიაშვილის შესრულებით.

რესპუბლიკის დამახურებელმა არტისტმა თ. ზაალიშვილმა იმღერა გ. ციციშვილის რამანსი „ქალაქი“. შესრულდა რ. კემულარიას სონატა კლარინეტისა და ფორტეპიანოსათვის. სოლისტები რ. ჩიბლაძე და ნ. კვიციანი.

კომპოზიტორი მ. მილორავე კონცერტზე ორი ახალი სიმღერით წარსდგა, ორივემ, სულ ახლახან, კომპოზიტორთა კავშირის მიერ გამართულ კონკურსში, რომელიც „მეოთხე თელედის შრომას“ გმირებს“ მიეძღვნა, პრემიები დაიმსახურა. კარგად უნერდა ანთრეპკუასის მუსიკის შემსრულებელთა კონკურსის დასრულების, თბილისის საოპერო თეატრის

სოლისტის ტ. ჭიქინაძის შესრულებით „ახალადა შრომაზე“, მოსწველ გუგონებში მ. ჭორაძემ და ს. ბერაძემ შესრულეს სიმღერები „თბილისის დალა“ და „ამოღული მარგალიტი“.

ფილარმონიის სოლისტებმა ლ. მელიქიანმა და ნ. ფანაშვილმა შესრულეს რ. ქარუნაშვილის სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. ზ. ლავიქიძე და დ. ჩიბაძემ კი რ. კემულარიას პიესები უფორტეპიანო და ფორტეპიანოსათვის. ნ. ციციშვილის სავიოლინო სონატა შესრულა რუსუბელიკის დამასრულებელმა არტისტმა ე. ისაკაძემ.

ბოლო, მესამე კონცერტზე მონაწილეობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სიმფონიური ორკესტრა რესპ. სახალხო არტისტის ლ. კოსლიანის დირიჟორობითა. სოლისტი — ე. ისაკაძე.

დირიჟორმა და ორკესტრმა შესრულეს ა. მაკავარიანის „სახეიშო უფერტურა“, შ. მშველიანის სიმფონიური სურათი „მშის ამოსვლა“, ზ. ხაბაღვაძის „ნოქტურნი“, რ. ვაზიანის უფერტურა, ა. შავერაშვილის უფერტურა „საბჭოთა საქართველო“, თ. თაქაიშვილის „ანდრე“, ზ. კვიციანის „ცეკვა-ფანტაზია“.

ე. ისაკაძემ შესრულა ვ. ახარაშვილის სავიოლინო კონცერტი.

ბ. ჩუბუკიძე.

● ბსლხან ჩეხოსლოვაკიის ქალკ ბრატისლავაში ჩეხოსლოვაკიის რადიოს სიმფონიური ორკესტრისა და სლოვაკიის ფილარმონიის გუნდის თანხლებით გაიმართა ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორის და დირიჟორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქაიშვილის საავტორო კონცერტი.

საიონცერტო პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს მომღერლებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ და საქართველოს სსრ დამასრულებელმა არტისტმა თ. ქუბიანიშვილმა, პიანისტმა მ. შიდევიანმა, ვიოლანჩლისტმა ე. ისაკაძემ და ქართულმა ანსამბლმა „გორდღამა“.

კონცერტს დატარებენ სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სლოვაკიის სოციალური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, სლოვაკიის მუსიკალური ზელოვნების ფედერაციის ხელმძღვანელები და ბრატისლაველი მუსიკის მოყვარულები.

სლოვაკიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა ო. თაქაიშვილის და მისი ქართველი კოლეგების სახეობრივებულ ოსტატობას, გაზეთ „გლას ლუდს“ აზრით, საღამო ხელს უწყობდა ჩეხოსლოვაკიელი მხეწველებისათვის მიღდარი საბჭოთა მუსიკალური ზელოვნების უფრო გაცნობას და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას.

● 21 ნოემბრის კინოს სახლის მცირე დარბაზში ჩატარდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის მოიჯიბო პლენუმი, რომელიც მიეძღვნა ქართული კინოკრიტიკის საკითხებს. მოსენებთა „ქართული კინოკრიტიკისა და კინომოდერნიზმის ამოცანები“ გამოვიდა კავშირის

კრიტიკის სექციის თავმჯდომარე კინომოდერნიზმის თაბუკაშვილი.

მოსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კინოგადაცემათა განყოფილების გა-

მგემ ნ. ციციშვილმა, გამომცემლობა „ხელოვნების“ რედატორმა ს. ხეტერეშვილმა, გაზეთ „მოლოდინო გრუზიის“ პრეპარანდის განყოფილების გამგემ ი. მუხრანელმა, კინორეჟისორებმა ი. იოსელიანმა, ი. კვიციანამ, გ. ფანაიამ, რ. ესაქემ, კინომოდერნიზმის თაბუკაშვილმა, მწერალმა ზ. აბი-

● **ზანტაშ დედალი**  
 მშრომლები დიდი ინტერესით გაეინტერესნენ ანას წინათ ფერკონსტანტინოვსკის კარხინის კლუბში გამართულ გამოფენას, რომელზეც იმერეთის ამ ერთ-ერთი დამაჩინო კუთხის მკვიდრ მხატვართა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. გამოფენა, რომელიც მოეწყო საქართველოს სსრ მხატვართა კავშირისა და ზესტაფონელ მხატვართა თაოსნობით, მწიწკნელოვან მოვლენად იქცა ქალაქის ცხოვრებაში, ეს ფაქტი აქაურ მშრომლებს გულითადად მიულოცა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა.

საქართველოს მრავალფეროვანი პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები მოგვითხრობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაზე, მის მდიდარ ბუნებასა და მშრომელ ადამიანებზე, უურადღება მიიყვრო ხის, ლითონის, მინის მხატვრულმა ნაწარმოებებმა..

ნაცნობი, მომხიბლავი პეიზაჟები ვადაიშა მკაყურებულთა თვალწინ ი. მამალაძის ტილოებზე, ხალხური ოსტატის მართალი და დასამახსოვრებელი სახე შექმნა ნ. შველიძემ სუ-

რათში „მოხუცი ქოთნით“. ახალგაზრდა მხატვარმა ო. ჩუბინიძემ ჩვენი თანამედროვეების, მშრომელი ადამიანების ცოცხალი სახეები დაბატა ფერწერულ ტილოში „შემოდგომა“, ქართული სურნელება ახლებელ მ. კიკნაძეობის კარლოვსკა „შატილი“, „გელაში“, „მცხეთა... მწაბველთა მესხიერებაში აღიბეჭდა შ. ცხადაძის, ა. ბანაძეობის, თ. გოცაძის, ზ. წერეთლის, ი. ქობინის, ე. კოპაძის, ნ. დამბაშის, ვ. კელდერის, ნ. ებანიძის, ჟ. რუხაძის და სხვათა საინტერესო ნამუშევრები.

რადიონი მშრომლებთან შეხვედრას საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ნ. ჯანდრიძემ აღნიშნა, რომ განზრახულია ზესტაფონელ შეიქმნას სურათების გალერეა და ექსპონატები, რომლებიც ქარხანაში იყო გამოფენილი, ამ გალერეის საკუთრებად იქცევა. ეს დიდად სასიხარულო მოვლენა და კიდევ ერთი თვალსაჩინო ღონისძიება ხალხისა და ბელოვების დახლების საქმეში.

აზა შარბინიძე.  
 შორაპანი.

● **ამ რამდენიმე ხნის**  
 წინ ჩატარდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საპატრონო საბჭოს გაფართოებული სხდომა გაზთ „კომუნისტის“ რედაქციასთან ერთად.

მოსვენება თემაზე „თანამედროველი მონაწილე კინოში“ გააკეთა კინოკრიტიკოსმა გ. ბარაბიძემ. მოხსენების გარშემო გაპართული კამათი მონაწილეობა მიიღეს მწერალმა გ. გვერდუნიძემ, გაზთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნება განყოფილების გამგელ მ. კეკელიძემ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ლომოშვილმა, კინოკრიტიკებმა ი. სუქუბიძემ და ნ. მინერკიძემ, გაზთ „კომუნისტის“ წერილების განყოფილების გამგემ ნ. ბარაბაშვილმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. სალარიძემ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარმა რედაქტორმა გ. ვადალიძემ.

სხდომის მუშაობა შეაჯამა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა რ. ჩხეიძემ.

● **საპატი ხორბაშის სახელობის მხახიობის სახლ-**

ში მოეწყო ლიტერულ-თეატრალურ მხატვართა ესპოზების გამოფენა. ეს იყო რესპუბლიკის შემოქმედთა საბაზისი ვიზიტი. როგორც ესპოზილია, გასული წლის ზაფხულში ელინოშვილმა მარტოვლამ ქართველი თეატრალური მხატვართა გამოფენამ ფართო გამოახალი პაოა.

საინტერესოდ ჩაატარა ლიტერულ სტენოგრაფთა გამოცდის განხილვა, იგი-ლოცებისმცოდნეებმა — ნ. ელიზბარაშვილმა, ნ. გუბაშვილმა, მხატვრებმა — ქ. კეკელიძემ, გ. გუნიამ აღნიშნეს მალღო პროფესიონალურმა და მხატვრული კულტურის, გარკვეული დედამიწის მესაძებრიათაც გამოირჩევა მრავალი წარმოდგენილი ესპოზი. ითქვა იმის შესახებაც, რომ ამ ნამუშევრებს ზოგჯერ ძნელად წარმოადგენს სასცენო ხორცსუნებში, ენაიდან რიგი ესპოზებისა სტენოგრაფთადად ბოლომდე არ არის გააზრებული და დამოუკიდებელ ნაწარმოებებს ფუტო წარმოადგენს. გამოითქვა სურვილი, რომ შემდგომში ესპოზებთან ერთად მაკეტებიც იყოს წარმოდგენილი.

● **მუშაბ ტიპანაძის**  
 ნამუშევართა გამოფენამ, რომელიც კომპოზიტორის „რუსთაველის“ ფიციში მოეწყო, ქართული ფოტოხელოვნების შესანიშნავი ოსტატის შემოქმედ-

დებსათან ზაირების კიდევ ერთი სახიბრლო მოუტანა მისი ნიჭის თავდობისმცემელთ.

მწვენიერების უღიდვის გრძნობით დაჭოდობებული შემოქმედი მაღალი ხელო-

ვნების ფაქტად აქცევდა მისი კამერის ობიექტივი მხოვედროდ ყოველ საგანს თუ მოვლენას. გურამ თაიანაძის ფოტოქმნილებები, იქნება ეს დიდი შთაონებთი შემეხილი პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები თუ შთაონადამიანის ჭილილის ამხაველი ფოტოკადრები, რომელიდან უნაქსენელი თხუთმეტი წლის წინა შექმნილი, დღესაც საოცრად თანამედროვედ აღიქმება და აღფრთოვანებს მხახველს უხალხო ოსტატობით, პორტურობით, აზრის სიღრმით, სიწრფელითა და უშუალობით.

● **18 თებერვალს** კინოს სახლის მცირე დარბაზში ჩატარდა საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის კონტრენციცა, რომელზედაც განხილულ იქნა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტატურითანების 1977 წ. პროდუქცია.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა კინოცოლენი ჟ. წერეთელი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორმა დ. თოფურბამ, კინორეჟისორებმა ვ. ბახტაძემ და რ. აბესაძემ, მუსიკისმცოდნე ი. ბეგიშვიდამ და სხვ.





● **პარტიულმა** პაინსტი-მა სერგო ჯანგვალაძემ დიდი დავალი დასტოვა იაკობის საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებას. იგი დაიბადა 1909 წელს ქ. ელრავეტპოლში (ყოფილი განა, ამჟამად კირი-უვალი), მამით ადრე და-ობლდა და დედა თავისი შვილების საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. პატარა სერგო აქ შეიკვანეს სკო-ლაში, სადაც გაღმოდვი-ნედ სწავლობდა ყველა სა-განს, მაგრამ განსაკუთრე-ბულ ინტერესს მუსიკასად-ში იჩენდა. მაღლ იგი მო-სკოვის ჩაიკოვსკის ახე-ლობის კონსერვატორიას-თან არსებულ ფორტეპიან-ოს შემსწავლელ სამაჟიან კურსებზე შეიღეს. შეუღვეც სერგო კონსერვატორიაშივე აგრძელებს სწავლას ფორ-ტეპიანის განხრით პრო-ფესორ რობინოვიჩის კლას-ში.

ს. ჯანგვალაძემ თავისი შრომისმოყვარეობითა და მუსიკალური ნიჭით იმოკი-ვე შეიპყრა პროფესორ მანსაველებლების ყურადღე-ბა, მომავალ პაინსტზე დიდი იმედებს აჭარბებდნენ, მაგრამ ოქაფური პირობე-ბის გამო შესაძლ კურსის სტუდენტი კონსერვატორი-

იდან გამოვიდა და მძიმე შრომით საქმიანობას მოჰ-კვდა ხელი. პარალელურად მსკოვის ხან ერთ, ხან მეორე დრამატული თეატ-რის საორკესტრო გუნდში მუშაობს პაინსტი, მას ვხვდავთ აგრეთვე მოსკო-ვის კინოთეატრ „რეჟიტა-ციის“ და „ტაგანის“ საკო-ნცერტო ცენტრების სტე-ნებზე. აქ ქართველმა პაი-ნსტმა 9 წელი იტარა და თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა პაინსტმა. 1938 წლის ვახუშტაძე იაკუ-ტის რუსული დრამატული თეატრის რეჟისორ ნ. სლუტცკოვი ქართველ პაი-ნსტს მოსკოვში სავანგებო მოწვევას უგზავნის. ს. ჯან-გვალაძე გადადის იაკუბო-ში და მუშაობს იწყებს იაკუბტკის რუსულ დრამატ-ული თეატრში პაინსტი, ხოლო ქალაქის მუსიკალური სასწავლებელში მუსიკალურ-ი განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით სწარმოებს იაკუტილთ ახალგაზრდობის მუსიკალური (ბლზრა - განათლება და ეროვნული კადრების მომ-ზადება).

სამაშობლო ომის წლებში ს. ჯანგვალაძე მუშაობს ქ. იაკუტსკის პ. იოუნესკის სახელობის დრამატულ თეატრში. 1944 წელს იაკუტის დრამატულ თეატრის შეიქმნა მუსიკალური თეატრ-ისტულია, რომლის ბა-ზაზე ფართოდ გაიშალა ნი-ჭიერი იაკუტილთ ახალგა-ზრდების სახელეკო ხე-ლოვნებისათვის აღზრდა-მომზადება. სწორედ ამ სტადიის აღწერა მოხდა 1947 წელს ლენინმა იაკუ-ტის ეროვნული სახელე-ტო დახი. სახელეკო და-სისათვის ეროვნული კად-რების მომზადებამ და ბა-ლეტის ტრეპტურული სოლის-ტების ჩვენი ქვეყნის სხვა-

ტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ. ეთერის პირველი პრე-მია არც ერთი ნამუშევარი-

დახსცა ქალაქებიდან მოწვე-ვამ საშუალება მისცა იაკუტის მუსიკალურ-დრამატ-ულ თეატრს განეხილავი-ლებინა პირველი ეროვნუ-ლი ბალეტის „მინდვრის უკვანძო“ დადგმა, რომელ-მაც ხელოვნების მოყე-არულთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ამ წარმატებამ გაამწვინა და წაახალისა სა-ხელეკო დახი ისეთი ბალეტების დასადგმელად, როგორცაა „ბახჩისარის შადრევანი“, „ლაურენსია“, „ვიდის ტაბა“, „ალტანის სიხარული“ და სხვ., იაკუტის ხელოვნების გან-ვითარებაში თვალსაჩინო იყო ქართველი პაინსტის როლიც, ამიტომ იაკუტის ასსრ უმაღლესი საბჭოს პირიველი 1947 წელს ს. ჯანგვალაძეს საპატიო სიგელით აჯილდოებს.

1948 წლიდან ს. ჯანგვა-ლაძე სათავეში ჩაუდგა იაკუტსკის კინოთეატრ „ცენტრალის“ საორკესტ-რო კლდეტვის, რუსეთის სახელმწიფო შემადგენლო-ბაში იაკუტის ნებაყოფ-ლობით შესვლის 25 წლი-სათვან დაკავშირებით 1957 წ. მან სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი დაიმსაჭ-რა. ამავე წელს მას იაკუ-ტის დამსახურებულ არტისტის წოდება მიენიჭა.

1958 წლიდან ს. ჯანგვა-ლაძე გადადის ქ. იაკუტს-კის მუსიკალურ-დრამატულ თეატრში, სადაც მუშაობს იწყებს კონცერტმასტრად ს. ჯანგვალაძის მოღვა-წევობა დაკავშირებუ-ლია სახურე შემოქ-მედებისათ, იაკუტის სხელოვნების ისტორიულ ტრადიციებთან. თუ იაკუ-ტის ეროვნული ბალეტი „ჩურუმწიკუ“ თეატრის ტრეპტურული შემონახუ-ლია როგორც თვითმოყვა-

ლი ეროვნული ხელოვნე-ბის შედგენი, ამაში უდა-რდო იაკუტის წვლილი მიუ-ძღვის ქართველ პაინსტს.

ს. ჯანგვალაძე მუდამ და-უცხრამოსლა და მრავალ-მხრივ მოღვაწეობს ენეო-და, წლების განმავლობა-ში იაკუტსკის მუსიკალურ სასწავლებელში პედაგოგო-ბა. იგი განსაკუთრებულ გულსჩინებებსასა და მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა, მზარდი პაი-ნსტებისადმი. დღეს, ისე, როგორც წარსულში, სწო-რედ ს. ჯანგვალაძის სკო-ლის ქარამადგენლები გვევლინებიან იაკუტის თეატრის სამიედო ძალად. იაკუტის ასსრ უმაღ-ლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1962 წელს, ს. ჯანგვალაძეს კლავა აჯილდოებს საპატიო სიგელით და ანიჭებს იაკუ-ტის სახალხო არტისტი-მადლ წოდებს.

ს. ჯანგვალაძე კონცერტ-მასტრის დამატულ შემო-ქმედებით მუშაობას კარგად უთავსებს სახელმწიფო სალა-მობეჭდ. რისთვისაც 1968 წელს ტუვის ასსრ კულ-ტურის სამინისტრომ იგი საპატიო სიგელით დააჯი-ლდოვა.

1971 წლის მაისში ქ. მა-გადანის პარტიული კომი-ტეტი და საქალეო საბჭო ს. ჯანგვალაძის გამოსე-ლებს მაღალ შეფასებას აქ-ლეს და აჯილდოებს სა-პატიო სიგელით, რითაც უმაღლესი იოდვე საზვასით აღინიშნა ქართველი მუსი-კოსი დიდი დამსახურება ხელოვნოთის ხალხების წინაშე.

საბარტა რბენიშვილი

● **ბნლბან** დამთავრდა საკავშირო კონკურსი 1975-77 წლებში შექმნილი სა-უეთესო სექტაკლასიათ-ვის დევაიზით — „70-იანი წლების კორჩავენობები“. კონკურსი მოაწყო სრული-ად საკავშირო ალექ ცენ-

სათვის არ მიუცია. მეორე პრემია მიენიჭა ლენინ-არაღის მოზარდ მაყურებე-ლთა თეატრს. ერთი მეს-ამ პრემია მიიღო რუსთა-ველის სახელობის სახელ-მწიფო აკადემიური თეა-

ტრის სექტაკლამ „თავი-სუფალი თემა“. (პეტის ავტორი — ა. ჩხაიძე), რე-ჟისორი — რ. ჩხაიძე), რო-მელიც ძირითადად თეატ-რის შემოქმედებითი ახალ-გაზრდობის ნამუშევარია.

● აბს ნენდტი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში ნოაჩო მხატვრული კოლექტის საღამო ფაქტორად ეს გახლათ ერთი აქტიორის თეატრი.

მსახიობი თათია ხაინდრავა მაყურებელთა წინაშე წარსდგა უაღრესად მდიდარი და საინტერესო შემოქმედებით. ორმოცი წუთის განმავლობაში აუდიტორია სულგანახული იმპრეზო ნაწყვეტებს ილია ქაჭავაძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და ვაჟაფშაველას უკუდავი ნაწარმოებებიდან.

მსახიობმა ჩვენს თვალწინ გააცოცხლა უკვე მოტებითი და გაუბედურებული ოთარაძის კვრები, შველის ხატი რომ ეზმანა და ზამთრის დამეშინასსაფლავსაქენ მიმავალ გზას გაჰყვა.

ცაღაზილე, სადა, ნაცარიფერ ტაძარში მამის ხსოვნა და სიყვარულს შემწირული კოლონელიშის ასული შორენა მოთქვამს...

მსახიობმა, როგორც ნაღვლიანი, უღამაჰესო მელოდია, ისე გადასდო მსუენელს თამარ შარვაშიძის ტრაგიკული სიყვა-

რული, ჭერ კიდევ ბავშვობაში რომ ჩაისახა და მისიუსტი დარტყვა სახედა... „იპე“ და „ქუშუ“ რომ პევებოლა, ქართული ორნამენტით დამშვენებულ ხის სკაზე იქნა თათია ხაინდრავა, მაგრამ ისეთი გრძნობა გუფულებოდათ, თითქოს მიწაზე ჩართული ადამიანი ყურს უფლებდა ლურჯი იეგის ჩურჩულს. საღამოს რეჟერნივით გასდევდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მზეო თიბათისა“.

თათია ხაინდრავას შემოქმედებითი საღამო ქართული პოეზიის დღესასწაულად იქცა. სცენაზე ერთმანეთს სცლიდნენ ხელოვნების მუშაკები, პოეტები, მსახიობები.

მისასალმებელი სიტყვებითა და მოგონებით გამოვიდნენ ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგე გ. იაკაშვილი, მსახიობები თ. ელვაქიძე, გ. ტატაშვილი, საღამოზე მოვიყვანი თათია ხაინდრავა, ოკახიყული ტრადიციები. დედის ძალიან პეყვარბოა მსახერული კითხვა, ზოლო ბებია ელისხავედ თოფურაძემ მთლიანად ზეპირად იცოდა თურქი „ვეფხისტყაოსანი“.

საუთარი ლექსები წაითხეს პოეტებმა ი. ნი-



ნეშვილმა და ი. ორგონიკიძემ.

მსახიობებმა ტ. საყვარელიძემ, ი. უჩანინიშვილმა, ქ. მინაიავამ წაითხეს ქართველი პოეტების ლალო ასათიანის, ვალაკტონ ტაბიძის, გიორგი ლენინძის, ირაკლი აბაშიძის, ანა კლანდაძის ლექსები.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა თ. ხაინდრავა, რომელმაც დიდი მადლიერებას გრძნობით მოხსენიება საღამოს სულის მამაგმელი, რეჟისორი რობერტ ტურუა. მსახიობმა აღნიშნა, რომ მისი შემოქმედების ორი ათეული წელი თითქოს სწორედ ამ რეჟისორის ელოდა, რომ ამ ხანით წარმგვარყო ქართველი მაყურებლის და მსწერელის წინაშე.

თ. ხაინდრავამ დიდი მადლობა გადაუხადა კომპო-

ზიტორ ვიაჟნელსა და მხატვარ მიროან მშველიძეს, რომელმაც გაამშვენიერეს და სრულყოფილი გახადეს საღამო.

მსახიობმა თ. ხაინდრავამ ორიოდ სიტყვით ილაპარაკა მის შემოქმედებით ეგზეგეზზე და ქართული პოეზიის მოყვარულთა დაპირდა, რომ უახლოვდებიან მათ მაყურებელთა წინაშე წარდგება „ვეფხისტყაოსანს“ საღამოთი. ამავე დროს მუშაობს ნ. წულუბსკის „სისატურაზე“, რ. ინანიშვილის, მ. ლებანიძის, მ. მაქუჩაიანის, თ. ჩხენკელისა და სხვათა შემოქმედებებზე. თ. ხაინდრავამ დიდი მადლობა გადაუხადა აგრეთვე დამწერ საზოგადოებას, რომელმაც ასე გულთბოლად მიიღო მისი შემოქმედება.

● ნინოშიძე ქართველი კინოლოგმენტალისტის გია ჭუბაბრიას შემოქმედება იმთავითვე აღიარა მაყურებელმა და კინემატოგრაფიულმა საქარობს.

გია ჭუბაბრიას მოკლემეტრაჟიანი ფილმები — მასხალია და ფორმით ღრმად ეროვნულ ნამუშევრებში, რომლებიც მოგვითხრობენ თუშ მეცხვარეთა რთულ და ხიფათით აღსავსე საქმიანობაზე („თოთრი თორღვაი“.

(1949), მაღალმთიანი სვანეთის წარმტაც ბუნებაზე და მის მკვიდრთა ყოფასა

და ზენე-ჩვეულებებზე („უშგელი“, 1970), ძველი ქართული საგალობლების შემგებელი ბავშვთა გუნდის („ჩუქურთმა“, 1971) თუ ნადირობის უძველეს რიტუალზე („თოთრი ზღაპარი“, 1972), ხელოვანი ესწრაფვის ადამიანში უწვად ჩაქსოვილი პოეტური საწყისის გამოვლენას. რეჟისორის ეს ღრმა და საოცრად პოეტური ნამუშევრები ყურადღებას იქცევენ მაღალი გამოსახველობითი კულტურით, დახვეწილი ემულაციებითა და პროფესიული ოსტატობით.

საინტერესო და ტველ ინოვაციას შეიცავს იპონიაში მოგზაურობის დროს შექმნილი ფილმი „იპონიური ჩანახატი“ (1975). მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობილი დამატკრის რ. თაბუკაშვილის სცენარით შექმნილმა დოკუმენტურმა ფილმმა „რეპორტაჟი ნიდერლანდებთან“ (1976) — ტექსტის ტრადიციის თავისებურება მოგონებას.

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს ტელევიზიის ეკრანებზე შედგა გ. ჭუბაბრიას ახალი ნამუშევრის

პრემიერა. ორნაწილიანი ფერადი დოკუმენტური ფილმი „ცეცხლში წართობილი“ (სცენარის ავტორი ი. ლებანიძე, რეჟისორი გ. ჭუბაბრია) რუსთაველი მეფობადღეობს საქმიანობაზე მკვიდრობს. სახვითი და ხმოვანი მასალის ნატიფი მხატვრული ორგანიზებით რეჟისორის შექმნა პოეტური ფილმი-სიმფონია შრომაზე, საქმის დიდ სიყვარულსა და ერთგულებასზე.

მზის ბეღიპეშილი.

● ბარლამინაპლა ცნობილი ვიოლონჩელიატი, ე. სარაჩიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ხელოვნების დამახურებელი მოღვაწე გიორგი თაქთაიშვილი, რომელიც ათეული წლების მანძილზე სამხატვრო გრაფიკულუბითა და გაბაკებიზმსახურებდა ქართულ კულტურას, თავადღება იღვწოდა ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებასთვის.

გიორგი თაქთაიშვილი დაიბადა 1902 წელს ცნობილი პედაგოგის მიხეილ თაქთაიშვილის ოჯახში. 1919-20 წლებში იგი უკრაინის თბილისის კავკასიის თან არსებულ ტრიოში, რომელსაც დირიჟორ აბაიშვილი ხელმძღვანელებდა. 1926 წ. კი დიდი წარმატებით ამოაგარბა თბილისის სახელმწიფო კონ-

სერვატორიას ცნობილი ვიოლონჩელიატი, პროფესორ ე. ა. მინარაბლორუჩევის ხელმძღვანელობით.

გ. თაქთაიშვილი ეწეოდა უარესად ინტენსიურ სამუშაოებს მოღვაწეობას, როგორც სოლისტი. მას დაურჩავს სიმფონიური ორკესტრის ორბანებით ისეთ გამორჩენილ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ზაქარია და ვაწენ ფალიაშვილები, ნ. ჩერკენი, მ. იპოლიტოვიანი, ე. შიქელაძე და სხვები. ასევე მნიშვნელოვან მოღვაწეობას ეწეოდა იგი როგორც ანსამბლისტი. წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა მხავალი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი კოლექტივების ორგანიზაციაში. ნაყოფირ სამუშაოებს და სხვადასხვაგვარ ორგანიზაციულ მოღვაწეობას გ. თა-

ქთაიშვილი მუთაუბნა პედაგოგიურ შემოაბასაც 1932-33 წლებში იგი თბილისის კონსერვატორიის პროფესორია. 1919 წ. მიიწვი პროფესორის წოდება, 1951-52 წლებში ხელმძღვანელობდა კაპელის მანსაბლის კაპელარა, რომელსაც სიციხის ბოლომდე ემსახურებოდა.

გ. თაქთაიშვილი ეწეოდა მნიშვნელოვან სამეცნიერო-კულევით მოღვაწეობასაც. აღსანიშნავია მისი მონოგრაფია „ევაგენი მიქელაძე“, ორტიმული „ვიოლონჩელიზმ დაქარის სკოლა“ სავალიმწიფო კიუსების სერული ფორტპიანოს თანხლებით და წრავალი სხვა. მასვე ეკუთვნის ლიტერატურა, რომელიც საფუძველზე კომპოზიტორმა შ. თაქთაიშვილმა დაწერა ოპერა „დემეტრტი“ და ბალეტი „მალთაქვა“.



გ. თაქთაიშვილმა დიდი დავალი დასლო ეროვნული ინსტიტუტის მუსიკალის განვითარებასა და პრაქტიკაში. ქართული მუსიკალური საზოგადოებრიობა დღეხანს არ დაივიწყებს მის სხვადას.

● მსმფომის საზოგადოებრიობა გულისტკივლით გამოთხოვა ჩვენი ეპოქის უდიდეს კინოხელოვანს ჩარლზ სპენსერ ჩაპლინს—შემოქმედს, რომელიც თითქმის შვიდი ათეული წელი იპყრობდა მსოფლიოს კინოტარანებს და მაჟიურ შემოქმედებას ახდენდა მილიონებზე.

ჩვენი დროის არცერთი შემოქმედი არ სარგებლობ-

და ასეთი ეროსულვანი, ფართო პოპულარობითა და ლეგენდარული აღიარებით. არა მარტო ჩაპლინის ხელოვნება, არამედ მისი ბიოგრაფიის ყველა დეტალი, ყოფის ყოველი წერილობრივი იპყრობდა თანამედროვეთა ყურადღების.

ჩაპლინის ხელოვნებას მიეძღვნა უამრავი მონოგრაფია. გამოკვლევა, ესეი, დაიწერა ურიცხვი რეცენზია მის ფილმებზე. მისი სახელი მწვავე კამათის ატმოსფეროში მოექცა. კინომკვლერიმთი ლიტერატურაში დამკვიდრდა „ჩაპლინის ფენომენი“ სწენება, რომელიც მისი ხელოვნების, თვით ჩაპლინის პიროვნების არსს განსაზღვრავდა.

შვიდი ათეული წლის წინ მოექცინა ევრაზიის ქვაბულში, საბჭოეთი წიხით, უსომოდ დიდი ფეხსტელებით შორ გზაზე იხვისებური ბაჭაჩით მართო მიმავალი პატარა კაცი — „მაჟანალა და ქენტლმენი, მუდამ სიყვარულსა და რომანტიკულ თავგადასავალზე მეოცნებე“

ჩარლი, რომელმაც თავისი შემქმნელის დიდი ტალანტისა და მაღალი ხელოვნების წყალობით კომედია დელ არტის ნიღბების მსგავსად, მოაპოვა დამოუკიდებელი არსებობა და შექმნა მთელი ეპოქა კინემატოგრაფიის ისტორიაში. თემა უღმობილო და უსამართლო ცხოვრებით დატვირთული პატარა ადამიანისა, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაშიც კი არ გასვას თავისი სულის სასუქთაფო საწუსებს და, რაც მთავარია, ადამიანობას, იქცა ჩაპლინის ღრმად შემართო შემოქმედების მთავარ თემად. ჩაპლინის იარაღი სიცილი, მაგრამ ეს სიცილი, უპირატესო ყოვლისა, ადამიანისადმი დიდი სიყვარულისა და თანალობის ცრემლითაა გამოტარი. ამიტომაც შეიძვარა იგი ხალხმა, ასეთ ხელოვნებას კი დიდი ხნის სიცოცხლე უტერია.


● სპარტიმელოს სურათების გალერეაში გაიმართა მხატვარ თეო გო-

ცადის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, რომელიც საქართველოს ალექსი ყარალობას მიეძღვნა.

გამოფენის გახსნას მხატვრის შემოქმედებაზე ილაპარაკეს საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნოდარ ჭანბერიძემ. ხელოვნებაში კონფიანის დოქტორმა ო. ფორალიშვილმა, მეტების ახალგაზრდული თეატრის მთავარმა რეჟისორმა ს. მრეველიშვილმა, საქართველოს სსრ შერვაშოთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯანსუღ ჩარკვიანმა.

ექსპოზიცია მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. იგი 150-მდე ფერწერულ ტილოს და გრაფიკულ ნამუშევრას შეიცავდა. მთავარი აღსანიშნავია „წითელი ულანო“, „მე. აფრიკა“, „სიყვარულის პრელოდია“, „დაბადება“, „თავისუფალი“.

ამ უდავოდ საინტერესო შემოქმედის გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია.





# «САБЧОТА ХЕЛОВНЕБА»

№ 3, 1978

ЖУРНАЛ МИНИСТЕРСТВА КУЛЬТУРЫ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Елена Тулашвили

### РУСУДАН ДЖАВРИШВИЛИ

В здании Министерства финансов Грузинской ССР была организована большая персональная выставка заслуженного художника Грузинской ССР Русудан Джавришвили. Полотна, представленные на выставке, выполнены художницей в разное время.

Автор статьи рассматривает экспонаты выставки и анализирует особенности творчества художницы (стр. 2).

## АЛИСА ФРЕНДЛИХ В ТБИЛИСИ

Театр «Дружба» Грузинского театрального общества пригласил на гастроли в Тбилиси ленинградскую актрису Алису Френдлик. Гостя показала зрителям концерт-представление (стр. 9).

## Анаида Беставашвили

### УРОК ДОВРА

Грузинский многосерийный телевизионный фильм «Тушинские пастухи» быстро завоевал признание и любовь широкого зрителя. Это произведение, созданное в жанре художественно-документального кино, повествует о жизни и труде тушинских пастухов.

Автор статьи акцентирует внимание на злободневных проблемах, поднятых в фильме (стр. 10).

## Манаиа Ахметели

### ГОСУДАРСТВЕННЫЙ СТРУННЫЙ КВАРТЕТ ГРУЗИИ ЗА РУБЕЖОМ

С большим успехом прошла гастроль государственного струнного квартета Грузии за рубежом.

Коллектив выступал в Финляндии, ГДР, Швеции, Норвегии, Бельгии, Голландии, Люксембурге.

В статье публикуются отзывы зарубежной прессы, которая дает оценку творчеству грузинских музыкантов. (стр. 16).

## Нино Мачавариани

### ЛЕЙЛА ШОТАДЗЕ

Публикуется творческий портрет актрисы Руставского государственного драматического театра Лейлы Шотадзе (стр. 19).

## Ираклий Кипиани

### К ИСТОРИИ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ

В статье рассматривается история издания важнейших энциклопедий в странах Западной Европы (стр. 26).

## Лия Сохадзе

### ГРУЗИНСКИЙ ТЕАТР И КИНОЛЕТОПИСЬ

В статье рассматривается кинохроника 1926-40 гг., хранящаяся в Центральном государственном архиве кинофотофонодокументов Грузии. Материал рассказывает о значительных явлениях грузинского театрального прошлого (стр. 32).

## Гулбат Торадзе

### ГРУЗИНСКОЕ МУЗЫКОВЕДЕНИЕ ПЕРЕД СЕРЬЕЗНЫМИ ЗАДАЧАМИ

В статье рассматривается путь развития грузинской историче-

ской музыкальной науки от ее зарождения до наших дней. Освещены различные аспекты работы музыковедов - историков, дается оценка их наиболее значительным трудам. Автор останавливается на важных творческих задачах, стоящих в настоящее время перед грузинскими музыковедами. В заключении статьи автор ставит вопрос о необходимости организации при Академии наук ГССР специального научно-исследовательского центра, который будет заниматься вопросами грузинской народной и профессиональной музыки. (стр. 38).

## Леван Менабде

### ОЧАГИ ДРЕВНЕЙ ГРУЗИНСКОЙ КУЛЬТУРЫ ЗА РУБЕЖОМ

В статье повествуется о важнейших очагах грузинской культуры ранних веков за рубежом — о монастырях Святого Саввы, Синайском, Крестовом, Афонском, Петрицонском (стр. 45).

### РЕВАЗУ ТАБУКАШВИЛИ 50 ЛЕТ

Журнал поздравляет известного драматурга и переводчика Ревазу Табукашвили с 50-летием со дня рождения. Публикуется приветствие юбиляру и несколько переведенных им сонетов Шекспира (стр. 52).

## Додо Гогуа

### НИКОЛОЗ ГУДИАШВИЛИ И ЕГО ИНСТРУМЕНТАЛЬНОЕ ТВОРЧЕСТВО

В статье рассмотрены инструментальные сочинения Н. Гудиашвили: струнные квартеты, фортепьянный концерт, фортепьян-





ный квинтет, сонатина для фортепиано, тройной концерт, сюита «Картины природы», симфония № 3, полифонические цыклы, на основе которых дается анализ его творческого стиля. (стр. 54).

**Инга Бахтадзе**

**МУЗЫКАЛЬНАЯ ЭСТЕТИКА  
ДАВИДА МАЧАБЕЛИ**

Наследие Давида Мачабели как мыслителя еще не подвергалось исследованию и изучению. Выявление музыкально-эстетической концепции поэта, чье творчество в общем-то не заняло значительного места в грузинской литературе I половины XIX века, автору данной статьи дается основное направление, что в 60-е годы прошлого столетия Д. Мачабели предстает как типичный представитель феодальной идеологии, которая исчерпав исторические возможности, развивала реставрационные социальные идеи. Освещение музыкальной эстетики Д. Мачабели автора приводит к выводу, что во II половине XIX века в сфере грузинской музыкально-эстетической мысли имела место ясно выраженная идейная борьба, проявлявшаяся и через идейные противопоставления вокруг проблемы общественно-воспитательной сущности музыки (стр. 60).

**Бедиа Шавишвили**

**КОЕ-ЧТО О ГРУЗИНСКИХ  
ПЕСНОПЕНИЯХ**

В труде с идейно-художественной точки зрения проанализирован ядгари — один из видов сборника литургической поэзии. Рассматриваемая рукопись X

века содержит 41 песнопение. Хранится она в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН ГССР (рукопись бывшего церковного фонда — А 596) (стр. 66).

**Бачана Брегвадзе**

**БЛЕЗ ПАСКАЛЬ**

Журнал начинает публикацию монографии о Блезе Паскале (стр. 72).

**Соломон Хуцишвили**

**ЖИЗНЬ ПРОСЛАВЛЕННОЙ  
АКТРИСЫ**

Публикуется рецензия на книгу Мурмана Ниярадзе «Элисабед Черкезишвили» (изд. «Хеловнеба», 1977 г.). Автор рецензии знакомит читателей с рядом известных доселе материалов из творческой биографии этой замечательной актрисы (стр. 84).

**Лейла Табукашвили**

**АЛЬБОМ «ИРАКЛИЯ  
ОЧИАУРИ»**

Недавно издательство «Хеловнеба» издало на грузинском, русском и английском языках альбом о творчестве известного грузинского художника Ираклия Очиаури. Автор вступительной статьи искусствовед Ю. Мелентьев рассказывает о многогранности творчества скульптора, об особенностях его мастерства, яркой национальной форме произведений. Альбом, запечатанный в первой Московской образцовой типографии им. А. Иданова, отмечен высокими полиграфическими качествами (стр. 87).

**Кэтеван Хуцишвили**

**«ДРАМАТУРГИЯ КОТЭ  
МАРДЖАНИШВИЛИ»**

Автор рецензирует книгу Г. Боджуа «Драматургия Котэ Марджанишвили» (стр. 89).

**Юнона Апакидзе**

**ИНТЕРЕСНАЯ МОНОГРАФИЯ**

Автор рецензирует монографию «Арчил Кереселидзе» музыковеда Мэни Яшвили (стр. 91).

**Григорий Горин**

**«ЖИЗНЬ И СМЕРТЬ БАРОНА  
МЮНХАУЗЕНА»**

В журнале печатается пьеса Г. Горина «Жизнь и смерть барона Мюнхгаузена» в переводе Л. Гасити (стр. 93).

**Заза Шавиანიдзе**

**СКУЛЬПТУРА КОТЭ  
МЕСХИ В МАСТЕРСКОЙ  
ЯКОВА НИКОЛАДЗЕ**

Автор предлагает читателю фотоснятое в 10-х годах нашего столетия фотографом Ермаковым и запечатлевшее известного грузинского скульптора Якова Николадзе в своей мастерской; указывает на одну из выставленных здесь скульптур — портрет известного грузинского актера Котэ Месхи. Оригинал этого скульптурного портрета утерян и его фотоиллюстрация, безусловно, представляет большой интерес (стр. 110).

ქურნალში დაბეჭდილია მ. ბაბოვის, ჰ. შუგინჯოს, ი. კვანტარაძისა და ს. სულავის ფოტოები.

მხატვრული რედაქტორი ბლემსი ბალაშუხიძე.

ზელოწერილია დასაბეჭდად 16/111-78 №, შუგ 06849  
შუგ. № 288. ტირაჟი 6.000. ფოტოკოპი ნაბეჭდო ფურცლო 15.  
საღირებულო საგამომცემლო თაბახი 19,75. ფასი 1 მან.

საქართველოს კ. ცენტრალური  
კომიტეტის გამომცემლობა.  
თბილისი 1978.

საქართველოს კ. ცენტრალური კომიტეტის  
გამომცემლობის სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქუჩა № 14, ტელ. 93-93-99.

